პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა. გლეხთა. წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი. კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 64. მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.

ტელეფ.
) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—63
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34.
ტელეფონი № 8-81.

ხელისმომწერთ ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან - 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად- შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სადგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 4 თებერვალი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 29 (2072)

დღიური

— საბჭოთა გამოფენა ნიუ-იორკში დიდ ინტერესს იწვევს.
— მცირე ანტანტამ ნოტა ჩააბარა ერთა ლიგას სან-გოტარდის შესახებ.
— საფრანგეთ - ამერიკის საარბიტრაჟო ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება 5 თებერვალს.
— 1-ლ თებერვალს გაიხსნა გომინდანის ცეკას პლენუმი.
— დაიწყო [illegible] ყოფ. სამხედრო მინისტრ იხსან-ბეის [illegible].
— 2 თებერვალს გაიხსნა ფიზკულტურის საკავშირო საზამთრო დღესასწაული.
— ნამქერი ოდესაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ)
მეხუთე მოწვევის
ცენტრალური კომიტეტის მეორე
პლენუმი
ს. კ. პ. (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტების
მდივნებთან ერთად
შესდგება 10 თებ., საღ. 6 საათ. სასახლის წითელ დარბაზში
ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხ. კახიანი

კომუნისტი
გრძელდება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოების საანგარიშო კამპანია

საქართველოს ცაკის ცირკულიარი ამომრჩეველთა წინაშე საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარების შესახებ, რომელიც გუშინ გვქონდა გამოქვეყნებული, მეტად საყურადღებოა საბჭოთა ხელისუფლების ბუნების ნათელსაყოფად და საბჭოების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლება-გაჯანსაღებისათვის.

ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისთვის დეპუტატების ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე იმ აზრით და სახით, როგორც ეს ჩვენში ხორციელდება, სრულიად უცხო რამ არის. ბურჟუაზიულ „დემოკრატიის" ქვეყნებში პარლამენტის ან სხვა რომელიმე თვითმმართველ ორგანოს წევრები, მას შემდეგ, რაც აირჩიეს, სრულებით მოწყვეტილი არიან მასისაგან. მათთვის არც კონსტიტუციითაა სავალდებულო და თვითონაც ისინი არ გრძნობენ მოთხოვნილებას, რომ ამომრჩევლებს ჩააბარონ ანგარიში თავის და იმ ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, რომლის წევრებად ისინი ითვლებიან. მხოლოდ ახალ არჩევნების მოლოდინი ახსენებს მას თავის „მოვალეობას". ამ დროს ისინი მიდიან ამომრჩევლებთან, ცდილობენ თავისი თავი მათ ნამდვილ წარმომადგენლებად, მათ ინტერესების დამცველებად გაასაღონ, რომ ამ გზით მასსები მოატყუილონ და კვლავ იქნენ არჩეულნი.

სულ სხვაა საბჭოთა წყობილების პირობებში. აქ მუშების და გლეხების მიერ არჩეული დეპუტატები მუდამ მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი. თავის ამომრჩევლებთან დაახლოვებულნი, ხშირად უნდა აბარებდნენ მათ ანგარიშებს თავის საქმიანობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რას აკეთებს თითოეული დეპუტატი და ის ორგანო, სადაც ის წარგზავნილია, მშრომელ ხალხის სასარგებლოდ და იმ დავალებათა შესასრულებლად, რომლებიც მუშა-გლეხ ამომრჩევლებმა მათ მისცეს. ასეთი ანგარიშგებობა ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა ნამდვილი, საბჭოთა დემოკრატიისა, წინააღმდეგ თვალთმაქცური ბურჟუაზიული „დემოკრატიისა", რომელიც ხმის მიცემას ფორმალური უფლებით გამოხატავს.

ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე ამავე დროს საუკეთესო საშუალებაა, რათა დეპუტატები მასსების სისტემატიურ კონტროლს განიცდიდნენ და სრულ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ მათ მიმართ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში დეპუტატები მასსებისაგან სრულებით არ არიან დამოკიდებულნი, ზევიდან დაყურებენ მათ, ახალი არჩევნებამდე ანგარიშს არ უწევენ ამომრჩევლებს, ვინაიდან მანამდე მათი უკან გამოწვევის, მათთვის დეპუტატის მანდატის ჩამორთმევის უფლება ამომრჩევლებს არა აქვთ, თუნდაც ეს დეპუტატები ულირსნი აღმოჩნდნენ. ამნაირად, პარლამენტარიზმი იქ ხალხზე ბატონობის, და არა ჭეშმარიტი სახალხო მმართველობის, ინსტიტუტია.

ჩვენში სულ სხვა მდგომარეობაა, რა თქმა უნდა, აქ არჩეული პირი სავსებით დამოკიდებულია ამომრჩეველზე, რომელიც ანგარიშგების კამპანიის და სხვა გზით მუდამ თვალყურს ადევნებს მას, მის მუშაობას; ან თუ დეპუტატმა არ გაამართლა ნდობა და იმედები, საბჭოთა კონსტიტუციის ძალით ამომრჩეველთ უფლება აქვთ მინიჭებულ ვადამდე გამოიწვიონ ის უკან და უფრო ღირსეული პირი აირჩიონ. ეს კი ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ საბჭოები მშრომელ მასსების ნებისყოფის გამტარებელ, მათდამი დაქვემდებარებულ ორგანოებს წარმოადგენენ. ამ გზით ხორციელდება მშრომელთა ჭეშმარიტი დემოკრატია.

ანგარიშგების ზევით აღნიშნულმა კამპანიამ კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი ამ დემოკრატიის და მუშა-გლეხთა მასსების ინიციატივის უფრო გაშლას. ეს იქნება რადიკალური ღონისძიება ბიუროკრატიზმისა და სხვა ნაკლულოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ბლომად ახლავს საბჭოთა აპარატს და ჩვენს მუშაობას.

როგორც საბჭოების აღმასრულებელ ორგანოებმა, ისე საბჭოების ცალკე წევრებმა ამომრჩეველ მასსებს უნდა გააცნონ სრული და მიუდგომელი სურათი თავის მოღვაწეობის შესახებ, მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების აღნიშვნით. ამავე დროს, ცხადია, გაშუქებულ უნდა იქნეს მოსახლეობის საჭიროებანი და გამომუშავებული ზომები მათი დაკმაყოფილებისათვის. მთელი ეს კამპანია უნდა დაუკავშირდეს საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანებს რომელთა გარშემო უნდა დაირაზმოს მშრომელთა საზოგადოებრიობა.

საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მოწინავე ელემენტებმა და მთელმა ამომრჩეველ მასსამ. ანგარიშების გარშემო აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა უნდა გაიმართოს და სავსებით გამომჟღავნებულ იქნეს მუშურ-გლეხურ ამომრჩეველთა შეხედულებები საბჭოების და მათ წევრების საქმიანობაზე და იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა გადაჭრა აუცილებელია მოკლე დროში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის უკან გამოწვევის უფლების განხორციელებას. დღემდე ეს უფლება ნაკლებად იყო გამოყენებული, მაშინ, როცა უდავოა, რომ არა ყველა არჩეული პირი დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ის ელემენტები, რომელთაც ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლეს, აუცილებლად უნდა იქნენ გადაყენებული. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისა და მასსის პოლიტიკური აღზრდისათვის.

საბჭოების საანგარიშო კამპანია ჩატარდება 15 თებერვლიდან 15 აპრილამდე. მაშასადამე, ამას ექნება ფართო და ხანგრძლივი კამპანიის ხასიათი. საჭიროა მისთვის საფუძვლიანი მომზადება როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული მხრით. მხოლოდ ასეთი მომზადებისა და თვით კამპანიის მიზანშეწონილ ხელმძღვანელობით, მისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით გამოიღებს ის სასურველ შედეგებს.

მოძრაობა „სამრეწველო მშვიდობიანობის" წინააღმდეგ ინგლისში

საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულება თავდაცვის შესახებ

კონფლიქტი შვეციის სამთამადნო და ქაღალდის მრეწველობაში მწვავდება

ინდოეთში ჩავიდა საიმონის კომისია.—საპროტესტო გაფიცვა ბომბეიში

უმცირესობის მოძრაობის კონფერენცია

ლონდონი, 2 თებერვალი. ნიუკასტლეში გაიმართა უმცირესობის მოძრაობის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო მემაღაროების, მანქანების მშენებლების, მექვაბეების, ხეზე მომუშავეთა და შავი მუშების 70 დელეგატი— 24,000 მუშის წარმომადგენელნი.

კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ჰგმობს პროფკავშირთა კონგრესის გენერალურ საბჭოს იმის გამო, რომ მან მოლაპარაკება დაიწყო „სამრეწველო მშვიდობიანობის" შესახებ ალფრედ მონდის ჯგუფთან; კონფერენცია ესალმება მემაღაროების ფედერაციის მდივანს კუკს გენერალური საბჭოს უმრავლესობის წინააღმდეგ თამამი ბრძოლისათვის.

ასეთივე რეზოლიუციები მიიღეს მთელი ინგლისის ტრედიუნიონების ბევრ ადგილობრივ განყოფილებაში. (ადს).

ქასპარი პასუხს გაურბის

პარიზი, 2 თებერვ. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, ბელგიის პარლამენტის სამხედრო კომისიამ გამოაქვეყნა ბელგიის პრემიერ ქასპარის წერილობითი პასუხი შეკითხვაზე საფრანგეთ-ბელგიის თავდაცვის ხელშეკრულების შესახებ. ქასპარი აცხადებს, რომ ხელშეკრულება ოდნავათაც არ ზღუდავს ორივე სახელმწიფოს სრულ დამოუკიდებლობას.

ორივე სახელმწიფოს მთავრობებს თავისუფლად შეუძლიათ იქონიონ მსჯელობა იმ შემთხვევათა შესახებ, რომლებშიაც გამოყენებულ უნდა იქნეს სამხედრო კონვენცია. ორივე სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე მოაწყონ თავიანთი არმიები ისე, როგორც ამას საჭიროდ დაინახავენ საკუთარი შეხედულების მიხედვით.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ორგანო „დრაპო რუჟ" აღნიშნავს, რომ ქასპარის პასუხი არსებითად არაფერს ამბობს თავდაცვის ხელშეკრულების შინაარსის შესახებ. ქასპარი მხოლოდ უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება ავალებს ბელგიას განსაზღვრული წესით მოაწყოს არმია და მონაწილეობა მიიღოს ყოველ ომში, რომელსაც საფრანგეთი აწარმოებს თავდაცვის ლოზუნგით.

შვეციის მუშების ბრძოლა

სტოკჰოლმი, 2 თებერვალი. შვეციის კომუნისტური პარტიის პროფესიონალური მუშაობის განყოფილების მდივანი ლინდეროტი დაბრუნდა იმ რაიონებში მოგზაურობიდან, სადაც საგაფიცვო მოძრაობა სწარმოებს. ლინდეროტმა გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებანი.

ლინდეროტის სიტყვით, მუშათა მოძრაობა იზრდება. სამთამადნო და ქაღალდის მრეწველობაში მომხდარმა გაფიცვამ გამოიწვია მუშათა მოძრაობის გაფართოება მრეწველობის სხვა დარგებშიაც. ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშები ცენტრალური პროფესიონალური ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ ბრძოლის გამოცხადებას სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური ხელშეკრულება ხე-ტყის სახერხ მრეწველობაში რამოდენიმე კვირის წინედ დაიდო. ეს მოთხოვნილება სრულებით არაჩვეულებრივია შვეციის მუშებისათვის, რომელნიც ზედმიწევნით იცავენ ხოლმე კოლექტიურ ხელშეკრულებას. მუშებს შორის სრული ერთსულოვნება არის გამეფებული. მუშები ესალმებიან შვეცია-რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტის მოწოდებას, ემხრობიან საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობას და ფინეთის და საბჭოთა მუშებთან თანამშრომლობას. კომუნისტური პარტია გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებს გაფიცულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. ადგილობრივი თვითმართველობის კომუნისტურ ფრაქციებს შეაქვთ წინადადება, რათა დახმარება გაფიცულთ აღმოუჩინონ მუნიციპალური თანხებიდან და სხ. კომპარტიის პოპულიარობა მუშათა მასსებში იზრდება. კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში ყოველ დღე მიდიან ათეული მუშები და თხოულობენ პარტიაში მიღებას (ადს)

ეროვნული გლოვის დღე ინდოეთში

ლონდონი, 2 თებერვალი. დელიდან იუწყებიან: ინდოეთის საკანონმდებლო კრების ფინანსიურ კომისიაში შეტანილია წინადადება, რომ განხილულ იქნას ინგლისურ-ინდოეთის მთავრობის მოთხოვნილება საიმონის კომისიის ხარჯებისათვის ფულის გადადების შესახებ. კომისიის უმცირესობა მოითხოვს, რომ ეს წინადადება პოლიტიკური მოსაზრებით სრულებით არ იქნას განხილული.

ინდოეთის პოლიტიკურ ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ სხვადასხვა რელიგიური სექტის მიმდევარმა—ბომბეის კოლეჯების 18 მოსწავლე ქალმა მანიფესტი გამოაქვეყნეს სტუდენტების მიმართ და მოუწოდებენ მათ მხარი დაუჭირონ იმ მოძრაობას, რომლის მიზანია ეროვნული გლოვის გამოცხადება 3 თებერვალს, როდესაც საიმონის კომისიას მოელიან ინდოეთში.

კალკუტიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივმა საბანკო და სავაჭრო წრეების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა მანიფესტი გამოაქვეყნეს საიმონის კომისიის ბოიკოტის წინააღმდეგ. მაგრამ ადგილობრივი სტუდენტების ნაწილმა მიტინგი მოაწყო, რომელმაც რეზოლიუცია მიიღო 3 თებერვალს ეროვნული გლოვის გამოცხადების შესახებ (ადს).

საიმონის „შეხვედრა"

ლონდონი, 3 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ბომბეიში 3 თებერვალს მოვიდნენ ჯონ საიმონი და სხვა წევრები საპარლამენტო კომისიისა, რომელმაც უნდა გადასინჯოს ინდოეთის საკონსტიტუციო რეფორმები. მოსულთა შესახვედრად დაიძრა 850 კაცის პროცესია, რომლის მონაწილეებს თეთრი ტანისამოსი ეცვათ, ხოლო ხელში ეჭირათ შავი ბაირაღები და დროშები, აგრეთვე, ასეთი წარწერებით: „ძირს ბრიტანეთის იმპერიალიზმი"! „დაუპატიჟებელ სტუმრებს არ ვესალმებით". პოლიციამ გზა გადაუღობა პროცესიას, რომელიც ნავთსადგურამდე არ მივიდა და ქალაქის ქუჩებზე გაიარა. ბევრი მაღაზია და სასწავლებელი გამოეხმაურა მოწოდებას და 24 საათის საპროტესტო გაფიცვა გამოცხადდა (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

გომინდანის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

შანხაი, 2 თებერვალი. 1 თებერვალს ნანკინში გაიხსნა გომინდანის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმი.

ჩან-კაი-შიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მისი აზრით „გომინდანის მომავალი უნუგეშოა". შემდეგ ჩან-კაი-შიმ სთქვა:

„თუმცა კომუნისტები განდევნილი არიან ჩვენი რიგებიდან, მაგრამ კომუნისტური თეორია და კომუნისტური მეთოდები გაბატონებულია ჩვენს შორის".

ანგოცზიუნს თავის იმედი აქვს

პეკინი, 2 თებერვალი. იაპონიის სააგენტოს ცნობით, ტამინ-ტუნჩანის რაიონში ფინ-იუ-სიანის ჯარებსა და ჩრდილოეთის ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს. სააგენტოს სიტყვით, პეკინის მთავრობის წრეებში აცხადებენ, რომ თუ ტამინი აიღეს, ამას არ ექნება არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან მიღებულია ყოველივე ზომები ჩრდილოეთის ჯარების საბოლოო გამარჯვებისათვის (ადს).

უხანელების შეტევა გრძელდება

შანხაი, 2 თებერვალი. ხანკოუდან მიღებული ცნობით, უხანის ჯარებმა ხუ-ბეის პროვინციის სამხრეთით დაიკავეს იჩანი. სიჩუანის პროვინციის ჯარები, რომელთაც აქამდის ეკავათ ჩანი, უკან იხევენ (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

პარიზი, 2 თებერვალი. ოპოზიციის საკითხის განხილვის დროს საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციას დაესწრნენ ც. კ.-დან გამორიცხულნი ოპოზიციის წარმომადგენელნი.

ბუტონიემ მოხსენება გააკეთა ოპოზიციის ანტიპარტიულ მუშაობის შესახებ; მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში გამოვიდა ოპოზიციონერი სიუზანი ჟირო, რომელმაც მოითხოვა, რომ ოპოზიციას საშუალება მიეცეს პარტიის შიგნით გაუწიოს თავისი აზრების პროპაგანდა. პარიზის რაიონის დელეგატი ჟოზეფი მოითხოვდა, რომ ოპოზიციას დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ფრაქციული მუშაობა და დამორჩილებოდა საფრანგეთის კომპარტიის ც. კ.-ის დადგენილებებს. ოპოზიციონერმა ბარემ გაილაშქრა კომინტერნის პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე კატეგორიულად წინააღუდგა ახალი პარტიისა და „მეოთხე ინტერნაციონალის" შექმნის იდეას. მრავალრიცხოვანი ორატორები მოითხოვდნენ, რომ ფრაქციონერები უპირობოდ დამორჩილებოდნენ პარტიულ დისციპლინას და ურჩნი პარტიიდან გამოერიცხათ.

სემარმა მოხსენება გააკეთა საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის და აქედან გამომდინარე პარტიის ამოცანების შესახებ; მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ოპოზიციონერ ტრენის „თავის მართლება"; იგი ლაპარაკობდა დროის განუსაზღვრელად.

ტრენს საპასუხოდ გამოვიდნენ ბერნარი, კოსტი, ბარბე და მრავალი სხვა, რომლებიც ამხელდნენ ოპოზიციის ანტიბოლშევიკურ ტროცკისტულ შინაარსს.

ბარბემ გამოაქვეყნა ოპოზიციის დეკლარაცია, რომელიც ფრაქციული მუშაობის შეწყვეტის პირობად სთვლიდა სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაგალითად: „დაუყოვნებლივ ფართო დისკუსიის დაწყება", ოპოზიციის „მასალების" გავრცელებას და სხვ.

ბუტონიემ წინადადება შეიტანა, რომ პარტიიდან გამოერიცხათ ოპოზიციონერები ტრენი, ჟირო, ფონკავი და ბარი. ეს წინადადება მიღებულ იქნა 169 ხმით წინააღმდეგ 1 ხმისა; ოთხმა თავი შეიკავა.

კონფერენციის მიერ პარტიიდან გამორიცხული ტროცკისტული ჯგუფი არავითარი გავლენით არ სარგებლობს, როგორც საფრანგეთის კომპარტიაში, ისე ფრანგ მუშებს შორის. საფრანგეთის კომპარტიიდან გამორიცხულმა ფრაქციონერებმა, რომელნიც „მემარცხენეებს" უწოდებდნენ თავის თავს, ბლოკი შეჰკრეს ულტრამემარცხენე რენეგატულ ჯგუფებთან (სუვარინი და სხ.) და იცავდნენ მათ ოპორტუნისტულ შეხედულებებს (მთლიანი ფრონტი მემარჯვენე-ბურჟუაზიულ პარტიებთან და მასონებთან, საარჩევნო ბლოკი სოციალისტებთან, საფრანგეთის კომპარტიის პოზიციის საწინააღმდეგო ხაზი მაროკოს ომის საკითხში). როცა საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ თავის დროზე მისცა წინადადება ტრენს საფრანგეთის პარტიულ პრესაში ცეკას პასუხთან ერთად გამოექვეყნებია ცეკაში მის მიერ წარდგენილი „პლატფორმა", რომელიც სავსე იყო ცილისწამებებით კომინტერნის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ტრენმა უმჯობესად აირჩია თავისი „პლატფორმის" უკან წაღება. შემდეგ ტრენმა, თავის მომხრეებთან ერთად (საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრთა რიცხვიდან) დაიწყო ოპოზიციონური ფურცლის გამოცემა პარტიის კონტროლის გარეშე. ამის გამო ცეკას პლენუმმა 8 ნოემბრის დადგენილებით გადასწყვიტა ამ ოპოზიციონური ჯგუფის გამორიცხვა ცეკას შემადგენლობიდან და რამდენადაც ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც გრძელდებოდა მისი ანტიპარტიული ფრაქციული მუშაობა და დამტკიცდა მისი კავშირი კომინტერნიდან გამორიცხული სუვარინის, მასლოვ—რუტფიშერის და სხ. რენეგატულ ჯგუფებთან,—ცეკას პლენუმმა გადასწყვიტა კონფერენციის წინაშე (რის შესახებაც იუწყება დეპეშები) დაესვა საკითხი პარტიიდან ამ ჯგუფის გამორიცხვის შესახებ.

გადაწყვეტილებას საფრანგეთის კომპარტიიდან ტროცკისტების გამორიცხვის შესახებ წინ უსწრებდა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას ფართო დისკუსია 1927 წლის ნოემბრიდან, დისკუსია, რომლის პროცესში პარტიულმა პრესამ გამოაქვეყნა ოპოზიციის სხვადასხვა „მასალები" და ეს მასალები წარუდგინა მთელი პარტიის სამსჯავროს (ადს).

ლოკარნომ გერმანიის იმედები არ გაამართლა

ბერლინი, 2 თებერვალი. რეიხსტაგში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს კომუნისტმა დეპუტატმა შტეკერმა აღნიშნა, რომ ლოკარნოს შეთანხმებებთან დაკავშირებული იმედები ჩაიფუშა. „ყველა ქვეყნების მთავრობები გაცხარებით იარაღდებიან. მხოლოდ საბჭოთა კავშირი გულწრფელად სცდილობს მშვიდობიანობის დაცვას". მომხსენებელი დარწმუნებულია, რომ მომავალ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის ბურჟუაზია აღმოჩნდება დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოების მხარეზე. „ამიტომ გერმანიის კომპარტია,— განაცხადა ორატორმა,— თავის უყრის მუშათა მასსებს იმპერიალისტურ ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. და მოუწოდებს მათ დაიცვან საბჭოთა კავშირი და ჩინეთის რევოლიუცია" (ადს).

პასიური წინააღმდეგობა პარლამენტს მიმართ

ვენა, 3 თებერვალი. კანცლერმა ზეიპელმა სადღეისოდ მოიწვია პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიურო, რომ მოელაპარაკოს მას პარლამენტის ნაყოფიერი მუშაობის უზრუნველყოფის შესახებ.

პოლიტიკური წრეების ცნობით, ფრაქციის ბიუროს მოწვევა გამოიწვია მთავრობის პარტიების ჩივილმა იმის შესახებ, ვითომ სოციალ-დემოკრატები უკანასკნელ ხანებში „ფარულ ობსტრუქციას ეწეოდნენ, რაც გამოიხატება მუშაობის გაჭიანურების ტაქტიკაში (ე. ი., ვითომ, აჭიანურებენ ყველა საკითხის განხილვას პარლამენტში). სოციალ-დემოკრატიულ წრეებში აცხადებენ, რომ მოლაპარაკება უნაყოფოდ ჩაივლის, რადგან სოციალ-დემოკრატები პარლამენტის მუშაობაში „აქტიური მონაწილეობის" წინასწარ პირობად სთვლიან იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომელნიც მათ დიდი ხანია წამოაყენეს (მდგმურების დაცვა, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურიდან სოციალ-დემოკრატების სისტემატიური დათხოვნის შეწყვეტა, სოციალური დაზღვევის დამატებითი ღონისძიებანი და სხვ.). (ადს).

სამხრეთ-სლავიის მთავრობის კრიზისი

—**ვენა**, 1 თებერვალი. სამხრეთ-სლავიის პარლამენტის დემოკრატიულ ფრაქციის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება დემოკრატების გამოსვლის შესახებ მთავრობის კოალიციიდან. კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუცია ავალებს დავიდოვიჩს განაგრძოს მოლაპარაკება რადიჩის და პრიბიჩევიჩის დემოკრატიულ გლეხურ კოალიციასთან კონცენტრაციულ მთავრობის შექმნის მიზნით. მარინკოვიჩმა, რომელიც კონფერენციაზე მოითხოვდა ეხლანდელი კოალიციის დაცვას, განაცხადა რომ გააკეთებს საჭირო დასკვნებს ფრაქციის დადგენილებიდან. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით დემოკრატების ოთხმა მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გადადგომის შესახებ. თუ მარინკოვიჩი ფრაქციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ დარჩა მთავრობაში, მთავრობას კიდევ ეყოლება სუსტი უმრავლესობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია ვუკიჩევიჩის მთავრობის დაცემა და სეიმის დათხოვნა (ადს).

სოციალ-დემოკრატია ყიდულობს ხმებს

ბერლინი, 2 თებერვალი. ჰალეს სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ფოლკსბლატ"-ი აქვეყნებს მოწოდებას ყველა იმ მეღითონეებისადმი, რომლებიც შედიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. მოწოდებაში ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს საკმაო თანხები მოეპოვება იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინონ გაფიცულ მეღითონეებს, რომლებიც ეკუთვნიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მოწოდება ამ დახმარების მიცემას აღუთქვამს იმ გაფიცულებსაც, რომლებიც არ ეკუთვნიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მაგრამ ხელს შეუწყობენ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციების მუშაობას. (ადს).

მცირე ანტანტის ნოტა

უნგრეთის ფარული შეიარაღების შესახებ

ბერლინი, 2 თებერვალი ჟენევიდან იტყობინებიან, რომ პირველ თებერვალს ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გადასცეს ჩეხო-სლოვაკიის, რუმინეთის და სამხრეთ-სლავიის ნოტა, რომელიც დაკავშირებულია უნგრეთში იარაღის ფარულად გატანასთან. განსაკუთრებით გარკვევით შედგენილია სამხრეთ-სლავიის ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ აუცილებელია ინციდენტის მთლიანად განხილვა, რადგან მას შეუძლია საზოგადოებრივი ნდობის მოსპობა საერთაშორისო ხელშეკრულებებისადმი. რუმინეთის ნოტა შექმნილ ინციდენტს არ აძლევს დიდ მნიშვნელობას და აცხადებს, რომ ამ ინციდენტს არ შეუძლია სერიოზული შედეგების გამოწვევა (ადს).

პარიზი, 2 იანვარი. ჟენევიდან მიღებული ოფიციალური ცნობების მიხედვით, სამხრეთ-სლავიამ, ჩეხო-სლოვაკიამ და რუმინეთმა ერთა ლიგას წარუდგინეს ნოტები უნგრეთის ტერიტორიაზე იარაღის ფარულად გატარების გამო; ხსენებული სახელმწიფოები ერთა ლიგის საბჭოს სთხოვენ, რომ მან მარტის სესიაზე განიხილოს ინციდენტი იარაღის გატარების შესახებ. (ადს).

მენშევიკები-პატრიოტიზმის დამცველები

ბერლინი, 2 თებერვალი. როდესაც ბავარიის ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიაში ირჩეოდა კულტურულ საჭიროებათა ხარჯთ-აღრიცხვა, კომფრაქციის წარმომადგენლებმა შეიტანეს წინადადება, რომ ხარჯთ-აღრიცხვიდან ამოშლილიყო დამატებითი ასიგნობა „ახალგაზრდობის პატრიოტულად აღზრდისათვის". კომუნისტურ ფრაქციის ორატორმა ირონიულად შენიშნა, რომ მას არ ესმის, თუ რატომ გამოდიან ამ ასიგნობის სასარგებლოდ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც თავის დროზე ვილჰელმ მეორემ დაახასიათა, როგორც ისეთი „ხალხი", რომლებსაც სამშობლო არა აქვს". კომუნისტების წინადადება საბიუჯეტო კომისიამ უარყო. (ადს).

უშიშროების კომისიაში

პრაღა, 2 თებერვალი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ ის მოხსენებები, რომელიც შეიმუშავეს უშიშროების კომისიის წევრებმა რვა დღის მუშაობის შემდეგ, გაერთიანებულია ერთ მთლიან მოხსენების სახით. ეს მოხსენება შეიცავს ისეთ პრაქტიკულ წინადადებებს, რომელთა გარშემო გაიმართება ფართო დისკუსია უშიშროების კომისიის თებერვლის სესიაზე (ადს).

საბჭოთა გამოფენა

ნიუ-იორკში

ნიუ იორკი, 2 თებერვალი. უცხოეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოების გამოფენა ისევ დიდ ინტერესს იწვევს. გამოფენის დასათვალიერებლად მოსულთა რიცხვი 3.000 კაც. აღწევს დღეში. უკვე გაყიდულია შინამრეწველობის და საფეიქრო განყოფილებათა თითქმის ყველა ექსპონატები (ადს).

„თავისუფალ" ირლანდიაში

ლონდონი, 2 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დუბლინში სარაიონო სასამართლოს წინაშე წარსდგა ორი ქალი, რომელთაც ბრალი ედებათ იმაში, რომ ისინი მონაწილეობას იღებდენ ინგლისის გენერალ-გუბერნატორის მაკ-ნეილის დუბლინის მთავრობის იუსტიციის და სხვა პირების წინააღმდეგ მიმართულ პამფლეტების გავრცელებაში. ბრალდებულებმა უარი სთქვეს თავისი ვინაობის დასახელებაზე. ორივე ქალს ბრალდება აგრეთვე მაკ-ნეილის მოკვლის წაქეზება. რაიონის მოსამართლემ განაცხადა, რომ საქმეს საოლქო სასამართლოს გადასცემს.

საფრანგეთ-ამერიკის

ახალი ხელშეკრულება

პარიზი, 3 თებერვალი. „მატენის" ცნობით საფრანგეთის და შეერთებული შტატების ახალი საარბიტრაჟო ხელშეკრულების პროექტი მზათ არის ხელის მოსაწერათ. გაზეთის სიტყვით, ახალი ხელშეკრულება, ძველი ხელშეკრულებასთან შედარებით, აფართოებს არბიტრაჟის გამოყენების შესაძლებლობას.

„პარი სუარ" იტყობინება, რომ ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება 5 თებერვლისათვის (ადს).

მუშათა დემონსტრაცია

ვიდინში

ვენა, 2 თებერვალი. ბულგარეთის გაზეთების ცნობით, ვიდინში დააპატიმრეს 25 მუშა,—ბულგარეთის დამოუკიდებელი პროფკავშირების წევრები. დაპატიმრების მიზეზია მუშების დიდი დემონსტრაცია ბულგარეთის ცნობილი კომუნისტის ვექილი პოპოვის დამარხვის დროს. თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა დემონსტრაცია აკრძალეს, მაგრამ მუშებმა პოლიციას მაინც წაართვეს კუბო პოპოვის ცხედრით, გაარღვიეს პოლიციის ალყა და გაიარეს ქალაქის ყველაზე უფრო მოძრავ ქუჩებზე (ადს).

მინისტრი-სპეკულიანტი

გრეგორი მოხსნეს სამსახურიდან

ლონდონი, 3 თებერვალი. გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის გრეგორის და გარეშე საქმეთა სამინისტროს სხვა მოხელეთა მონაწილეობა იმ ოპერაციებში, რომლებსაც ბრედლი-დაინი აწარმოებდა უცხოეთის ვალიუტაზე, ფარულად იქნება გამოძიებული. ფიქრობენ, რომ გამოკვლევა ორ კვირას გასტანს. გამოძიების დამთავრებამდე გრეგორი და მეორე მოხელე მაქსე (სამინისტროს ერთ-ერთი მდივანი) მოხსნილი არიან სამსახურიდან. (ადს).

ინგლისი 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ

ბერლინი, 2 თებერვალი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდიუმის დღევანდელ სხდომაზე ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისს არ შეუძლია დაამტკიცოს ვაშინგტონის კონვენცია რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. ინგლისის წარმომადგენელმა ბიუროს პრეზიდიუმში შეიტანა წინადადება, რომ იმ საერთაშორისო კონფერენციის დღის წესრიგში, რომელსაც შრომის ბიურო იწვევს 1929 წელს, დასმულ იქნეს საკითხი კონვენციის გადათვალიერების შესახებ. ასეთი გადათვალიერების აუცილებლობა მან დაასაბუთა იმით, რომ კონვენციას აქვს ბევრი ნაკლულოვანებანი, ვინაიდან ის ნაჩქარევად იქნა დადებული სათანადო გამოცდილების გარეშე.

ამ განცხადების საპასუხოდ ჟუომ აღნიშნა, რომ იძლეოდა რა 1922 წელს დაპირებას კონვენციის რატიფიკაციის შესახებ, ინგლისის მთავრობა არ იყო გულწრფელი და ხელმძღვანელობდა ტაქტიკური მოსაზრებებით. ინგლისის წარმომადგენლის განცხადებამ ჟენევაში სენსაცია გამოიწვია. ამ განცხადებას სთვლიან იმის დამამტკიცებლად, რომ კონვენცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ საბოლოოდ დასამარებულია (ადს).

გაფიცვა პენსილვანიაში

ვინ გამოიწვია გაფიცვა

ვაშინგტონი, 2 თებერვალი. კულიჯმა განაცხადა, რომ ის არ ჩაერევა პენსილვანიის ქვანახშირის მრეწველობაში მომხდარ გაფიცვაში.

სენატში სენატორმა ჯონსონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ პენსილვანიაში „ნამდვილი ჯოჯოხეთია გამეფებული". ჯონსონმა განაცხადა, რომ პოლიცია სასტიკად ეპყრობა გაფიცულებს და რომ, გაფიცულთა ოჯახები ათასობით იტანჯებიან უსახლკაროდ და მშიერ-მწყურვალნი.

შემდეგ ჯონსონმა აღნიშნა, რომ ქვა-ნახშირის კომპანიამ, რომლის სათავეში სდგას ფინანსთა მინისტრი მელონი, გაფიცვა გამოიწვია სამუშაო ხელფასის შესახებ არსებულ ხელშეკრულების დარღვევით. კამპანია გაფიცულთა მოთხოვნილებებს სრულიად უყურადღებოდ სტოვებს (ადს).

ტიტულესკუ პარიზში

პარიზი, 3 თებერვალი. დღეს რომიდან პარიზში ჩამოვიდა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიტულესკუ (ადს).

უმუშევართა ასოციაციები

ლონდონი, 2 თებერვალი. ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ მოიწონა გეგმა უმუშევართა შეკავშირების შესახებ პროფკავშირთა საბჭოების უშუალო ხელმძღვანელობით. ამ პროექტის მიზანია „უმუშევართა ასოციაციების" შექმნა, იმ ასოციაციის მსგავსად, რომელიც მოაწყო პროფკავშირების საბჭომ ბრისტოლში. ეს პროექტი მიმართულია, უმთავრესად, „უმუშევართა ნაციონალური კომიტეტის" წინააღმდეგ, რომელშიაც ძლიერია კომპარტიის გავლენა (ადს).

იხსან-ბეის დაპატიმრება

ანგორა, 2 თებერვალი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დააპატიმრეს ყოფილი საზღვაო მინისტრი იხსან-ბეი, რომელსაც ბრალს სდებენ ბოროტმოქმედებაში კრეისერ „იავუზი"-ს რემონტთან დაკავშირებით (ადს).

ანგორა, 2 თებერვალი. პროკურორმა დაამთავრა საბრალმდებლო აქტის შედგენა ყოფილი სამხედრო მინისტრის იხსან-ბეის საქმის გამო. დაიწყო უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომა (ადს).

საფრანგეთი უარყოფს

პარიზი, 2 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობა ოფიციალურად და კატეგორიულად უარჰყოფს „ჯორნალე დ, იტალია"-ს ცნობას, ვითომც საფრანგეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დადებულია სამხედრო-საზღვაო შეთანხმება და საიდუმლო კონვენცია (ადს).

ორი ფაქტი

(სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის დამოკიდებულება)

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანაში ბაზრის დაპყრობა ერთ უდიდეს ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლებისათვის. არ კმარა მარტო წარმოების მოწესრიგება, ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშა ხელის დისციპლინის დამყარება და ყველა ამ გზით ნაწარმოების გამრავლება და მისი გაიაფება. საჭიროა ნაწარმოების განაღდება, მთელი მანძილის გავლა წარმოებიდან მომხმარების სფერომდე, მომხმარებლისთვის მისი მიწოდება. წინათ ამას ასრულებდა კერძო კაპიტალი, ჩარჩი, ვაჭარი, მოვაჭრე, სპეკულიანტი; კაპიტალისტურ წარმოებაში საქონლის გამტარებელი არხიც კაპიტალისტურ - ვაჭრული იყო. ახლა ამას ასრულებს სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია.

მუშაობის ვითარებაში ნათლად გამოიჯნა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ფუნქციები. პირველს წილად ხვდა საბითუმო, მეორეს საცალო ვაჭრობა. სანამ კოოპერაცია სუსტი იყო, სახელმწიფო ვაჭრობასაც ევალებოდა წვრილწვრილად ნაწარმოების გასაღება. მაგრამ მაშინაც აღიარებული იყო, რომ საცალო ვაჭრობას სავსებით კოოპერაცია უნდა დაპატრონებოდა და ამ უკანასკნელის გაძლიერებასთან ერთად სახელმწიფო ვაჭრობა უნდა შეკუმშულიყო და ასპარეზი კოოპერაციისათვის დაეცალა.

რათ მიენიჭა ეს უპირატესობა კოოპერაციას? ამის მიზეზი თვით კოოპერაციის ბუნებაშია: კოოპერაცია ჩვენს პირობებში გზა და ხიდია სოციალიზმისაკენ. სახელმწიფო ვაჭრობაც და კოოპერაციაც კერძო კაპიტალს ებრძვიან,—ამით ისინი ერთნაირ ფუნქციას ასრულებენ. მაგრამ აქ თავდება მათი მსგავსება და იწყება განსხვავება, სახელმწიფო ვაჭრობა აპარატია, რომელიც ფართო მომხმარებელს მხოლოდ კომერციულად ხვდება, მასთან კავშირი წარმავალი და მექანიკურია. კოოპერაცია კი მშრომელი ხალხის თვით მოქმედი ორგანიზაციაა, სადაც კომერციული გზა და მეთოდი საშუალებაა მშრომელთა დასარაზმავად, მათ მატერიალურ საშუალებათა კონცენტრაციისათვის, მათ კულტურულ-საგანმანათლებლო გზაზე გამოსაყვანათ. პირველში მარტო ჩარჩის განდევნას და ნაწარმოების რეალიზაციას აქვს ადგილი, აქ კი ამას გარდა სჭარბობს თვით მშრომელთა გროშებიდან, მათი საპაიო გამოსაღებიდან მილიონიანი თანხების შექმნა, საზოგადოებრივი სიმდიდრის წარმოშობა და ამ მატერიალურ ნიადაგზე დაქუცმაცებულ მეურნეობათა დაკავშირება, მათი საერთო ქოლგაში გაბმა, საზოგადო საქმის წინ წამოყენება, სოციალისტურ წარმოებასთან ორგანიულათ დაკავშირება და იმავე სოციალისტური საქმის წარმოება მთელ რიგ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარებით. პირველი ვაჭრობს და ნაწარმოების გასაღების შემდეგ მას არაფერი ესაქმება; მეორე ვაჭრობის ნიადაგზე ქმნის ახალ საზოგადოებას, ეწევა სოციალისტურ მშენებლობას.

ამიტომ იყო, რომ საბჭოთა მთავრობამ წარმოების მოწესრიგებისთანავე უდიდესი ყურადღება მიაქცია მაშინ,—ჯერ კიდევ სუსტ კოოპერაციას. საგულისხმოა, რომ მან მაშინაც კი არ მიანიჭა ვაჭრობის მონოპოლია თავის საკუთარ ორგანოს—სახელმწიფო ვაჭრობას, არამედ სამოქმედოთ გამოიწვია საზოგადოებრივი ორგანიზაცია—მაშინ ჯერ კიდევ ფეხ-აუდგმელი კოოპერაცია. საცალო ვაჭრობის ასპარეზს სავსებით უნდა დაეუფლოს კოოპერაცია—აი ეს ლოზუნგი იქნა მაშინ წამოყენებული და ყველა პარტიული და საბჭოთა ძალები მოწოდებული იყვნენ მის განსახორციელებლათ. კოოპერაცია გაძლიერებულ იქნა მუშაკებით., საქონლით, საბრუნავი თანხებით. სახელმწიფოს ღარიბი სალაროდან მილიონობით ფული გავიდა კოოპერაციის საშუალებათა გასაძლიერებლად და ამ ზომებმაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო: დღეს კოოპერაცია მტკიცედ სდგას თავის ასპარეზზე და დღითი დღე იპყრობს პოზიციას პოზიციაზე.

მაგრამ პრაქტიკაში ხშირათ ვხვდებით ამ საერთო ხაზის გამრუდებას. სახელმწიფო ვაჭრობა ადგილს არ უთმობს საცალო ვაჭრობაში კოოპერაციას მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი საკმაოთ გაძლიერებულია, როდესაც მისი სალი საქმიანობა და წინმსვლელობა საერთოთ ცნობილია. ჩვენში ხშირათ ისეთ მახინჯ მოვლენასაც აქვს ადგილი, რომ სახელმწიფო ვაჭრობა იქ იჭრება, სადაც მას აქამდე არავითარი საქმიანობა არ ქონია და სადაც კოოპერაცია იმდენათ ძლიერია, რომ შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მოთხოვნილება. აშკარაა, აქ საქმე გვაქვს აპარატის კონსერვატიზმთან, მის ჩუმ წინააღმდეგობასთან, რომლის დაძლევა თურმე არც ისე ადვილი ყოფილა. აპარატის მუშაკნი ვერ ურიგდებიან იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ვაჭრობის აუცილებელ შეკუმშვას მის თანამშრომელთა შემცირებაც მოყვება. ამიტომ ისინი არამც თუ არ თანხმდებიან სახელმწიფო ვაჭრობის შეკუმშვაზე, როცა ის საკითხი სავსებით მომწიფებულია, პირიქით ცდილობენ მის გაფართოებას, თუნდაც ამას მიუყვეს კოოპერაციისთვის მეტოქეობის გაწევა და მისი დაუძლურება.

რა თქმა უნდა ყველგან ვერ ხერხდება, რომ აპარატის ჯიუტობამ თავისი გაიტანოს. საზოგადო-სახელმწიფოებრივი ინტერესები იმარჯვებს ვიწრო-უწყებრივ ინტერესებზე და კოოპერაცია უმტკივნეულოთ ისაკუთრებს აქამდე სახელმწიფო ვაჭრობიდან დაკავებულ ასპარეზს. ამის მაგალითათ წარმოადგენს ზუგდიდის აღმასკომის სავაჭროს გადაცემა ადგილობრივ კოოპერატივზე, რასაც ადგილი ქონდა ამ დღეებში.

ზუგდიდის კოოპერატივი ერთი ძლიერი კოოპერატივთაგანია. მის გაძლიერებას ხელს უწყობდა ის დიდი ყურადღება, რომლითაც მუდამ ეპყრობოდა მას ადგილობრივი ხელისუფლება. მაგრამ დადგა დრო, როდესაც ამ გაძლიერებულ კოოპერატივს ხელს შეუშლიდა პარალელურათ არსებული აღმასკომის სავაჭრო და აი, არახანგრძლივი აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა ბედი ამ სავაჭროსი—ის გადაეცა ზუგდიდის კოოპერატივს იმ პირობებში, რომლებიც გამომუშავებულ იქნა ცეკავშირის წარმომადგენლის მონაწილეობით.

არსებობს თუ არა ზუგდიდის პირობები სხვაგანაც? უეჭველად არსებობს და უეჭველად მომწიფდა, მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ ჯერობით ზუგდიდის მაგალითს ჩვენ ვერსად ვხედავთ. პირიქით და დიდათ სამწუხაროდ, ზოგ ალაგას ჩვენ ვხედავთ სრულიათ საწინააღმდეგო და თითქმის გაუგებარ ტენდენციას. ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფო ვაჭრობა იქ ცდილობს დაარსოს თავისი წერტილები, სადაც კოოპერაციის მდგომარეობა სამაგალითოა. ასეთია სიღნაღის მაზრა, რომლის კოოპერაციას მთელ საქართველოში დღემდე პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ მას დიდი განსაცდელი მოელის, თუ განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის და სიღნაღის აღმასკომის განზრახვა—გააფართოვონ სახელმწიფო ვაჭრობის ქსელი ძლიერი კოოპერატივების გვერდით. ველისციხე, გურჯაანი, ლაგოდეხი, თვით სიღნაღი—ეს კოოპერატიული გიგანტები არა მარტო საქართველოს მასშტაბით- თურმე აღარ კმარან იმ საქონლის გასაღებლად, რომელიც წილად ხვდება ამ რაიონს, და სახელმწიფო ვაჭრობაა იშველიებენ!

რას ნიშნავს აქ სახელმწიფო ვაჭრობის ახალი წერტილების გახსნა? არა ბაზრის დაპყრობას და მის მოწესრიგებას, არამედ მის არევდარევას. კოოპერაციისთვის მეტოქეობის შექმნას და მის დაუძლურებას. კოოპერაციისადმი მცხოვრებთა მიმზიდველობის შესუსტებას და საპაიო თანხების დაგროვების შენელებას. ეს ისე აშკარაა, რომ გაუგებარია, რატომ სწორეთ სიღნაღის მაზრაში იჩინა ამ ტენდენციამ თავი, მაშინ როდესაც იქაური ხელისუფლებას დიდი ღვაწლი აქვს დადებული კოოპერაციაზე? რაშია საქმე? როგორ ეგუება ერთმანეთს აქამდე კოოპერაციისთვის ყოველმხრივათ ხელისშეწყობა და ახლა კი მისთვისვე ხელშემშლელ პირობების შექმნა?

როგორც გადმოგვცემენ, ასეთსავე ტენდენციას რაჭის მაზრაშიაც აქვს ადგილი. ჩვენ ვიცით, რომ იქაური კოოპერატივები თავისი სალი მუშაობით საკმაოთ განირჩევიან და თავის მოვალეობას პირნათლათ ასრულებენ. მაშ რით დაიმსახურეს მათ ეს უაზრო მეტოქეობის განსაცდელი?

აუცილებლად საჭიროა, სულ მოკლე ხანში კონკრეტიულად დაისვას საკითხი სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ურთიერთობისა საცალო ვაჭრობის ასპარეზზე და ყველა ცალკე რაიონებისთვის ის შესაფერათ გადაწყდეს. თვალწინ გვაქვს ზუგდიდის და სიღნაღის ფაქტი. ერთი მათგანი უნდა იქნეს საერთოთ ცნობილი და მოდებული.

მ. ტოროშელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

იტალიელ კომუნისტების პროცესი

პარიზი, 2 თებერვალი. ახლო ხანში რომში დაიწყება 53 იტალიელ კომუნისტის პროცესი. ბრალდებულთა შორის 29 მუშაა, დანარჩენები მოსამსახურეები, ვექილები, ყოფ. დეპუტატები, ექიმები და პროფესორებია.

ბრალდებულთა შორის არიან: პროფ. გრამში (ყოფ. დეპუტატი, იტალიის კომპარტიის ცეკას წევრი), ფერრარი (ყოფ. დეპუტატი, პროფესიონალური კავშირების მუშაკი), გრიეკო (ჟურნალისტი, ყოფ. დეპუტატი, იტალიის კომპარტიის ცეკას წევრი, გლეხთა ინტერნაციონალის იტალიის საქმეთა დეპუტატი, კომპარტიის საპარლამენტო ფრაქციის მდივანი), მაფფი (ცნობილი ექიმი, პროფესორი, ყოფ. დეპუტატი, იტალიის კომპარტიის ცეკას წევრი), სალვატორი (ვექილი, ყოფ. დეპუტატი), სკოჩიმარო (სწავლული ეკონომისტი, იტალიის კომპარტიის ცეკას წევრი), ტერრაჩინი (ვექილი, ჟურნალისტი, იტალიის კომპარტიის ცეკას წევრი, პარტიის ორგანო „უნიტას“ რედაქტორი).

ბრალდებულებს წარდგენილი აქვთ შემდეგი ბრალდებები: კომუნისტური პროპაგანდა, დახმარებათა შეგროვება გაფიცულ ინგლისელ მემაღაროეთა სასარგებლოთ, ფულადი შემოწირულებების შეგროვება ფაშიზმის მსხვერპლთა დასახმარებლად, კომპარტიის ორგანო „უნიტას“ გამოცემა, მუშათა დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა კავშირში და სხ. გარდა ამისა ვექილებს ბრალი ედებათ ფაშიზმის მტრების დაცვაში (ადს).

კანტონის ბანკების გაკოტრება

შანხაი, 2 თებერვალი. კანტონიდან მიღებული ცნობით, კანტონში ჩინურ ბანკების საერთო რიცხვის სამმა მეოთხედმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა და შესწყვიტა ოპერაციები (ადს).

თეთრგვარდიელი ტერორისტები გაემგზავრენ ფინეთიდან

ჰელსინგფორსი, 3 თებერვალი. ჰელსინგფორსის გაზეთების ცნობით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მომწყობნი, თეთრგვარდიელები პოლკოვნიკი გრიგორიევი და პორუჩიკები შევცოვი და ლარიონოვი გაემგზავრენ ფინეთიდან (ადს).

ეროვნული გლოვის დღე ინდოეთში

ლონდონი, 3 თებერვალი. ბომბეიში მოსახლეობა აწყობს დიდ დემონსტრაციებს, რომლის მიზანია—საიმონის კომისიისთვის ბოიკოტის გამოცხადება. საპროტესტო დემონსტრაციები იმართება აგრეთვე მადრასში. ბოიკოტის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მადრასში მოხდა შეტაკება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო პოლიციამ. დემონსტრაციის 2 მონაწილე მოკლულია, დაჭრილია 17. დაჭრილია აგრეთვე 8 პოლიციელი.

მადრასში დაკეტილია ინდოელთა ყველა სავაჭრო და სამრეწველო წარმოებები. წესრიგი ჯერ კიდევ არაა აღდგენილი. გამოწვეულია ჯარები.

უზენაეს სასამართლოსთან თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა. ბრბო ქვებს ესროდა პოლიციელებს, შემდეგ დემონსტრანტები თავს დაესხენ ევროპიელებს, რომლებიც ავტომობილებით ბრუნდებოდენ სახლში. ბრბომ სრულიად დაამსხვრია 2 ავტომობილი. ქალ. კალკუტაში გამოცხადებულია საპროტესტო გაფიცვა. ქალაქის განაპირა უბნებში ავტობუსებს და ტრამვაის ვაგონებს ხალხი ქვებს უშენდა. პატრულები ყველა განაპირა რაიონებში გამოდიან ჯავშნოსანი ავტომობილებით. ტრამვაის და ავტობუსების მოძრაობა სწარმოებს პოლიციელების თანხლებით (ადს).

„დიპლომატიური მიღება“

ბერლინი, 2 თებერვალი. ბესარაბიის ოკუპაციის 10 წლის თავის შესრულების გამო გერმანელ საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია გამოცხადდა რუმინეთის მისიაში, სადაც დელეგაციამ პროტესტი განაცხადა რუმინეთის მიერ ბესარაბიის მცხოვრებთა შევიწროების წინააღმდეგ და მოითხოვა ბესარაბიელთათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება.

რუმინეთის ელჩმა კანომ დელეგაციას მკაცრი კილოთი განუცხადა, რომ გერმანელ მოღვაწეებს შეუძლიანთ თავი არ შეიწუხონ რუმინეთის საქმეებით. შემდეგ ელჩმა წინადადება მისცა დელეგაციას დაუყოვნებლივ დაეტოვებია მისიის შენობა.

დელეგაციაში შედიოდენ ადამიანის უფლებათა ლიგის, ქალთა თავისუფლების ლიგის და მუშათა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების წარმომადგენლები (ადს).

რა ხდება უცხოეთში.

შესაძლებელია, თუ არა ომი ინგლისსა და ამერიკას შორის?

მთელი ინგლისური პრესა (გარდა კომუნისტურისა) იშვიათი ერთსულოვნობით უარყოფითი პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. უფრო მეტი, იგი (ინგლისის პრესა) აღშფოთებით უარჰყოფს თვით აზრს შეერთებულ შტატებთან ომის შესაძლებლობის შესახებ, თვით დაშვება ამ ომის შესაძლებლობის, როგორც კონსერვატიულ, ისე ლიბერალურ პრესას, უდიდეს დანაშაულად მიაჩნია. მაგრამ მაინც აღმოჩნდა ერთი ორგანო, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი უარჰყოფს ომის შესაძლებლობას, ეყო „გამბედაობა“ პირობით დაეშვა ეს შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ გაერკვია რა ხასიათს მიიღებს ასეთი ომი და რა შედეგი მოყვება მას.

ეს ორგანოა ყოველკვირეული ლიბერალური „ნიუ-სტეიტსმენ“, რომელიც აყენებს შემდეგ კითხვას: „რა მიზნებს ისახავს ამერიკა, როცა მოითხოვს ინგლისის და ამერიკის საზღვაო ძალების გათანასწორებას კრეისერების დარგში?“ როგორც ვიცით, ეს საკითხი შეიქნა მიზეზი სამთა კონფერენციის ჩაშლისა ჟენევაში (სადაც ამერიკა, ინგლის-ამერიკა-იაპონიისათვის მოითხოვდა შემდეგ შეფარდების დაცვას საზღვაო დარგში 5:5:3).

„ნიუ სტეიტსმენ“ ამტკიცებს, რომ თანასწორობის პრინციპი, რომელსაც კულიჯი იცავს, სრულ უაზრობას წარმოადგენს. დეე, ამერიკამ ააშენოს იმდენი კრეისერები, რამდენიც მას მოეხასიათება, თუგინდ კიდეც გაუსწროს ინგლისს, თუ ეს მას სურს. ამ შემთხვევაში მას მოუხდება აუარებელი თანხების დახარჯვა და დიდძალი სამუშაო ძალის დაკარგვა ისეთი საზღვაო ერთეულების აგებაზე, რომლებიც მას სულ ერთია არ დასჭირდება,— სწერს „ნიუ სტეიტსმენ“.

სწორედ აქ უახლოვდებით ჩვენ ინგლის-ამერიკის ომის შესაძლებლობის საკითხს.

„მართლაც და, რათ ესაჭიროება ამერიკას დიდი ფლოტი?—მსჯელობს „ნიუ სტეიტსმენ“. ინგლისთან ომისათვის? მაგრამ რომც დაუშვათ ამ ომის შესაძლებლობა, ამერიკის ფლოტს მასში არაფერი ექნება გასაკეთებელი. ინგლის-ამერიკის საზღვაო ომი წინასწარ შეიძლება შეუძლებლად ჩაითვალოს. თუ ინგლისს შეუძლია რამდენიმე სამხედრო გემის გაგზავნა ამერიკის სანაპიროებისაკენ, სადაც მას მოეპოვება რამდენიმე საზღვაო ბაზა, შეერთებული შტატები სრულიად მოკლებულია ამ შესაძლებლობას. მთელი ომი ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის იწარმოებს კანადის საზღვარზე და მთელი საკითხი იმაში იქნება—შესძლებს, თუ არა ინგლისი საკმაო სისწრაფით გაუგზავნოს კანადას დამხმარე ძალები, რომ აიცილოს მისი ოკუპაცია შეერთებული შტატების მიერ. ინგლისი ამას ვერ შესძლებს, მაგრამ სამაგიეროდ გამოაცხადებს შეერთებული შტატების სავაჭრო ბლოკადას, რასაც ინგლისის ფლოტი შესძლებს, რა მცირე რიცხოვანიც არ იყოს იგი. დეე შეერთებულმა შტატებმა დაიპყრონ კანადა, ამას მიუმატოს იამაიკა და ინგლისის გვიანა. ღირს ეს ევროპასთან ვაჭრობათ? შეერთებული შტატების ბლოკადას ხელს ვერ შეუშლის ვერავითარი ამერიკული ფლოტი, რა გინდ ძლიერი არ იყოს იგი“.

როგორი დასკვნები გამოჰყავს ლიბერალურ ორგანოს? „დაუშვათ,—სწერს „ნიუ სტეიტსმენ“, რომ ჩვენ გვესაჭიროება 30 კრეისერი. თუ ამერიკას სურს იყოლიოს 30 ან თუგინდ 60 კრეისერი, ჩვენ არა გვაქვს საბუთი ამის წინააღმდეგ პროტესტი განვაცხადოთ. მაგრამ ჩვენ ვერ დავთანხმდებით ჩვენი კრეისერების შემცირებაზე 10-დე იმ მოსაზრებით, რომ შეერთებულ შტატებს მხოლოდ 10 კრეისერი ჰყავს“.

ასეთია „ნიუ სტეიტსმენის“ ფილოსოფია „პატივცემულმა“ ლიბერალურმა ორგანომ იმის მაგიერ, რომ დაემტკიცებია ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის ომის შეუძლებლობა, პირიქით დაამტკიცა, რომ ეს ომი შესაძლებელია. და მართლაც, თუ ინგლისის მხარეზე არის ის უპირატესობა, რომ მას შეუძლია გამოაცხადოს შეერთებული შტატების სავაჭრო ბლოკადა, შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რასაკვირველია, არ დაუჯერებენ ინგლისის ლიბერალური და კონსერვატიული პრესის მტკიცებას ინგლის-ამერიკის ომის უაზრობის შესახებ და შეეცდებიან ინგლისის ზემოხსენებული უპირატესობა გააქარწყლონ. რომ ინგლისის პრესის კამპანია ინგლის-ამერიკის ომის შეუძლებლობის გარშემო ფარისევლობაა და მიზნად ისახავს მართლაც უაზრო ამოცანას—ამერიკელ იმპერიალისტების სიფხიზლის მიძინებას, ამას ამტკიცებს ინგლისის საზღვაო მინისტრის ბრიჯმენის განცხადება კულიჯის მიერ კონგრესისათვის გაგზავნილ მიმართვის საპასუხოდ. კულიჯის მიმართვაზე კონგრესისადმი, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა მიიღოს ზომები დაგროვილ სიმდიდრეთა დასაცავად, ბრიჯმენმა განაცხადა, რომ „ინგლისი იღებს კულიჯის გამოწვევას, საზღვაო შეიარაღებაში მეტოქეობის შესახებ“.

10 იანვარს შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა ვილბურმა კონგრესში შეიტანა წინადადება ერთ მილიარდ ოთხასორმოცდაათი მილიონის გადადების შესახებ საზღვაო შეიარაღებისათვის. ამ თანხით ხუთი წლის განმავლობაში აგებული უნდა იქნეს 25 კრეისერი, 5 სპეციალური გემი—ჰაეროპლანების სადგური, 9 ნაღმოსანი და 32 წყალქვეშა ნავი.

რისთვის ესაჭიროება შეერთებულ შტატებს სამხედრო ფლოტის ასე გადიდება?—აშკარაა არა ამერიკელ სენატორების გასაცინებლად, არამედ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც ჯერ-ჯერობით სამხედრო უპირატესობა აქვს. ეს არის ინგლისი.

ამრიგად „ნიუ სტეიტსმენის“ ფილოსოფიას ყოველგვარი ნიადაგი ეცლება.

ვ. ზ—ძე.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლენინის თხზულებანი

მოსკოვი, 3 თებერვალი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ დაადგინა დაევალოს ლენინის ინსტიტუტის დირექციას, რათა 1928 წლის განმავლობაში გამოუშვას ლენინის თხზულებათა 12 ტომი და 1929 წლის განმავლობაში ოქტომბრის რევოლიუციის თორმეტი წლის თავზე დანარჩენი ათი ტომი (ადს).

პირველდაწყებითი საყოველთაო სწავლება რუსეთში

მოსკოვი, 3 თებერვალი, 2 თებერვალს საბჭოთა რუსეთის განათლ. სახ. კომისარიატში დაიწყო ავტონომიური რესპუბლიკების განათლების კომისართა თათბირი, რომელიც მოწვეულია პირველდაწყებითი საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღების ზოგად რესპუბლიკანური გეგმის განსახილველად და ჩამოსაყალიბებლად.

თათბირს ესწრებიან საბჭოთა რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების კომისართა გარდა ბელორუსიის, უზბეკისტანის და აზერბეიჯანის წარმომადგენელნი (ადს).

ფინეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია

ლენინგრადი, 3 თებერვალი. დღეს ჰელსინგფორსიდან ლენინგრადში დაბრუნდა ფინეთ-საბჭოთა კავშირის მე-5 სარკინიგზო კონფერენციის საბჭოთა კავშირის დელეგაცია. კონფერენციამ განიხილა 30-მდე საკითხი (ადს).

კოზლოვის ექსპედიცია ცენტრალურ აზიაში

მოსკოვი, 3 თებერვალი. სახელმწიფო გეოგრაფიულ საზოგადოებას განზრახული აქვს მოაწყოს სამწლიანი ექსპედიცია ცენტრალურ აზიაში; ექსპედიციის ხელმძღვანელად დასახელებულია ცნობილი მოგზაური პ. კ. კოზლოვი. ექსპედიციამ უნდა შეისწავლოს ტიბეტის მთები, უნდა გამოიკვლიოს ჩინეთის უდიდესი მდინარის—იან-ცზე-ცზიანის სათავეები. ექსპედიცია 1928 წელში უნდა გაემგზავროს ვერხნეუდინსკიდან ურგუში. იან-ცზე-ცზიანის სათავეები დღემდე გამოუკვლეველია (ადს).

ამხ. ხინჩუკი პურის დამზადების შესახებ

მოსკოვი, 3 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ხინჩუკმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„მთავრობის ენერგიულმა ზომებმა, პრესის გაძლიერებულმა კამპანიამ პურის გამზადების საკითხების გარშემო და საზოგადოებრივმა ზეგავლენამ გამოიწვია ის, რომ მდგომარეობა პურის დამზადების ფრონტზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ჩვენს განკარგულებაში არსებულ ცნობებიდან სჩანს, რომ იანვრის მესამე ხუთდღეულიდან პურის დამზადება ძლიერ გაიზარდა, მეხუთე ხუთდღეულში კი ორჯერ მეტი პურია დამზადებული, ვიდრე პირველ ხუთდღეულში. უნდა ვიფიქროთ, რომ სულ იანვარში დამზადებული იქნება 1.100—1.150 ათასი ტონა პური წარსულ წლის იანვარში დამზადებულ 950 ათას ტონის წინააღმდეგ. მაგრამ მთელი რიგი რაიონები, მაგალითად ურალი, ბაშკირეთის რესპუბლიკა და ციმბირი, ჯერ კიდევ საკმაოდ არ ამოძრავებულა და იქ ვერ ვხედავთ სათანადო ეფექტს. ამიტომ მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ მომავალშიაც შეუსუსტებელი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს და კიდევ უფრო გარკვეულად და შეთანხმებით უნდა იმუშაოს პურის დამმზადებელმა აპარატმა“ (ადს).

საკავშირო პროფსაბჭო შრომის სახ. კომისარიატის დადგენილების წინააღმდეგ

მოსკოვი, 3 თებერვალი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა თავის დირექტივებში გაძლიერებულ დახმარების მიცემის შესახებ იმ მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც ითხოვენ აპარატის რაციონალიზაციის გამო, აღნიშნა, რომ ასეთი დახმარება არ ეძლევა იმ მოსამსახურეს, რომელიც უარს აცხადებს გადავიდეს სხვა მუდმივ საცხოვრებელ ბინის გამოცვლასთან დაკავშირებულ სამუშაოზე, ან ისეთ დროებით სამუშაოზე, რომელიც გრძელდება არა ნაკლებ ორი თვისა.

საკავშირო პროფსაბჭომ სცნო, რომ ეს დირექტივა ეწინააღმდეგება ძირითად კანონს აპარატის რაციონალიზაციის გამო დათხოვნილ მოსამსახურეთათვის გაძლიერებულ დახმარების მიცემის შესახებ, და დაადგინა სთხოვოს შრომის სახალხო კომისარიატს გააუქმოს ეს დირექტივები (ადს).

საბჭ. კავშირის ერების ცენტრალური გამომცემლობა

მოსკოვი, 3 თებერვალი. 3 თებერვალს საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმში მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის ერების ცენტრალური გამომცემლობის საანგარიშო მოხსენება.

გამომცემლობის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ტიურიაკულოვმა თავის მოხსენებაში დაახასიათა გამომცემლობის მუშაობა მისი არსებობის განმავლობაში

კამათში გამოსულმა ამხ. ალამალი-ოღლიმ (აზერბეიჯანი) მიაქცია ეროვნებათა საბჭოს ყურადღება იმაზე, რომ აუცილებელია ლიტერატურის უფრო ფართოდ გამოცემა თურქულ-თათრულ ენებზე.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ტიურიაკულოვმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სიფრთხილე საგამომცემლო საქმის დეცენტრალიზაციის საკითხის გადაწყვეტის დროს. ცენტრალური გამომცემლობა არ ეწინააღმდეგება დამოუკიდებელ ნაციონალურ გამომცემლობათა შექმნას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოყოფა აუმჯობესებს ამა თუ იმ ერის კულტურულ საქმიანობას.

საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ კავშირის ეროვნებათა ცენტრ. გამომცემლობის მუშაობა ფართოდ ვითარდება; ამასთანავე საბჭომ წინადადება მისცა გამომცემლობას, რომ ძირითადი ლიტერატურა მომავალში გამოცემულ იქნას ეროვნული უმცირესობისა და ჩამორჩენილი ხალხების ენებზე (ადს).

პასუხისგებაში მიცემა დაუდევრობისათვის

კიევი, 3 თებერვალი. საოლქო პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა სამხრეთ-დასავლეთის რკინისგზათა საექსპლოატაციო განყოფილების უფროსის სტეპელი, სატვირთო ნაწილის უფროსი მაზიმი და საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი ალექსანდროვი; მათ გზათა კომისარიატისაგან ტელეგრაფით ცნობა მიიღეს კერძო ტვირთების გადატანა-გადმოტანის აკრძალვის შესახებ, მაგრამ ეს განკარგულება დაგვიანებით დაგზავნეს. გზათა კომისარიატის მეორე განკარგულება ეხებოდა პურის გადატანას ვაგონეტებით; იმის მაგიერ, რომ ზემოხსენებულ პირებს ეს განკარგულება რკინისგზის ხაზზე ტელეგრაფით გადაეცათ,— პრესაში გამოაცხადეს, ისიც დაგვიანებით, რამაც დიდხანს შეაფერხა კომისარიატის დადგენილების განხორციელება (ადს).

ფიზკულტურის საკავშირო დღესასწაული

მოსკოვი, 3 თებერვალი. 2 თებერვალს პოკროვსკის სტრემნევოში მოსკოვის მახლობლად გაიხსნა ფიზკულტურის საკავშირო საზამთრო დღესასწაული. დღესასწაული დაიწყო შეჯიბრით თხილამურში, რომელსაც მიუხედავად სამუშაო დღისა, დიდძალი ხალხი დაესწრო. 30 კილომეტრის დისტანციაზე პირველად მოვიდა ტულელი მუშა-მილიციონერი დოდონოვი, რომელმაც აჯობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ვასილიევს (მოსკოვი). (ადს).

მოსკოვი, 3 თებერვალი. ფიზკულტურის საკავშირო საზამთრო დღესასწაულის პირველი დღის საერთო შედეგები ასეთია: თხილამურის პირველობა საბჭოთა კავშირში, 30 კილომეტრის მანძილზე, დაიკავა დოდონოვმა (ტულა).

პირველობა 20 კლმ., დაიკავა ახალგაზ. რკ. გზელმა ნოვიკოვმა (მოსკოვი), პირველობა ახალგაზრდობაში, 10 კილომეტრის მანძილზე, დაიკავა ლუკიანოვმა (ტულა), ქალებში—5 კილომეტრის მანძილზე, პირველი ადგილი დაიკავა მოსკოველმა მუშუქმა ატლეტმა ქალმა ჩისტიაკოვამ. (ადს).

ნამქერი ოდესაში

ოდესა, 3 თებერვალი. 2 თებერვალს, ღამე ისეთი დიდი ნამქერი დატრიალდა, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში ამის მსგავსი არ ყოფილა. ქალაქი დაჰფარა თოვლის დიდმა თოემა, ტრამვაის მოძრაობა შეჩერდა.

ძლიერი ქარ-ბუქის გამო ნავთსადგურში სრულიად შესწყდა მუშაობა.

ზღვაში არც-ერთი გემი არ გასულა. ძლიერმა ქარიშხალმა ნავთსადგურის მახლობლად ზოგიერთ შენობას სახურავი მოჰგლიჯა, წაქცეულია ბევრი სატელეგრაფო ბოძი.

ოდესის სანაპირო რადიო-სადგურმა რამდენიმე ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ გემებს გრიგალმა ზღვაზე მოასწრო. სამხრეთ ამერიკიდან ოდესაში მომავალმა ინგლისის გემმა „ლოსბეკმა“ კავშირი დაჰკარგა გარეშექვეყნიერებასთან და იძულებული გახდა ლუზა ჩამოეშვა რუმინეთის სანაპიროების მახლობლად. „სოვტორგფლოტის“ სამგზავრო გემებმა თავი შეაფარეს უახლოეს ნავთსადგურებს. (ადს).



წითელი არმიის მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში

მოსკოვი, 3 თებერვალი. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ წითელმა არმიამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციაში. იმის უზრუნველსაყოფად, რომ სესხში ფართო მონაწილეობა მიიღოს წითელ არმიის მეთაურთა შემადგენლობამ და განსაკუთრებით წითელ არმიელებმა, ნაყიდ ობლიგაციის ღირებულების ნაწილ-ნაწილ გასასტუმრებლად წითელ არმიელებს უნდა მიეცეს 15 თვის ვადა, დანარჩენ შემადგენლობას კი—ათი თვის (ადს).

სესხი და გლეხკომები

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ყოფ. რუსეთის იმპერიაში გაანადგურა და მიწასთან გაასწორა კაპიტალისტები, მემამულეები და სამღვდელოება და ქვეყნის ბატონ-პატრონი მშრომელი მასები გახადა. საბჭოთა ხელისუფლების მთელი ენერგია იქითკენაა მიმართული, რომ განამტკიცოს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი. საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობამ ამ ათი წლის განმავლობაში განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. მუშების და გლეხების დახმარებით არა თუ აღვადგინეთ და ავამუშავეთ ძველი ფაბრიკა-ქარხნები, არამედ ავაგეთ და გავხსენით მრავალი სხვა ახალი ქარხნები და ფაბრიკები, მთელი მუშურ-გლეხური სახელმწიფო დავაყენეთ ინდუსტრიალიზაციის გზაზე და ხელი მივყავით სოციალისტურ მშენებლობას.

მაგრამ მიღწეული შედეგებით ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავკმაყოფილდებით. ჩვენ კიდევ მეტი ენერგიით უნდა გავწიოთ წინ. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველა საშუალებას ხმარობს სახალხო მეურნეობის განსავითარებლად, დღეს მას კიდევ არა აქვს იმდენი შეძლება, რომ ამ დარგში ყველა ჩვენი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ამისათვის საჭიროა, რომ მშრომელი მასა, მუშები და გლეხები გვერდში ამოუდგენ ხელისუფლებას და თავისი დახმარებით ხელი შეუწყონ მშენებლობის წარმატებას. ქვეყნის მშენებლობითი საქმეში მშრომელი მასის ჩასაბმელად და მონაწილეობის მისაღებად ჩვენი მთავრობა, სხვათა შორის, მიმართავს სესხებს.

1927 წლის ნოემბერში გამოშვებული იქნა ინდუსტრიალიზაციის სესხი—200 მილიონი მანეთი. ამ სესხის გავრცელებაში უდიდესი როლი ითამაშეს მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც მხურვალედ გამოეხმაურენ ჩვენი ხელისუფლების მოწოდებას; ეს სესხი მათ შორის განაწილებულ იქნა სულ მოკლე დროში. მაგრამ მთავრობას კიდევ ესაჭიროება საშუალებები. ჩვენ წინაშე სდგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, საკითხი ჩვენი სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და გამაგრებისა. ამ შემთხვევაშიც მთავრობა მიმართავს სესხს, რომელიც გასაღებული უნდა იქნეს ჩვენს გლეხკაცობაში. მთავრობის მიერ ამჟამად გამოშვებული იქნა სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხი ასი მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს სესხი მთლიანად მოხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამიტომ სოფლის ყველა პატიოსანი გლეხის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ სესხის გავრცელების საქმეს. არც ერთი სოფლის მშრომელი არ უნდა დარჩეს ისე, რომ არ შეიძინოს სესხის ობლიგაციები. აგრეთვე ყველა სოფლად მომუშავე ორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გავრცელებაში.

თვალსაჩინო როლის თამაში შეუძლია აქ გლეხკომებს, ვინაიდან ეს ორგანიზაციები მასიური გლეხური ორგანიზაციებია, რომლებიც აერთიანებენ და აკავშირებენ სოფლის ფართო მოსახლეობას. გლეხკომებმა აქ თავიდანვე უნდა ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა სოფლად ამ სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად. როგორ უნდა აწარმოონ გლეხკომებმა ეს მუშაობა? საჭიროა მოწვეულ იქნეს გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების წევრების საერთო კრებები, სადაც გაკეთებული უნდა იქნეს მოხსენებები სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის მნიშვნელობაზე; უნდა გასწიონ აგიტაცია-პროპაგანდა თავიანთ წევრებს შორის და მით ხელი შეუწყონ სესხის გავრცელების საქმეს. გარდა ამისა, თვითონ გლეხკომებმა თავიანთი სახსრებით უნდა შეიძინონ სესხის ობლიგაციები. მათ შეუძლიათ აგრეთვე იკისრონ სესხის ობლიგაციების გავრცელება, რისთვისაც ისინი მიიღებენ სათანადო გასამრჯელოს; ორი პროცენტი გავრცელებული სესხისა დარჩებათ მათ განკარგულებაში.

არც ერთი გლეხი საურთიერთო დამხმარე საზოგადოების წევრი, არც ერთი გლეხკომი არ უნდა დარჩეს ისე, რომ არ შეიძინოს გლეხის მეურნეობის სესხის ობლიგაციები.

ქ. ხომერიკი.

რადიოს როლი სესხის გავრცელების საქმეში

რადიოს მონაწილეობის შესახებ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის საქმეში სააქციო საზოგადოება „რადიო გადაცემა“-ს რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ამხ. ქ. ანდრიაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

—საქართველოში ამჟამად ჩვენ გვაქვს 200 მსმენელი რადიო-მიმღები სადგური, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლებთანაა დაკავშირებული. ამიტომ სესხის შესახებ მოხსენებების გადაცემას თბილისის რადიო-სტუდიიდან დიდი მნიშვნელობა ექნება სესხის წარმატებით რეალიზაციისათვის.

ჩვენ უკვე გადავეცით რადიოს საშუალებით 8 მოხსენება ოთხ ძირითად ენაზე: ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე. 25 თებერვლიდან ჩვენ ვიწყებთ სისტემატიურ კამპანიას სესხის პოპულარიზაციისათვის გლეხთა შორის.

გარდა მოხსენებებისა, ჩვენ ადგილებს ვაწვდით ცნობებს სესხის რეალიზაციის მსვლელობის შესახებ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში; ეს ცნობები ჩვენ მოგვდის მოსკოვიდან. რადიოს საშუალებით ჩვენ გადავცემთ აგრეთვე ზოგიერთი ორგანიზაციების ლოზუნგები და მოწოდებები.

შემდეგში განზრახული გვაქვს მოვაწყოთ გლეხთა მიტინგები, რისთვისაც დაუკავშირდებით გლეხთა სახლს, და კითხვა-პასუხების საღამოები, რომლებიც აგრეთვე გადაცემული იქნება რადიოთი. იმას გარდა, კვირაობით დილით მოეწყობა სპეციალური საგლეხო კონცერტები, რომელთა დანიშნულებაა სესხის მნიშვნელობის განმარტება.

ახლო ხანში მოხდება რადიო-სტუდიის საზეიმო გახსნა (სტუდია გადავიდა ახალ ბინაზე), რომელზედაც მოწვეულნი იქნებიან პასუხისმგებელი ამხანაგები, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და გაზეთების თანამშრომლები. გახსნის დღეს სტუდიაში გაიმართება მიტინგი და დიდი კონცერტი, რომელიც გადაცემული იქნება რადიოთი.

სესხის ქრონიკა

სესხის რეალიზაციის ხელმძღვანელობა

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანიის სახელმძღვანელოთ ამიერ-კავკ. ფინსახკომის მიერ აზერბეიჯანში მივლინებულია ამიერ-კავკ. ფინსახკომის სახელმწიფო სესხების განყოფილების გამგე ამხ. ორიცფუზოვი, სომხეთში—ამიერ-კავკ. ფინსახკომის მთავარი ინსტრუქტორი ამხ. გერციშიანი.

ამავე მიზნით სომხეთში გაემგზავრა საკავშირო ფინსახკომის მთავარი ინსტრუქტორი—ამხ. მალიხინი.

საქ. სასოფ.-სამ. ბანკის ინსპექტორების თათბირი

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკთან შესდგა ბანკის ინსპექტორების თათბირი, რომელმაც განიხილა საქართველოში გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის ხელისშეწყობის საკითხი.

სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩასატარებლად, თათბირმა საჭიროდ სცნო სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებისათვის ცირკულიარების დაგზავნა სათანადო განმარტებებით და მოწოდებით — მიიღონ აქტიური მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში.

თათბირის დადგენილებით, რაიონულ ინსპექტორებს დაევალა უდიდესი ყურადღება მიაქციონ სესხის რეალიზაციას და თავის თავზე მიიღონ საკრედიტო ამხანაგობებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ამ საქმეში.

ასეთივე ღონისძიებების გატარება დაევალა ბანკის კახეთის და სიღნაღის განყოფილებებს და გაეგზავნა ცნობა აჭარისტანის და აფხაზეთის ბანკებს.

პარტიული ცხოვრება

სომხეთის ცეკას პლენუმი

სომხეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარის ამხ. ერზინკიანის მოხსენება

ერევანი, 2 თებერვალი. სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას გაფართოებულ პლენუმზე მოხსენება მიწადმოწყობის შესახებ გააკეთა ამხ. ერზინკიანმა.

„მიწადმოწყობის ძირითადი ამოცანა,—განაცხადა მომხსენებელმა,—მდგომარეობდა იმაში, რომ პირველ რიგში გადაგვეწყვიტა ოქტომბრის რევოლიუციის მიერ დასმული ამოცანა—ყველა მიწების გადაცემა მშრომელთათვის. ამ მუშაობაში ჩვენ გადავეყარეთ მნიშვნელოვან დაბრკოლებანი: მიწის ნაკლებობა, მიწის მზომელთა საკმაო კადრის უქონლობა და სხვ.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი პირველ რიგში შეუდგა მიწის განაწილებას მშრომელ გლეხობას შორის. ეს ამოცანა 1927 წელში დავამთავრეთ ყველგან, გარდა ტყეებში მდებარე რამდენიმე სოფლისა. შარშან ჩვენ შევუდექით მუშაობას ძირითად მიწადმოწყობისათვის. ჩვენი მუშაობა ამ მხრივ მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა განვავითაროთ ინტენსიფიკაციისა და მექანიზაციის ნიადაგზე. ისეთი წვრილი კარლიკური მეურნეობანი, როგორიც ჩვენ გვაქვს სომხეთში, მხოლოდ კოლექტივიზაციის მეოხებით შეიძლება განვითარდეს ინტენსიფიკაციის და მექანიზაციის საფუძველზე. ამიტომ ჩვენი ამოცანაა მიწადმოწყობის მუშაობა ვაწარმოოთ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის გაადვილების მიმართულებით“.

ამხ. არუთინიანის მოხსენება

მოხსენება სომხეთის სასოფლო მეურნეობის კოოპერაციაში შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის შესახებ გააკეთა „აიგიუხკოოპის“ თავმჯდომარემ ამხ. არუთინიანმა.

ერთ-ერთი [illegible] ამჟამად სდგას „აიგიუხკოოპის“ წინაშე,—სთქვა ამხ. არუთინიანმა,—არის ჩვენი პერიფერიის გამაგრება და გაჯანსაღება.

ამ მიზნით ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ზომები, რის შედეგადაც ჩვენ გვექნება 131 სრულიად ჯანსაღი კოოპერატიული ამხანაგობა, საპერსპექტივო გეგმით, კოოპერატიულ ამხანაგობათა და არტელების ქსელი გადიდებულ იქნება 263 ერთეულამდე. ამჟამად ჩვენ გვაქვს 46 912 კოოპერაციაში შეკავშირებული სასოფლო მეურნეობა. „აიგიუხკოოპის“ ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაში ყოველ წლობით იზრდება. დამზადების უმთავრესი საგნებია სამრეწველო ნედლეული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და საექსპორტო საქონელი. „აიგიუხკოოპი“ უმთავრეს ყურადღებას აქცევს სასოფლო-სამეურნეო იარაღების მექანიზაციას. 1927 წ. მოწყობილ იქნა სას.-სამ. იარაღების 2 სარემონტო სახელოსნო. უდიდესი მუშაობა „აიგიუხკოოპმა“ ჩაატარა სას.-სამ. ნედლეულის გადამუშავების დარგში. აღდგენილ იქნა დაშნაკების ხელისუფლების პერიოდში დანგრეული წარმოებანი. სას.-სამ. ნედლეულის გადამუშავებულ ახალ წარმოებათა მოსაწყობად უახლოეს ხანში დაიხარჯება 1 მილიონ მანეთი. უკანასკნელ ხანებში სომხეთში ძლიერ გაფართოვდება კოლექტიურ მეურნეობათა ქსელი.

პლენუმის დახურვა

ერევანი, 3 თებერვალი. დაიხურა სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი. პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები ყველა მოხსენებათა გამო: მიწადმოწყობის სამუშაოთა, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის და კოოპერაციაში შეკავშირებისა, ექსპორტისა და სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ (ადს).

რა მოგვცა ოქტომბრის გაწვევამ

მოსკოვი, 3 თებერვალი 1 თებერვალს დამთავრდა ოქტომბრის გაწვევა. გაწვევის დასაწყისიდან განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ შეიტანა 115.200 მუშამ და მუშა-ქალმა. სწორი ცნობები ოქტომბრის გაწვევის შესახებ გამორკვეულ იქნება თებერვლის შუა ან ბოლო რიცხვებში. როცა შეგროვდება ყველა მასალები ადგილებიდან.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ პარტორგანიზაციებს მისცა წინადადება 1 თებერვლიდან გადავიდენ ნორმალურ მუშაობაზე წარმოების მუშათა პარტიაში ჩაბმის დარგში (ადს).

პარტიის კანდიდატთა შემადგენლობა

მოსკოვი, 3 თებერვალი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებას დაავალა ერთი თვის განმავლობაში დაამუშაოს პარტიის კანდიდატთა შემადგენლობის შემოწმების საკითხი და რამდენიმე დიდი ორგანიზაციის მაგალითზე შეისწავლოს ოქტომბრის გაწვევის შემადგენლობა (ადს).

შორდებიან ოპოზიციას

ყოფილ ოპოზიციონერებს, საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრებს სენაკის ორგანიზაციიდან: პლატონ გოგოლიას, აკაკი ტყებუჩავას, ტრიფონ ქუცნას, სამსონ ქოიავას, ლონგინოზ გაბელიას, მალაქია იობაიას, გიორგი ჭანტურიას, ირაკლი ჭანტურიას, ლუარსაბ კობახიძეს, ევტიხი ცომაიას, ლევანტი ცომაიას, შამშე კაჭარავას, ლამენტი კაჭარავას, ლუკა გვაზავას, დავით სიმონიას, პეტრე მასხულიას, პანტელეიმონ ჩაჩავას, ალექსანდრე ჩაჩავას, დავით კაჭარავას, მიხეილ ჭანტურიას, და ივლიანე პერტენავას შემოაქვთ განცხადება ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ.

ამხანაგები სწერენ, რომ წარსულში ისინი იზიარებდნენ და იცავდნენ ოპოზიციის შეხედულებებს, მაგრამ ეხლა უარყოფენ ამ შეხედულებებს, როგორც მენშევიკურ-წვრილბურჟუაზიულ გადახრას. სწყვეტენ ყოველგვარ კავშირს, როგორც ორგანიზაციულს, ისე იდეურს ოპოზიციასთან და შემცდარად სთვლიან თავის უწინდელ შეხედულებებს და ფრაქციულ ნაბიჯებს.

ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

ორ თებერვალს გაიხსნა ლეჩხუმის სამაზრო პარტიული კომიტეტის მეორე გაფართოებული პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა მოხსენება მეხუთე პარტყრილობის შედეგებზე, სოფლად მეურნეობის შესახებ და სხვა. მეხუთმეტე პარტყრილობის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. შამშე ლეჟავა, სოფლად მუშაობის შესახებ—ამხ. ჭანტურია, მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო პლენუმის შემადგენლობის უმრავლესობამ. კამათში გამოსული ამხანაგები მხარს უჭერდნენ მე-15 პარტყრილობის დადგენილებებს და ილაშქრებდნენ ოპოზიციის ანტიპარტიულ გადახრების წინააღმდეგ. მე-15 პარტყრილობის შედეგებზე მოსმენილ მოხსენების ირგვლივ გამოტანილ რეზოლიუციაში სხვათაშორის ნათქვამია: „მოვისმინეთ რა ამხ. შამშე ლეჟავას მოხსენება მე-15 პარტყრილობის შედეგებზე, სამაზრკომის პლენუმი სავსებით უერთდება მე-15 პარტყრილობის ყოველგვარ დადგენილებებს. მე-15 პარტყრილობამ ერთხელ კიდევ სავსებით გამოაშკარავა კომუნისტური პარტიის ლენინური სიმტკიცე და ოპოზიციის გაკოტრება და გადავარდნა წვრილბურჟუაზიულ ჭაობში. პლენუმი სავსებით იწონებს პარტიის მიერ მიღებულ ზომებს ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ მათი პარტიის რიგებიდან ჩამოშორების სახით და მომავალშიაც საჭიროდ სთვლის გადამჭრელი ზომების მიღებას მათ მიმართ, ვინც შეეცდება მე-15 პარტყრილობის დადგენილებების გატარების წინააღმდეგ გალაშქრებას“.

პლენუმმა შეიმუშავა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი მაზრაში მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე მოწყობისათვის. შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები საკრედიტო ამხანაგობების მუშაობის შესახებ და ქალთა განყოფილების ანგარიში.

ვ. გერიძე.

კომკავშირში

კომკავშირის მონაწილეობა სამომხმარებლო კოოპერაციაში

საკავშირო კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის სამდივნომ, მოისმინა რა მოხსენება კომკავშირის მონაწილეობის შესახებ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციაში, აუცილებლად სცნო, რათა ნაციონალურ რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტების მიერ გამოყოფილი იქნეს საშტატო წარმომადგენლები რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალურ ორგანოებში. სამდივნომ მიზანშეწონილად სცნო ამ წარმომადგენლების გამოყენება ძირითად კოოპერატიულ სამუშაოზე. ამას გარდა აუცილებლად ცნობილია ა.-კ. საოლქო კომიტეტის და რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებისაგან შტატ გარეშე წარმომადგენლების გამოყოფა საოლქო და ცენტრალურ კოოპერატიულ გაერთიანებების გამგეობებში.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

V

რატომ უნდა შეიძინოს გლეხმა სესხის ობლიგაციები

მთავარი მოტივი, რომელმაც უნდა წააქეზოს ყოველი გლეხი, რათა მან შეიძინოს სესხის ერთი ობლიგაცია მაინც, მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ეს სესხი ხმარდება სოფლის მეურნეობის საჭიროებებს.

ეს სესხი დამატებით იმ თანხებისა, რომელიც მთავრობას აქვს გადადებული სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, გამაგრებს სოფლის მეურნეობას, ასწევს მას უფრო მაღალ საფეხურზე და დააჩქარებს მისი ზრდის ტემპს ისე, როგორც ამას მოითხოვს გლეხობის და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესები. სოფლის მეურნეობის განმტკიცება კი მთელი სახალხო მეურნეობის განმტკიცებასთან ერთად არის საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა. **არ არის მტკიცე საბჭოთა ხელისუფლება გარეშე მტკიცე სამეურნეო ბაზისისა.** საბჭოთა ხელისუფლებას კი სიმტკიცე სჭირია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც მის წინააღმდეგ სხვადასხვა ხრიკებს აწყობენ ევროპის იმპერიალისტები და შორეულ აღმოსავლეთის ყაჩაღები. უნდა იცოდეს ყოველმა გლეხმა, რომ იმდენათ, რამდენათ საბჭოთა ხელისუფლება იქნება მტკიცე ეკონომიურად, იმდენათ, რამდენათ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურად განმტკიცებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გლეხობა მუშათა კლასთან ერთად, რაც მაჩვენებელი იქნება ყველასათვის—მტრებისა და მოყვრებისათვის—გლეხობის მეგობრობისა და მტკიცე კავშირისა საბჭოთა ხელისუფლებასთან,—იმდენათ ყველა ჩვენს მტრებს შეუმოკლდებათ ჩვენს დასახრჩობად გამოწეული ხელები და დაეკარგებათ მადა მოაწყონ გალაშქრება ჩვენს წინააღმდეგ.

აქ ყოველმა გლეხმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებაც. ჩვენ ჩვენი მეურნეობის აღორძინებისათვის გვჭირია გარეშე სესხი. ამ სესხს ჩვენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოები არ გვაძლევენ იმ მიზეზით, რომ მათ სურთ ჩვენი დამარცხება; ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ, გარეშე მათი სესხით დახმარებისა, ვერ შევსძლებთ ჩვენი მეურნეობის შემდგომ განვითარებას, თუმცა ჩვენთვის სესხის მოცემა სასარგებლოა მათთვისაც, რადგანაც ისინი გაღებულ სესხზე მიიღებენ სათანადო პროცენტებს, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტს, რასაც ღებულობენ ჩვენი ქვეყნის გარეთ.

როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები დაინახავენ, რომ საბჭოთა მთავრობა თავისი ქვეყნის შიგნით ახერხებს მეურნეობის შემდეგი განვითარებისათვის საჭირო სესხის აღებას, ისინი იძულებული შეიქნებიან ჩვენთვის სესხის მოცემის საკითხში დაიხიონ იმ პოზიციებიდან, რომლებზედაც ახლა დგანან.

ყოველ შემთხვევაში, შინაური სესხის წარმატებითი რეალიზაცია, მუშების და გლეხების თანაგრძნობა შინაური სესხისადმი ხელს შეუწყობს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ჩვენი მთავრობის მოლაპარაკების ჩვენს სასარგებლოთ დამთავრებას სესხის საკითხში. ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა ჩაუკვირდეს ყოველი გლეხი და არასგზით უარი არ უნდა სთქვას სესხის ობლიგაციის ერთი კუპონის შეძენაზე მაინც. სესხის მნიშვნელობა გლეხობისათვის არ ამოიწურება მარტო იმით, რაზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. ამ სესხს გლეხობისათვის ბევრი სხვა მნიშვნელობაც აქვს.

სესხის რეალიზაცია ხელს შეუწყობს ჩვენი ფულის კურსის განმტკიცებას და აი როგორ: მთავრობას სჭირია ბიუჯეტის დანაკლისის შესავსებათ, ვსთქვათ, ასი მილიონი მანეთი. მას შეუძლია ეს დანაკლისი შეავსოს ემისიის საშუალებით. ემისიის გაძლიერება გამოიწვევს ფულის კურსის დაცემას, რადგანაც ფულის ის რაოდენობა, რომლის საშუალებით ხდება საქონლის ბრუნვა, გადიდდება ასი მილიონი მან. და საქონლის ყოველი ერთეულის ღირებულების გამომხატველი იქნება ფულის მეტი რაოდენობა, ვინემ ეს წინეთ იყო. სესხი კი, პირიქით, ამცირებს ფულის იმ რაოდენობას, რომლის საშუალებით ხდება საქონლის ბრუნვა, რაც იწვევს საქონლის ყოველი ერთეულის ღირებულების გამომხატველ ფულის რაოდენობის შემცირებას, და ამით ამტკიცებს ფულის კურსს.

სესხის რეალიზაცია ხელს შეუწყობს საქონლის ნაკლებობის შენელებას, რადგანაც ის თანხა, რომელიც დღეს დანიშნულია მრეწველობის ნაწარმოების შესაძენათ, შემცირდება ასი მილიონი მანეთით. ეს თანხა კი პროცენტების დარიცხვით გლეხობას შეენახება იმ დროისათვის, როდესაც ჩვენ ჩვენი მრეწველობა მოგვცემს მეტს და უფრო იაფ საქონელს. სესხის რეალიზაცია ხელს შეუწყობს პურის დამზადების საქმესაც, რადგანაც გლეხობა სესხის ობლიგაციების შესაძენათ გაყიდის იმაზე მეტ პურს, ვინემ ის გაყიდიდა გარეშე სესხისა. საქართველოს გლეხობა კი, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს გლეხობა, რომელსაც ესაჭიროება პური და რომელიც ახლა განიცდის პურის დიდ ნაკლებობას, მეტად დაინტერესებული უნდა იყოს იმაში, რომ პურის მქონე გლეხმა მეტი პური გაყიდოს და სახელმწიფომ მეტი პურის დამზადება შესძლოს.

სესხი აძლევს გლეხს სარგებელს წლიურად 6 პროცენტის რაოდენობით.

სესხი მომგებიანია. თითო მოგების რაოდენობა განისაზღვრება 50-დან 1.000 მანეთამდე. ყოველ 30 ობლიგაციაზე მოდის თითო მოგება. ასე რომ, არ იქნება ისეთი სოფელი, სადაც ერთ გლეხს მაინც არ მოუწიოს მოგებამ.

მოგებული ფულით გლეხს ეძლევა უპირატესობა და შეღავათები სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენაში.

ის მაზრა, ის სოფელი, რომელიც მეტს ობლიგაციებს შეიძენს, მიიღებს ფულად საჩუქარს მთავრობისაგან.

სესხის ობლიგაციების შეძენიდან შემოსული თანხის 10 პროცენტი რჩება ადგილობრივ სხვა ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. (სკოლა, საავადმყოფო და სხვა.) ერთი სიტყვით, სესხი ყოველმხრივ სასარგებლოა მთელი გლეხობისათვის, მის შემძენთათვის და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის.

პარტიის, საბჭოთა, კომკავშირის და პროფკავშირის ორგანიზაციებმა დანარჩენი სხვა ორგანიზაციების და ყველა მოწინავე ელემენტების გამოყენებით უნდა შესძლონ ფართო აგიტაციის გაშლით, რომ ყოველმა გლეხმა გაიგოს სესხის მიზნობრივი დანიშნულება და დანარჩენი მისი მნიშვნელობა.

ამ პირობებში სესხის რეალიზაცია უზრუნველყოფილია.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას დასჭირდა დამატებითი თანხები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, მან გამოუშვა 200 მილიონიანი სესხი და მიმართა მუშათა კლასს მის სარეალიზაციოთ. მუშათა კლასი შეგნებით შეხვდა თავისი მთავრობის მოწოდებას და სიჭარბით შეასრულა ხელისუფლების დავალება. ნაცვლად 200 მილიონი მანეთისა, მან გადასცა მთავრობას 250 მილიონი მან. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მუშა-მოსამსახურე, რომელსაც არ შეეძინოს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია.

ამ სესხში გლეხობის წილი უმნიშვნელოა, სულ 10 პროცენტს შეადგენს. ეს მოხდა, იმიტომ, რომ მუშებმა და მოსამსახურეებმა რეალიზაცია უყვეს მთელს სესხს და პარტიას და ხელისუფლებას არ დასჭირდა მიემართა გლეხობისათვის.

ახლა მთავრობას სჭირია დამატებითი თანხები სოფლის მეურნეობის აღორძინების საჭიროებისათვის და მიმართავს გლეხობას სესხის გასაღებად. გლეხობამ უნდა წაბაძოს თავის ხელმძღვანელ კლასს—პროლეტარიატს—და სიჭარბით უნდა გაანაღდოს ას მილიონიანი „გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი“.

გლეხობამ უნდა დაიჭიროს პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა. გლეხმა უნდა გამოიჩინოს თავისი მოვალეობის შეგნება და უნდა დაუმტკიცოს ყველას, რომ ის საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქეა, რომ ის სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეა, რომ ის საბჭოთა წესწყობილების ერთგული მეგობარია.

„არ უნდა დარჩეს არც ერთი გლეხი, რომელსაც არ ექნება სესხის ობლიგაცია“,—ჩვენი პარტიის ეს ლოზუნგი სავსებით უნდა იქნეს განხორციელებული!

ს. მამულია.

საქართველოს მრეწველობა და აღმოსავლეთის ბაზრები

სახალხო მეურნეობის ყველა სექტორის არაპროპორციონალური განვითარება აბრკოლებს საბჭოთა კავშირის მთლიანად აღებულ ეკონომიკის განვითარებას. ამის გამო პარტიის მე-15 ყრილობაზე დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილი ნაწილების აწევა საერთო დონემდე სოციალისტური მეურნეობის განვითარება-გაფართოებისათვის.

საბჭოთა სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილ სექტორებად მე-15 ყრილობამ სცნო საგარეო ვაჭრობაც. ყრილობამ მეურნეობის ამ დარგს მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის განხილვის დროს.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე დონეზე იმყოფება—ეს თანხა უდრის 1,4 მილიარდ მან. თუმცა საქონლის ბრუნვის სტრუქტურა შეიცვალა და 1925—26 წლის პასიური ბალანსის მაგივრად 1927 წელში გვქონდა აქტიური ბალანსი, მაგრამ საქონლის ბრუნვის რაოდენობა უცვლელად დარჩა. ამასთან დაკავშირებით მე-15 ყრილობამ საკავშირო მეურნეობის წინაშე დასვა ამოცანა ექსპორტის გაფართოებისა ორი მიმართულებით: საექსპორტო საქონლის ნომენკლატურის გაფართოებისა და გატანის რაოდენობითი გადიდების მიმართულებით. ექსპორტო პრობლემას ყრილობამ დაუკავშირა ტექნიკურ მოწყობილობის და სამეურნეო ნედლეულის იმპორტის განვითარების პერსპექტივები. ყრილობის დირექტივის მიხედვით, დასმული ამოცანის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რესპუბლიკანურმა და ადგილობრივმა სავაჭრო დაწესებულებებმა და სახალხო მეურნეობის საბჭოებმა. განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება სახ. მეურნეობის საბჭოებს ეგრედწოდებული მეორე ხარისხოვანი საქონლის ექსპორტში, იმ საქონლის, რომლის ექსპორტი ომის წინა დროინდელ ხანაში შეადგენდა 400 მილიონ მან., ხოლო ამჟამად ძლივს აღწევს ომამდე არსებული ნორმის 25 პროცენტამდე. ყრილობის მიერ აღებული კურსის მიხედვით, ჩვენი საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსის მიღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეორეხარისხოვანი საქონლის ექსპორტს.

თუ შევეხებით ამ დარგში მუშაობას საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო უმთავრესად არის სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა. კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის უდიდესმა პროცესმა უკანასკნელ წლებში, რასაკვირველია, იქონია გავლენა საქართველოზედაც. სადაც მთელი რიგი ჰიდრო-ელექტრ. სადგურების აგებასთან ერთად ადგილი აქვს ადგილობრივი მრეწველობის განვითარება-გაფართოებას, როგორც არსებული საწარმოო ერთეულების გაფართოების, ისე მრეწველობის ახალი დარგების განვითარების მხრივ.

ადგილობრივი მრეწველობის ზრდამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში ჩვენს წინაშე დასვა ეგრედწოდებული ბაზრების პრობლემა. საქართველოს თამბაქოს, კონიაკ-ღვინის, ხის დამუშავების, ლითონის და სხ. მრეწველობას აუცილებლად ესაჭიროება ახალი ბაზრები და ცხადია, რომ მრეწველობის ამ დარგების წინაშე დადგა საკითხი საკუთარი პროდუქციის საგარეო ბაზარზე გატანის შესახებ. რამდენადაც საკავშირო მრეწველობის პროდუქციის უმთავრესი ბაზარიც აღმოსავლეთის ქვეყნებია და რამდენადაც ეს ქვეყნები გეოგრაფიულად ესაზღვრებიან ამ.-კავკასიას, კერძოდ საქართველოს,—ამ უკანასკნელის წინაშე დადგა, პირველ რიგში სპარსეთისა და ოსმალეთის ბაზრებზე გასვლის ამოცანა.

აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრების კონიუნქტურის შესწავლამ ნათლად გვიჩვენა, რომ ადგილობრივი მრეწველობის მთელი რიგი პროდუქტები საკმაო რაოდენობით შეიძლება იქნას გასაღებული სპარსულ აზერბეიჯანის და აღმოსავლეთის ანატოლიის ბაზრებზე. ასეთი პროდუქტების რიცხვს ეკუთვნის უპირველეს ყოვლისა საქართველოს სატყეო მრეწველობის, საქ. ს. მ. უ. ს. ლითონის ტრესტის, კონიაკ-ღვინის ნაწარმოები, ბორჯომის წყალი, ძირულის აგური, საპონი, ამიერკავკასიის ტყე და განსაზღვრულ პირობებში თამბაქო.

საინტერესოა მოვიყვანოთ მოკლედ ცნობები აღმოსავლეთის ბაზრების მდგომარეობის შესახებ; ეს ცნობები ნათლად ამტკიცებს ჩვენ მიერ გამოთქმულ დებულებას.

უპირველეს, ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის ხალხების ნივთიერი კეთილდღეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, რის გამოც დაიწყო მათი ცხოვრების ურბანიზაციის პროცესი. ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის ხალხებში წარმოიშვა მთელი რიგი ისეთი საქონლის მოთხოვნილება, რომელიც დღემდე არ ესაჭიროებოდათ მათ ასეთი საქონლის რიცხვს ეკუთვნის გრეხილი ავეჯეული და ინგლისური ტიპის საწოლები, რომელთა შეტანა სპარსულ აზერბეიჯანში დაიწყო „რუსტრანზიტმა“, რომელსაც ეს საგნები შემოაქვს ავსტრიიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 12 ცალი სკამის ფასი თავრიზის რაიონში უდრის 75—80 მან., ხოლო საქართველოს სატყეო მრეწველობის მიერ დამზადებული სკამები ღირს საშუალოდ 45 მან. (12 ცალი), მაშინ, რასაკვირველია, საქართველოს სატყეო მრეწველობის პროდუქცია ხელსაყრელ ბაზარს იპოვის ამ რაიონში. იგივე უნდა ითქვას საქართველოს ს. მ. უ. ს. ლითონის ტრესტის ინგლისური ტიპის საწოლებზე, რომელთა ფასი თავრიზში უდრის 120 მან. სკამების მოთხოვნილება თავრიზის რაიონში შეადგენს 2500—3000 ცალს წელიწადში, ხოლო საწოლების 500 ცალს.

კონიაკ—ღვინის ნაწარმოებთა ექსპორტი სპარსეთში ყოველწლობით იზრდებოდა და 1926-27 წელში მიაღწია 240 ათას მან.-მდე. საქართველოს ღვინისა და სპირტს (იმ პირობით, თუ ავამუშავეთ სპირტის ორი ქარხანა, რომლებიც შეჩერებულია) ხარისხითაც და ფასითაც კარგი მოსავალი ექნება აღმოსავლეთის ბაზრებზე. ბორჯომის წყალი უკვე საღდება თავრიზის ბაზარზე, მაგრამ ვინაიდან მისი ფასი მაღალია (1 ბოთლი ღირს 2 კრანი) ამიტომ ამ წყალს ხმარობენ მხოლოდ სამკურნალო მიზნით. ძირულის აგურის ექსპორტს აბრკოლებს მისი მაღალი ფასი, რის გამოც აგურის შეტანა თავრიზის რაიონში უფრო ხელსაყრელია დონის რაიონიდან.

სპარსეთის და ოსმალეთის ბაზრები (ყარსი, ერზერუმი და მათი რაიონები) მნიშვნელოვან მოთხოვნილებას აყენებენ „მილომასის“ წარმოების საპონზე, მაგრამ ცხიმეულის მწვავე კრიზისი არ გვაძლევს საშუალებას გავაფართოვოთ ექსპორტის ეს დარგი. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ხე-ტყის მასალის ექსპორტს ახლო-აღმოსავლეთის ბაზრებზე, ხე-ტყეზე მოთხოვნილება უდრის 2 მილიონ კუბ. მეტრს; ასეთი მდგომარეობაა ფრახტი ბათომიდან ან ფოთიდან ალექსანდრიამდე 3 სტერლინგით უფრო ნაკლები ჯდება (თითეულ ტონაზე), ვიდრე ბალტიის ზღვიდან.

სავსებით განცალკევებით სდგას საკითხი საქართველოს თამბაქოს ექსპორტის შესახებ, რომელსაც ძალიან ესაჭიროება ბაზარი, მაგრამ რომლის გატანა აღმოსავლეთის ქვეყნებში არ არის ხელსაყრელი. ეს საკითხი მოითხოვს სერიოზულ დამუშავებას და სპეციალურ შესწავლას.

ადგილობრივი მრეწველობის იმ დარგების შესახებ, რომელთა შექმნა განზრახულია, უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო ხარჯები ჩვენი საქონლის საგარეო ბაზარზე გატანაში ძალიან დიდ როლს თამაშობს, განსაკუთრებით უცხოეთის კონკურენციის გამო. ამიტომ შაქრისა და ცემენტის ქარხნების და ქაღალდის ფაბრიკის აგება საქართველოში აღმოსავლეთის ქვეყნების საზღვრების მახლობლად ხელსაყრელ პერსპექტივას ქმნის ამ საქონლის ექსპორტისათვის. საკმაოა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის აღმოსავლეთი ვილაიეტების მთელი მოთხოვნილება შაქარზე 1926 წელში დაკმაყოფილებულ იქნა შაქრის ტრესტის მიერ. სპარსეთის აზერბეიჯანს საბჭოთა კავშირი აწვდის მთელი მისი მოთხოვნილების 95 პროც.; 1926-27 წ. იქ შეტანილ იქნა 18 მილიონი მან. შაქარი! ამასთანავე, ვინაიდან სპარსეთსა და ოსმალეთში ფართოდ ვითარდება მშენებლობა, დიდი მოთხოვნილება იქნება საქართველოს ცემენტზე. რაც შეეხება ქაღალდს, საკმაოა აღინიშნოს, რომ 1926-27 წელში სპარსეთში ბათომის გზით ევროპიდან შეტანილ იქნა 700.000 მან. ქაღალდი. აქედან ცხადია, რომ ობიექტიური პირობები ადგილობრივი მრეწველობის მუშაობისათვის საექსპორტო ამოცანების დარგში მეტად ხელსაყრელია, და საქართველოს საშუალება მიეცემა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (სიმინდი, კვერცხი, ხილი და სხ.) ექსპორტთან ერთად განავითაროს სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ამ ამოცანების გადაწყვეტითა და შესრულებით საქართველო არა მარტო მიიღებს მონაწილეობას საკავშირო მუშაობაში საბჭოთა ექსპორტის გაფართოებისათვის, არამედ შექმნის ძლიერ სტიმულს თავისი მეურნეობის განვითარებლად და სამრეწველო ბაზრის განსამტკიცებლად.

დ. ზაგრიევი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

250 და 100 მანეთის მოგება

ფოთი, 1 თებერვალი. სახელმწიფო ბანკის ფოთის განყოფილებაში წარდგენილი იქმნა ინდუსტრიალიზაციის სესხის ექვსი ობლიგაცია, რომელთაც შეხვდათ 250 და 100 მანეთიანი მოგებ. ობლიგაციების პატრონები მუშებია.

ჰიდროსადგურის ამუშავება

ონი, 2 თებერვალი. უკვე დამთავრდა და მუშაობა დაიწყო ჰიდროსადგურმა, რომელიც მდინარე ჯეჯორზე არის აგებული. ჯერ-ჯერობით მუშაობს 100 ცხ. ძალის ტურბინა. მომავალში იმუშავებს 200 ცხენის ძალის ტურბინა. სადგურის აგება დაჯდა 120 ათასი მანეთი. სადგურიდან ენერგიას მიიღებს ქალაქი ონი და მახლობელი სოფლები. (ადს).

მგლები

თელავი, 1 თებერვალი. ხევსურეთიდან იტყობინებიან, რომ სოფელ ნიაურში დათარეშობს მგლების ხროვა, რომელიც თავს ესხმის მოსახლეობას. მცხოვრებნი ისე შეშინებული არიან. რომ დღისითაც ვერ ბედავენ სახლებიდან გამოსვლას.

წერილები

დიდ მიღწევებთან—ზოგიერთი ნაკლულევანებანი
(წერილი ლეჩხუმიდან)

ვისაც ამ ორი-სამი წლის წინათ ლეჩხუმში უმგზავრია, ის დაგვეთანხმება, რომ ამ მოკლე დროში ბევრი რამ ახალი გაკეთებულა. გზები, რომელსაც ეს მხარე მოკლებული იყო, საგრძნობლად შეკეთებულია, გაყვანილია ჯორბელ—ცაგერის გზატკეცილი. განზრახულია ახლო მომავალში მუშაობის დაწყება ხონი—ცაგერი, ცაგერი—ლენტეხის მიმართულებით გზების გასაკეთებლად.

ნაცვლად ძველ სამაზრო ქალაქ ცაგერისა, თვალწინ გეშლებათ სრულიად ახალი ქალაქი, ახალი შენობებით, ახალი ქუჩებით. ქალაქში აშენებენ აბანოს, ფიქრობენ სახერხ ქარხნის მოწყობას და სხვა.

დიდი ყურადღება ექცევა განათლების საქმესაც. არც ერთი სოფელი სკოლის გარეშე არ არის დარჩენილი. თუმცა ამ უკანასკნელთა ტეხნიკური მოწყობილება მეტად სუსტია, რაც ალბად მეცადინეობის ნაყოფიერებასაც აფერხებს.

მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის ყველა დარგში სჩანს საქმიანი მიღწევები, გაუკეთებელიც ჯერ კიდევ მრავლად არის დარჩენილი. ამათგან დავასახელებთ ერთს, რომელზედაც დღემდის ყურადღების მიუქცევლობა უეჭველად დანაშაულია.

ლეჩხუმის მაზრის თითქმის ყველა მცხოვრები იცნობს ორბელის თემის შუაზე გამკვეთ მდინარე „ლადჯანურს". ამ მდინარის სიკეთეც და ბოროტებაც აუწერელია. არა ერთხელ აუწიოკებია მას მის ახლო მცხოვრები მოსახლეობა. ხშირად ადიდებულ მდინარეს მთლად მიაქვს ტყე და ველი. ამ ადიდების დროს მან იმსხვერპლა ორბელის თემის გლეხობის საუკეთესო მოსავლიანი ჭალები, ვენახები და წისქვილები. ამასაც არ სჯერდება. ეხლა მისდგა და ორ სოფელს; ლაცორის და განსაკუთრებით სპათაგორს, წყალი ისე ახლოს მივარდნილა, რომ მიაქვს ეზოები, ვენახები, გაწყვეტილია სახლების ბალავრები. საერთოთ თუ ამ ზამთარში არა, გაზაფხულზე სახლებში უშიშრად დაძინება შეუძლებელი იქნება.

საკმარისია მოსახლეობის შრომასთან ერთად —ფრიად მცირე თანხის მაგ.: 100—150 მან. გაღება, რომ რამოდენიმე ათეული კომლი გლეხობა საფრთხეს გადარჩეს.

გლეხობა მოითხოვს ამ საქმის ხელმძღვანელს.

ა. გ—ნი.

საჭიროა ჩაის ქარხნის მოწყობა
მამათის თემი, გურია

ცნობილია, რომ გურიაში ბლომად მოიპოვება ჩაის კულტურისათვის სავარგისი მიწები. როგორც ცდამ დამტკიცა მამათის თემშიც საუკეთესო პირობებია ჩაის კულტურის ასაყვავებლად. ამ მიზნით 1926 წელში აქ გააშენეს 8 დესეტინაზე ჩაის ნერგი, 1927 წ. განაწილებულია 50 დესეტინა, და მოსახლეობა როგორც შემართვებიდან სჩანს, 2—3-ჯერ უფრო მეტ სივრცეზე გააშენებდა, რომ სათანადო თანხები ყოფილიყო. ეს აგრეთ იმიტომ, რომ აქაურ მიწებზე ჩაი კარგად ხარობს, და მიწებიც ბევრია, მაგრამ ჩაის პლანტაციების მქონე გლეხობა საგონებელში ვარდება იმის გამო, რომ ამოდენა ჩაის ნედლი ფოთლის ზიდვას დაშორებულ ქარხანაში ვერ შესძლებენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გადაზიდვა ძვირი ჯდება და მეორეც ჩაის ღირსება (ხარისხი) შორს წაღებით მცირდება.

მამათლებმა ჩაი უნდა მიიტანონ ასანის ქარხანაში (6—9 ვერსზეა); აქვე უნდა მოიტანონ ჩაი ძიმითმაც, სადაც ჯერ-ჯერობით გაშენებულია 40 დეს. ჩაი, ხოლო გასაშენებელი ადგილები კი ბევრია. ამას გარდა მამათის მოსაზღვრე თემებში ძიმითში და სილაურში ჩაის გასაშენებლად განაწილებული მიწის რაოდენობა 140 დესეტინას უდრის, ხოლო ჩაისათვის სავარგისი მიწები კი საერთოდ 1.000 დესეტინამდე აღწევს.

ამიტომ საჭიროა მამათის თემში ჩაის ქარხნის მოწყობა, რომელიც გაუწევს სამსახურს მამათის, ძიმითის, სილაურის და ასანის თემების მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, და ამ ქარხნის რაიონის რადიუსი არ იქნება 5 ვერსზე მეტი, იმ დროს, როცა ჩვენ ასანის ქარხნით სარგებლობა არ გვეხერხება, ხოლო სილაურს კი სრულებით არ შეუძლია.

რადგან ეს ასეა, სათანადო დაწესებულებათა მიერ უნდა შესწავლილი იქნას მამათში ჩაის ქარხნის აგების საქმე და, თუ სადმე გურიაში გაიხსნება ჩაის ახალი ქარხანა, ან არსებული სხვაგან გადასატანი გახდება, ასეთი აუცილებლად უნდა მოეწყოს მამათის თემში.

დარწმუნებული ვართ, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა მიიღებს მხედველობაში ამ გარემოებას და თავის დროზე შეუდგება საჭირო სამზადისს მამათში ქარხნის აგებისათვის, რაც გააორკეცებს გლეხობის ენერგიას ჩაის კულტურის გაჩაღების საქმეში.

ჩაის მუშა.

წერილებიდან

მოსაგვარებელი საკითხი
ს. კარდანახი, სიღნაღის მაზრა

დღემდის 12 სოფელს გვყავს ერთი დამტარებელი, რომელიც ვერ ასწრებს წერილებისა და გამოწერილ ჟურნალ-გაზეთების თავის დროზე დარიგებას. თბილისიდან გამოგზავნილ გაზეთს ვღებულობთ სრული ერთი კვირის შემდეგ. ამ საქმეში ქოხ-სამკითხველოს გამგეც დაუდევრობას იჩენს. მას გვიან მოაქვს გამოწერილი გაზეთები. აუცილებლად საჭიროა ამ საკითხის მოგვარება.

ვ. მათიაშვილი.

კულაკები ტყეს ანადგურებენ
ს. ბალღოჯიანი, თელავის მაზრა

ჩვენი სოფლის გლეხობას დაეთმო რამოდენიმე დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე უფასოდ სარგებლობისათვის. კულაკები და საშუალო შეძლების გლეხობა შეესიენ ტყეს, სჩეხავენ მას და ყიდიან აგურ-კრამიტის ქარხნის მეპატრონეებზე. ღარიბი გლეხობა კი ტყით ვერ სარგებლობს.

საჭიროა თელავის სატყეო განყოფილებამ აკრძალოს უბაეთ ხე-ტყის გაყიდვა.

გავაზური,

მუშათა ცხოვრება

რკ. გზის პროფკავშირის ათი წლის თავზე

სადგურ ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო კრებაზე რკინისგზელთა კავშირის ათი წლის არსებობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლ. აზრუმელაშვილი. რომელმაც კრებას გააცნო პროფკავშირის მუშაობა 10 წლის განმავლობაში და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები.

მომხსენებლის სიტყვით ამჟამად მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი გამოიხატება 87,4 პროც. წინადროსთან შედარებით. უმუშევართა რიცხვი უდრის რკინის გზაზე მომუშავე კავშირის წევრთა 4,4 პროცენტს. კავშირი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, უმუშევართა რიცხვის შესამცირებლად, ამისათვის დაარსებულია სხვადასხვა შრომის კოლექტივები,, მოსამზადებელი კურსები და სხვა. კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე [illegible] ორგანოების მუშაობას.

დასასრულ მომხსენებელი ეხება კავშირის წევრთა შემადგენლობას და აღნიშნავს, რომ 1927 წელს რკინისგზელთა პროფკავშირი აერთიანებს 1.100.400 წევრს. აქედან 156.482 კაცი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კავშირის მუშაობაში. 1926 წელში აკრეფილ საწევრო გადასახადი უდრიდა 12.836.000 მანეთს.

1927 წელს ახალგაზრდობისათვის მოწყობილი იყო 1.741 სკოლა, რომელშიაც სწავლობდა 18.893 მოწაფე, მოწყობილია აგრეთვე 121 მოწაფეთა ბრიგადა და 49 პროფსკოლა 5.983 მოწაფით. მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდა სად. ნავთლუღის კომუჯრედის მდივანი ამხ. სიმონ ლომთათიძე და 15-მდე მოსამსახურე.

ვლ. რჩეულიშვილი.

—:—

ახალი ხელშეკრულება
(წყალსადენის მუშებში)

ავჭალის წყალსადენის მუშა - მოსამსახურეებმა განიხილეს და დაამტკიცეს ახალი კოლ ხელშეკრულება. წარსულ წლის ხელშეკრულებაში არსებულ ნორმების გარდა, ეხლა მუშებს დამატებით მიეცათ: ბრეზენტის საწვიმრები (პლაშჩები), თბილი ზუზუნები და ჩექმები. წინად მორიგე პერსონალს ორ წელიწადში ერთხელ ეძლეოდა სპეცტანთაცმელი, ეხლა კი მუდამ წელს ეძლევათ. გარდა ამისა რადგან წყალსადენის მუშებს არა აქვთ პრემიალური სისტემა და ნარდი სამუშაო, რაზეც დამოკიდებულია მუშის ხელფასის ზრდა, ამიტომ მათ ჯამაგირი გაუდიდდათ 10 პროცენტით.

ამგვარად ახალ ხელშეკრულებაში შეტანილია მთელი რიგი მუხლებისა, რომლებიც აუმჯობესებენ მუშების, როგორც ნივთიერ, ისე უფლებრივ მდგომარეობასაც.

მ. ასლამაზიშვილი

—:—

დაუმატეთ ერთი თანამშრომელი
(სადგ. ხარაგოული)

ხარაგოულის „ზაკტპო"-ს მაღაზიაზე ბევრი დაიწერა. ერთ დროს, ეს მაღაზია სულს ღაფავდა, რადგან „ზაკტპო"-ს გამგეობა ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ერთხელ მაღაზიას შეუწყვიტეს კიდეც პირველ საჭიროების საგნების გამოგზავნა. მაღაზიის გამგე ფართალს ან სხვა რამე საგნებს თხოულობდა, იმათ კი სულ სხვა ისეთ საგნებს აგზავნიდნენ, რომელსაც სრულებით არ საჭიროებდნენ მომხმარებლები.

ამიტომ 1925 წ. გაიძახოდნენ, რომ „ხარაგოულის მაღაზიაზე ბევრი ქონება ითვლება, ის ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, ზარალის მეტს არაფერს გვაძლევს და უნდა დაიკეტოს"-ო. მაგრამ ხარაგოულის 300—400 თანამშრომელმა, რომლებიც „ზაკტპო"-ს დაარსების დღიდანვე მის წევრებად ითვლებიან არ დაანებეს მისი დახურვა. ამის შემდეგ ამხ. ბაძიღოვმა ინახულა აღნიშნული მაღაზია, ესაუბრა თანამშრომლებს, რომლებმაც გააცნეს მაღაზიის მდგომარეობა. დღეს მაღაზია გამოჯანსაღებულია.

მაგრამ მაღაზიის თანამშრომელთა სიმცირე დიდ უკმაყოფილებას იწვევს მომხმარებლებში. აქ ერთი მაღაზიის გამგეა და ერთი ნოქარი, რომლებიც ვერ აუდიან მაღაზიის საქმიანობას და ვერ აკმაყოფილებენ მომხმარებელთა რიცხვს.

მაღაზიით სარგებლობენ არა მარტო ადგილობრივი რკინის გზელები, არამედ სხვადასხვა სადგურების მოსამსახურენიც. ამას ემატება ზაფხულში მრავალი საგარაკოთ ჩამოსული ტრანსპორტელები, რომლებსაც კავშირი აქვთ ხარაგოულის თემთან.

ამაზე არა ერთხელ გამოუტანია დადგენილება სად. საკ. კომისიას და აღუძრავს შუამდგომლობა გამგეობის წინაშე, მაგრამ ამ საკითხს საჭირო ყურადღება მაინც არ ექცევა.

იმედია „ზაკტპო"-ს გამგეობა ეხლა მაინც მიაქცევს ყურადღებას ამ მოვლენას და ხარაგოულის მაღაზიას მოუმატებს თანამშრომლებს.

და-რე-ლი,

ჩვენ რაღა დავაშავეთ
(რკ. გზის მთავარი საწყობი).

რკ. გზ. მთავ. საწყობში არის 9 განყოფილება და 5 თუ 6 საკუჭნაო. ყველა მათგანს ჰყავს მერტელე, თანაშემწე და ორ-ორი შავი მუშა. განყოფილებებში და საკუჭნაოებში მომუშავეებს: მერტელებს, მეკუჭნავეებს და მათ თანაშემწეებს სპეცტანსაცმელის სახით მიეცათ თბილი პალტოები და ჩექმები, მუშებს კი ეძლევათ უბრალო ხალათის მსგავსი ლურჯი წინსაფარი, რომლებმაც მერტელეებიც ღებულობენ. ამაზე ადგილობრივი კედლის გაზეთშიც იყო მოთავსებული წერილი კარიკატურით, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. კავშირმა ანგარიში უნდა გაუწიოს საწყობის შავ მუშებს და მიიღოს ზომები, რათა მუშებსაც მისცენ ხვედრი სპეცტანსაცმელი.

დ. გვაზაურელი.

მუშკორთა წერილებიდან

ნუ ზარმაცობთ. ხაშურის სადგურში ხშირად, როდესაც საჭიროა მატარებლიდან ორთქლმავალის ახსნა, გადამხსნელი არსად სჩანს, რამოდენიმეჯერ უნდა მისცეს მემანქანემ საყვირი, რომ გადამხსნელი გამოჩნდეს.

გადამხსნელებო ნუ ზარმაცობთ.

სტუდენტი შურა.

ჩვენც მიგვიღეთ პროფკავშირში. რკ. გზის უმუშევართა ნაწილის მუშების ერთი ნაწილი მიიღეს პროფკავშირში, ხოლო ნაწილს კი უარი უთხრეს კავშირში __ მიღებაზე. საუბნო კომიტეტო, რათ გვანსხვავებ მათგან, მიგვიღეთ ჩვენც კავშირში.

სამებელი.

— მუშაობა არ სწარმოებს. (ბორჯომში). ბორჯომის ჩალხის წყლის მუშათა კლუბში არავითარი საწრეო მუშაობა არ სწარმოებს. აქ არ არსებობს დრამატიული წრე, რის გამო წარმოდგენები იმართება მოწვეულ ძალებით და იხარჯება აუარებელი ფული. პროფკავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ხარანჩა

მუშკოოპის რწმუნებულთა არჩევნები
ქ. წ. დრ. სტამბაში

28 იანვარს, შესდგა კავკასიის წითელ დროშოსან არმიის სტამბა-ლიტოგრაფიის მუშკოოპის წევრთა საერთო კრება. კრებამ მოისმინა ამხ. ხვედელიძის მოხსენება მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ. მან მოკლედ გააცნო დამსწრეთ, თუ რა ნაკლი და მიღწევები აქვს მუშკოოპის გამგეობას საანგარიშო ხნის განმავლობაში, როგორ გაფართოვდა კოოპერაციის ქსელი და სხ.—მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავენ, მუშკოოპის ზოგიერთ მაღაზიების ნაკლს. ამას გარდა ორატორები საჭიროდ სცნობენ კრედიტის საკითხის მოწესრიგებას. მუშკოოპის გამგეობის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და დაავალა, რათა აღნიშნული ნაკლი მომავალში გამოასწოროს. მუშკოოპის რწმუნებულად არჩეულ იქნა ერთი წევრი და ერთი კანდიდატი.

მ—რი.

პირველი რაიონის მტვირთველ მუშებში

მუშკოოპის გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ბაქრაძემ მოხსენება გააკეთა მუშკოოპის საქმიანობის შესახებ პირველი რაიონის მტვირთველ მუშებში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1924—25 წლებთან შედარებით მუშკოოპის გამგეობის მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუ მაშინ სავაჭრო მაღაზიებსა და ფურნეების რაოდენობა უმნიშვნელო იყო, ასეთები წელს 340-მდე აღწევს. ინტენსიურად იზრდება მუშკოოპის წევრთა რიცხვიც. ამხ. ბაქრაძე შეეხო აგრეთვე ზოგიერთ ნაკლსაც.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში ორატორები შეეხნენ მუშკოოპის გამგეობის მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს. კრებამ გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. დასასრულ არჩეულ იქნა 3 რწმუნებული.

მტვირთველი.

დღეს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან არსებულ კედლის გაზეთის სარეცენზიო ბიუროს სხდომა. დღის წესრიგში სდგას რკინის გზის საუწყების კედლის გაზეთის განხილვა, სხდომას უნდა დაესწრონ: ამხ. ნ. ეტრიევი, გ. ხეჩუაშვილი, ს. დოლიძე, ნ. ასლამაზაშვილი, უშანგი ჯაში, შინატეხელი, მამუკაშვილი და საუწყების კედ. გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წარმომადგენელი.

საქ. ცაკში
ამხ. ქ. ხომერიკის სახელობის გლეხის სახლში

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობების მიხედვით—გასული წლის დეკემბერში სოფლებიდან, თემებიდან და სხვადასხვა ადგილებიდან ზუგდიდში ჩამოვიდა და ამხ. ქ. ხომერიკის სახელობის სამაზრო გლეხის სახლში ღამე გაათია—563 გლეხმა. ეროვნების მიხედვით ზუგდიდში გლეხის სახლში ჩამოსულ გლეხებში ქართველი იყო 516 და რუსი 47. ამასთან ზუგდიდში იყო ჩამოსული პირად საქმეებზე 444 გლეხი, საექიმოთ—26 და სამაზრო ქალაქში სხვადასხვა ყრილობებზე და კონფერენციებზე დელეგატებათ იყო გამოგზავნილი 93 გლეხი. გლეხის სახლმა დეკემბერში გლეხებს უფასოთ დაურიგა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ასი წიგნაკი და მოაწყო გლეხებისათვის ერთი საუბარი გლეხკომების მნიშვნელობაზე. ზუგდიდის გლეხის სახლის ბაქში დეკემბერში გაიარა გლეხების 12 ურემმა და 50 სულმა საქონელმა. ზუგდიდის სამაზრო გლეხკომს განზრახული აქვს გააფართოვოს გლეხის სახლის შენობა. ამ საქმისათვის მას ჯერ-ჯერობით გადადებული აქვს 500 მანეთი.

საქ. სახკომსაბჭოში
გლეხთა მეურნეობათათვის მიცემული სესხის დავალიანების ჩამოწერა

სახკომსაბჭოს პლენუმმა დაამტკიცა გამწესრიგებელი სხდომის დადგენილება, რომელიც შეეხება 1924—25 წლის სტიქიურ უბედურებათა შედეგების სალიკვიდაციოთ გლეხთა მეურნეობათათვის მიცემული სესხის დავალიანების ჩამოწერას.

დავალიანება ჩამოწერილია ს.ს.რ. კავშირის ცაკ-ის 1924 წ. ოქტომბრის 15-ის მანიფესტისა და ს.ს.რ. კავშირის ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1927 წ. ნოემბრის 2-ის დადგენილების თანახმად.

იმავე მანიფესტისა და დადგენილების თანახმად საჭიროდ იქნა ცნობილი გლეხთა მეურნეობათათვის 1924—25 წელში მიცემული სათესლე სესხის იმ დავალიანების ჩამოწერა, რაც 1927 წ. ნოემბრის 7-სათვის არ ყოფილა გადახდილი.

წინადადება მიეცა სას.-სამეურნეო ბანკს გამოარკვიოს გლეხის (ინდივიდუალური და კოლექტიური) მეურნეობათა მიერ მიღებული სესხის რაოდენობა.

ჯანმრთელობის სახკომის წარმომადგენლობის გაუქმება მოსკოვში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოხსენების თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მოსკოვში ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. მუდმივ წარმომადგენლობასთან არსებული საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლობის გაუქმება.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობებით, 1927—28 წლისათვის მთელ საქართველოზე გაწერილი იყო 2.250.945 მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. აქედან 1928 წლის 15 იანვრისთვის სულ აკრეფილი იქნა 1.402.739 მანეთი, რაც შეადგენს გადასახადის მთელი რაოდენობის 62 ნახევარ პროცენტს. გადასახადის უმთავრესი ნაწილი აკრეფილია აღმოსავლეთ საქართველოში, დაახლოებით აკრეფილ რაოდენობის 63 პროცენტი. დასავლეთ საქართველოში აკრეფილი იქნა ხვედრი გადასახადის 58 პროცენტი.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე წინ დგას დუშეთის მაზრა, დასავლეთ საქართველოში—სენაკის მაზრა. მიმდინარე წლის 1 თებერვლისათვის განზრახული იყო სასოფლო სამეურნეო გადასახადის მთლიანათ აკრეფა, მაგრამ დავალების სისრულეში მოყვანას ხელი შეუშალა ზოგ მაზრებში მოსულმა დიდმა თოვლმა და მთიან რაიონებში გზების დაკეტვამ.

ფინსახკომმა მაზრებში მიავლინა ინსტრუქტორები, რომლებიც გამოიკვლევენ გადასახადის აკრეფის საქმეს და ჩაატარებენ ფართო კამპანიას გადასახადის თავის დროზე ასაკრეფად.

წელს სასოფლო - სამეურნეო გადასახადიდან განთავისუფლებულია გლეხურ მოსახლეობის 45 პროცენტი. ამას გარდა, მცირე შეძლების გლეხობას ეპატია 49.700 მანეთი გაწერილ გადასახადიდან.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის გამო საკავშირო ცენტრ. აღმასკომის მანიფესტის ძალით, საქართველოში გლეხობას გადასახადი კიდევ შეუმცირდათ 36.000 მანეთით. შეღავათები განსაკუთრებით გავრცელებული იქნა სტიქიურ უბედურებით დაზარალებულ რაიონებზე.

ამ თვის ბოლო რიცხვებში ფინსახკომი იწვევს საგანგებო თათბირს, რომელზედაც გამომუშავებული იქნება დაწვრილებითი გეგმა საგადასახადო კამპანიის გასაცხოველებლად.

კონკურსი საბჭოს საუკეთესო სექციაზე

საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი ქალაქის, თემის და სოფლის საბჭოების საუკეთესო მომუშავე სექციებზე. საუკეთესოთ მომუშავე სექციებს დაურიგდება ჯილდოები.

კონკურსი დაიწყება საბჭოების საანგარიშო კამპანიასთან ერთად—15 თებერვლიდან (თბ. მაზრის გამოკლებით, სადაც კამპანია უკვე დაიწყო). კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოს სექციების მუშაობის გამოცოცხლებას და წაახალისოს ისინი მომავალ მუშაობისათვის.

კონკურსის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ კედლის გაზეთები, ადგილობრივი და ცენტრალური ჟურნალ-გაზეთები, რომლის ფურცლებზე გაშუქებული უნდა იქნას ამა თუ ის სექციის მუშაობა. იმ მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, რომლებიც საუკეთესოდ გააშუქებენ სექციების საქმიანობას და გამოააშკარავებენ მათი მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს, მიეცემა ჯილდოები.

ცაკის დადგენილებით კონკურსის ბრწყინვალედ ჩასატარებლად დაარსებული იქნება ცენტრალური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს როგორც ადგილობრივ კომისიებს, ისე მთელ საკონკურსო კამპანიას.

ცენტრალურ კომისიაში შევლენ შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები: ცაკის, პარტიის და კომკავშირის, გლეხკომების ცენტრალურ კომიტეტის, მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის, განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატების, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გზატკეცილების სამმართველოს და სხ. წარმომადგენლები. ამავე კომისიაში აგრეთვე შევლენ გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს, „ახალი სოფელი"-ს და „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქციების წარმომადგენლები.

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების ცნობით, თბილისის მაზრაში უკვე დაიწყო საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარება. კამპანიის ჩასატარებლად თემებში გამოყოფილია საგანგებო კომისიები, რომელშიაც შედიან სათემო საბჭოს, პარტიულ ორგანიზაციის, კომკავშირის და ქალთა ორგანიზაციების და გლეხკომების წარმომადგენლები.

თემის საბჭოს საანგარიშო მოხსენება გაკეთებული იქნება აღმასკომის მიერ შედგენილი სქემის მიხედვით, მოხსენებას გააკეთებს იმ უბნის დეპუტატი, სადაც ეწყობა საანგარიშო კრება. მიღებულია ზომები, რომ ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბაროს დეპუტატების რაც შეიძლება მეტმა რაოდენობამ. საანგარიშო მოხსენების გაკეთება, განსაკუთრებით დაევალება დეპუტატ-ქალებს.

კამპანიის ჩამტარებელ კომისიებს წინადადება აქვთ მიცემული, რათა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოხსენებების გარშემო საქმიან კამათის გამართვას და გლეხებს საშუალება მიეცეს თამამათ და გაბედულად ილაპარაკონ საბჭოს მუშაობის გარშემო და გამოააშკარაონ ამ მუშაობის ნაკლულოვანებები.

ამავე კრებებზე იწარმოებს უმოქმედო და პასიურ დეპუტატების გამოწვევა და მათ მაგიერ არჩეული იქნებიან მოჯამაგირე და საშუალო გლეხების აქტივის აქტიური წევრები.

საანგარიშო კრებები მოწვეული იქნება საბჭოების არჩევნებისათვის დანიშნულ პუნქტებზე.

საანგარიშო კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ მაზრაში დაგზავნილი არიან ინსტრუქტორები, რომლებსაც აგრეთვე დავალებული აქვთ შეისწავლონ საბჭოს სექციების მუშაობა და სათანადო მასალები და დასკვნები წარმოუდგინონ თბ. აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებას.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა ადგილებზე

როგორც მაზრაღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს, ისე თემსაბჭოებსაც აქვთ მინიჭებული უფლება გამოსცენ სავალდებულო დადგენილება. ასეთი დადგენილების გამოცემით ადვილზე მყარდება რევოლიუციონური წესრიგი და უშიშროება, ინახება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონება, სწარმოებს ბრძოლა მოსახლეობის დამზარალებელ მოვლენების წინააღმდეგ და სხვა.

ადგილები, ჩამოთვლილ დარგების მიხედვით გამოსცემენ სავალდებულო დადგენილებას მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს საქმის ინტერესი. სავალდებულო დადგენილების გამოცემა. თუ ის არ არის ნაკარნახევი ცხოვრების სინამდვილით, ნაყოფს ვერ მოიტანს, ამიტომ ადგილები ასეთ შემთხვევებში უნდა ემყარებოდნენ ფაქტებს, ყოველ მხრივ სინჯავდენ ობიექტს სავალდებულო დადგენილების გამოცემისას და ისე აქვეყნებდენ მას.

ხსენებული წესი საერთოდ, და კერძოდ დებულების სავალდებულო დადგენილების გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ, ზოგიერთ ადგილას სათანადო ყურადღება არ ექცევა; არის შემთხვევები როდესაც სავალდებულო დადგენილება იცემა ისეთ საგანზე, რომელიც მათ ფუნქციაში არ შედის, როგორც საგანი სავალდებულო დადგენილების გამოცემისა. აგრეთვე ირღვევა ცაკის ხსენებული დებულება ზოგიერთ მის მუხლების დამახინჯებით, არა სწორად გაგებით. არ ტარდება სისწორით ადმინისტრატიული გადასახდელის დადება. ზოგიერთი მაზრა და თემები სავალდებულო დადგენილებას სრულებით არ სცემს, ან თუ სცემს არა საჭირო ფორმით, არამედ მხოლოდ ოქმის დადგენილებით საზღვრავს ასეთის გამოცემას და სხ.

ხსენებულ დეფექტების საილიუსტრაციოთ ხელთ გვაქვს მრავალი სავალდებულო დადგენილებანი. გამოცემული მაზრის თუ თემის მიერ. მაგალითად: შორაპნის მაზრაღმასკომი სცემს სავალდებულო დადგენილებას იმის შესახებ, რომ „მოწყობილ იქნეს საცხოვრებელი სავაჭროების მეპატრონეთა მიერ ბინებთან და სავაჭროებთან მზარეულები". (სავ. დადგ. № 3, მუხ. 9).

აქ ჯერ გაუგებრობას იწვევს დადგენილების ტექსტი, თუ აღმასკომს უნდოდა ეთქვა, რომ ყოველ საცხოვრებელი სახლისა და სავაჭროს მეპატრონე ვალდებულია მოაწყოს სამზარეულო, უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმასკომი თავის კომპეტენციის ფარგლებს სცდება, იმიტომ, რომ იქნება თუ არა კერძო სახლებში სამზარეულოები და როგორ იქნება ისინი მოწყობილი, ეს სახლის მეპატრონეების კერძო საქმეა, და ხელისუფლების ორგანოები ამაში არ უნდა ჩაერიონ.

შემდეგ ამავე დადგენილების მე-10 მუხლი სავალდებულოდ აღიარებს, რომ სასტუმროებში, რესტორანებში, ბუფეტებში, თეატრებში და საზოგადო საკრებულოში გაკეთებულ იქნეს „ფეხის ადგილის ნაცვლად კარგად მოწყობილი ვატერ-კლოზეტები წყლის საკმაო მარაგით".

თუ შორაპნის მაზრის ყველა ქალაქსა და დაბებში მოწყობილია წყალსადენი, რომლის საშუალებით შეიძლება ვატერ-კლოზეტების მოწყობა, მაშინ აღნიშნული მოთხოვნა მიზანშეწონილია, ხოლო თუ ეს არ არის, მაშინ ეს მოთხოვნა განუხორციელებელი იქნება და რეპრესიული ზომების მიღება ასეთი მოთხოვნის დარღვევისათვის შეუძლებელი გახდება.

ამავე დადგენილების მე-11 მუხლი ავალებს სახლების, სავაჭროების, სახელოსნოების მეპატრონეებს „საკმარის სინათლოვნად გაბადონ საცხოვრებელი ბინები, რომლებიც არ უნდა იქნენ ნესტიანი და ნიავდებოდეს სუფთა ჰაერით". ადმინისტრატიული ბრძანებლობით, თუნდაც სავალდებულო დადგენილების გამოცემით, ხსენებულის მიღწევა არ შეიძლება. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ზემო-აღნიშნული მოთხოვნა პირველ ყოვლისა რეალობას არის მოკლებული და ასეთი მოთხოვნის შეტანა სავალდებულო დადგენილებაში შეუწყნარებელია.

ძეგვის თემის (გორის მაზრა), აღმასკომის დადგენილების ძალით ჯარიმდებიან რიგი მოქალაქეთა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, ოქმში არ არის აღნიშნული, რომელ სავალდებულო დადგენილებისათვის იქნენ დაჯარიმებულნი ოქმში ჩამოთვლილი პირნი. არ არის ნაჩვენები, რაში გამოიხატა სავალდებულო დადგენილების დარღვევა და სხვა.

გურჯაანის თემსაბჭოს დადგენილებაც (№ 30) არ ეფარდება არსებულ კანონს, ჯარიმის რაოდენობა დებულებით არის განსაზღვრული 5 დღე, ან იძულებითი მუშაობა 5 დღემდე, გურჯაანის თემსაბჭო ამ ნორმას ადიდებს 7 დღემდის. დადგენილებაში სწერია: „დამრღვევი ამა დადგენილებისა დაისჯება ადმინისტრატიული წესით, დაპატიმრებით, ან იძულებით მუშაობით 7 დღემდე". აგრეთვე გურჯაანის თემსაბჭოს დადგენილება არღვევს დებულებას სავ. დადგ. გამოცემის მე-7 მუხლის, სადაც ნათქვამია „სავალდ. დადგენილება ძალაში შედის არა უადრეს ერთი კვირისა მისი გამოქვეყნების დღიდან". ხსენებული თემსაბჭოს დადგენილება აჩქარებს ამ დროს და დაჰყავს იგი მინიმუმამდე, ერთ დღემდე. სწერენ: „ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა".

ფასანაურის თემაღმასკომის დადგენილებაც არ ეფარდება კანონს, ორი მანეთის ჯარიმასთან ერთად ის ორი დღით იძულებით მუშაობას აწესებს. უნდა იყვეს ან ფულადი ჯარიმა, ან შრომით და არა ორივე ერთად.

ქინვალის თემაღმასკომი (დუშ. მ.), ადგენს, „აკრძალულია მეზობლების მიწების მიჯნების გადახვნა და სასოფლო გზების შევიწროვება". ეს მუხლი დადგენილებისა არ არის გათვალისწინებული კანონში როგორც სავალდებულო დადგენილების საგანი. ამავე თემის დადგენილების 9-13 მუხლი ეხება: „სტიქიურ უბედურების გამო დაზარალებულთა დახმარების საკითხს და წითელი ჯარის მგზავრობის დროს, მათთვის პირველ მოთხოვნილებისთანავე ბინების მიცემას". უკანასკნელი დადგენილებები ისეთი ზოგადი ხასიათის არის. რომ მათი შესრულება არ მოხერხდება და ნაყოფს ვერაფერს მოიტანს.

სიღნაღის მაზრაღმასკომის სავალდებულო დადგენილების მე-4 მუხლი ლაპარაკობს: „დამრღვევი ამა სავალდებულო დადგენილებისა დაისჯება ადმინისტრატიული წესით, დაპატიმრებით, ან იძულებითი მუშაობით ორ (2) თვემდე და სხვ.", რაც კანონის წინააღმდეგია. კანონით დაპატიმრების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

ბორჩალოს მაზრაღმასკომის სავ. დადგენილება № 30, მუხ. 3 ლაპარაკობს, რომ სავ. დადგ. დამრღვევი დაჯარიმდეს 200 მანეთით, რაც არსებულ კანონის წინააღმდეგია. კანონის მიხედვით ჯარიმა მხოლოდ 100 მანეთით განისაზღვრება.

ჩამოთვლილი ფაქტები ლაპარაკობს ადგილების მიერ სავ. დადგ. გამოცემის ზოგიერთ უარყოფით მხარეებზე, აუცილებლად კანონის ნორმალურად ცხოვრებაში გატარებას უშლის ხელს, რასაც ადგილებზე უნდა მიექცეს საჭირო ყურადღება. სავალდებულო დადგენილებები უნდა იცემოდეს კანონის მტკიცე დაცვით.

ვ. ლეჟავაშვილი.

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის
დღესასწაულის ჩამტარებელი კომისიის თათბირი

თბილისის საბჭოს მიერ მუშურ-გლეხურ წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად გამოყოფილმა კომისიამ, რომელსაც ჰქონდა პირველი თათბირი, დაადგინა შემდეგნაირად ჩაატაროს წითელი არმიის ათი წლის თავი:

6 თებერვლიდან 15 თებერვლამდე მუშათა კომისიები მოახდენენ წითელი ყაზარმების დათვალიერებას, რომლის დროსაც გამოკვლეული იქნება წითელ არმიელთა ნივთიერი მდგომარეობა, ყოფა-ცხოვრება, კულტურული მუშაობა ყაზარმებში. იგივე კომისიები ჩაატარებენ წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის საბინაო პირობების გამოკვლევას.

23 თებერვალს ათი წლის თავის შესრულების დღეს გაიმართება მუშა-მოსამსახურეთა მასიური ექსკურსიები ყაზარმებში და წითელ არმიელთა კლუბებში, სადაც ისინი გაეცნობიან წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრებას პირობებს და მათ კულტურულ მდგომარეობას.

20 თებერვლიდან ცაკისა და სახკომსაბჭოს წევრები ინახულებენ ყაზარმებს და დაწვრილებით გაეცნობიან წითელ არმიელთა ცხოვრებას.

15 თებერვლიდან ცხრაწლედებსა და ტეხნიკუმებში სასწავლო პროგრამასთან შეფარდებით დანიშნული იქნება გაკვეთილები წითელი არმიის ისტორიის შესასწავლად.

თებერვლის შუა რიცხვებიდან 23-მდე გაიმართება წითელარმიელთა საგარნიზონო კონფერენციები, რომელზედაც გაკეთებულ იქნება მოხსენებები წითელი არმიის დამსახურების შესახებ.

ამავე დროს მიღებული იქნება ზომები წითელ არმიელთა და მათი ოჯახების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პირველ ყოვლისა პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობის საშუალებით ჩატარდება აღრიცხვა იმ ყოფილ წითელარმიელებისა და წითელ გვარდიელების, რომელთაც თავი ისახელეს სამოქალაქო ომის დროს, ინვალიდებსა და ამჟამად შრომის უნარ მოკლებულ დამსახურებულ წითელ არმიელებს დაენიშნებათ პენსია.

განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე აღძრული იქნება შუამდგომლობა, რომ დანიშნულ იქნეს სტიპენდია წითელ არმიის დამსახურებულ უფროსთა შემადგენლობის შვილებისათვის.

შესწავლილ იქნება შვებულ უფროსთა შემადგენლობის სამსახურში მოწყობის შედეგები და ამავე დროს მიღებული იქნება სასწრაფო ღონისძიებები უსამსახურო უფროსთა შემადგენლობის სხვადასხვა თანამდებობაზე მოსაწყობად.

უფროსთა შემადგენლობის საბინაო პირობების მოსაწესრიგებლად ერთი სახლი გადაეცემა წითელ არმიელთა უფროსთა შემადგენლობას და მიღებულ იქნება ღონისძიებები სამხედრო სახლების კერძო მდგმურთაგან განსათავისუფლებლად.

წითელი არმიისა და ფლოტის კლუბი განთავისუფლებული იქნება გადასახადებისაგან კომუნალური სამსახურისათვის.

ამავე კლუბის შესაკეთებლად და მოსაწყობად გადადებული იქნება რამოდენიმე ათასი მანეთი.

აჭარისწყალის ჰიდროელსადგური
(სპეც. კომისიის მუშაობის შედეგები)

ამას წინეთ აჭარის წყალის ჰიდროელსადგურის სამუშაოთა დასათვალიერებლად გაგზავნილი იყო სპეციალისტთა კომისია ინჟ. ნ. ზვორიკინის ხელმძღვანელობით. კომისიას დავალებული ჰქონდა გამოერკვია, თუ რა სამუშაოებია შესრულებული სადგურის ასაგებად, ან რა სამუშაოები დარჩა შესასრულებელი, რა თანხაა დღემდე დახარჯული და რამდენი უნდა დაიხარჯოს სადგურის დასამთავრებლად.

კომისია სადგურის დათვალიერებისა და სამუშაოებთან გაცნობის შემდეგ დაბრუნდა თბილისში და შეუდგა შეკრებილი მასალების დამუშავებას. კომისიის მიერ შეგროვილი მასალებიდან ირკვევა, რომ სადგურის საამშენებლო სამუშაოებიდან შესრულებულია მესამედზე მეტი ანუ 33—35 პროცენტი.

კომისიის წინასწარი დასკვნები, მთელი შესრულებული სამუშაოები ტეხნიკურათ უნაკლოა, ხოლო მომავალ სამუშაოთა წარმატებით ჩასატარებლათ საჭიროთაა ცნობილი აღიძრას შუამდგომლობა, რომ საამშენებლო სამუშაოთათვის შესაფერისი თანხების გაცემა სწარმოებდეს სისტემატიურად და დაუბრკოლებლათ.

კომისიამ შეიმუშავა მომავალ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა და სამუშაოთა გეგმა იმ ვარაუდით, რომ სადგურის ძალოვნება 7,5 ათას ცხენის ძალიდან აყვანილ იქნას ათი ათას ცხენის ძალამდე.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კონფერენცია

გუშინ დამთავრდა საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო კავშირის ცენტრალურ გამგეობის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მოხსენება და დელეგატთა არჩევა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

კომ. მეურნ. მუშაკთა კავშირის ც. გ. მოხსენება

კავშირის ცენტრალურ გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარე ამხ. თავდგირიძემ, რომელმაც მიმოხილვა გაუკეთა გამგეობის საქმიანობას ორგანიზაციულ, სატარიფო-ეკონომიურ და კულტურულ მუშაობის დარგებში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კავშირის წევრთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ამჟამად იგი უდრის 2.443 კაცს. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში კავშირს მოემატა დაახლოებით 500 კაცი.

ეხება რა სატარიფო ეკონომიურ მუშაობას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რამოდენიმე პროცენტით გადიდებულია კომუნალურ დარგში მომუშავე ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასი. გადადის რა კულტურული მუშაობის დახასიათებაზე, მომხსენებელი ამბობს, რომ კავშირის მიერ დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ, რასაც შედეგად მოყვა წ. კ. უცოდინართა პროცენტის საგრძნობი შემცირება. ცენტრალური გამგეობის მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო 40 პროვინციელმა დელეგატმა და 30 ადგილობრივმა. დელეგატები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ ადგილებს არა აქვთ საკმაო სახსარი საკლუბო და კულტურულ მუშაობის საწარმოებლად. გარდა ამისა, პროფკავშირის ადგილობრივ მუშაკებს იყენებენ სხვადასხვა სამუშაოებზე, აგზავნიან თემებში სხვადასხვა კამპანიის ჩასატარებლად და სხვ. სათანადო შენობების უქონლობა, მატერიალური ხელმოკლეობა და კავშირის კულტმუშაკთა ხშირი მობილიზაცია სხვადასხვა კამპანიების ჩასატარებლად ხელს უშლის კულტურულ მუშაობის წარმოებას ადგილებზე და ფრიად აბრკოლებს მათ საქმიანობას პროფესიონალურ ხაზით.

კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ცენტრალურ გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს და მიუთითებს მომავალი მუშაობის ამოცანებზე.

მოხსენება კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მუშაობის შესახებ მომხსენებელის ავადმყოფობის გამო მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან.

დელეგატების არჩევა საკავშირო ყრილობისათვის

სრულიად საკავშირო კომუნალური მეურნეობის მუშაკთა ყრილობისათვის არჩეულ იქნა შემდეგი დელეგატები: **თავდგირიძე, ბეჟანიშვილი, გაბაშვილი, ფერიაშვილი, თევზაძე, ავაქოვი, ბაზმალოვი და უმიკაშვილი.**

თათბირი მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში შესდგა სპეციალური თათბირი მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ. თათბირს დაესწრენ მიწსახკომის სპეციალისტები და დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები. განხილულ იქნა ღვინის გასაღების, ამერიკულ ვაზის სადედეების მოწყობის და კრედიტების მოწესრიგების საკითხები.

თათბირმა დაადგინა ღვინის დამზადების და რეალიზაციის საქმის მოსაწესრიგებლად მიღებული იქნეს ზომები მევენახე გლეხების კოოპერატიულ საფუძველზე შესაკავშირებლად. ამ მიზნით აშენებული იქნება კოოპერატიული სარდაფები, სადაც კოოპერატიულად შეკავშირებული გლეხები მიიტანენ ღვინოს. ამ სარდაფებში იწარმოებს შეგროვებულ ღვინოების გადამუშავება და დახარისხება. გლეხებს სარდაფში ღვინის მიტანისას მიეცემათ ავანსი, ხოლო ღვინის რეალიზაციის შემდეგ—დანარჩენი თანხა.

კოოპერატიულად გაერთიანება მევენახე გლეხებს საშუალებას მისცემს თავი დააღწიონ კერძო ვაჭრებს და ამავე დროს ღვინო გაყიდონ განსაზღვრულ ფასებში, მაზანდის მიუხედავათ, რასაც ხშირათ კერძო ვაჭრები ხელოვნურად აწესებენ.

კოოპერატიულ სარდაფის წევრები აგრეთვე საერთო ძალღონით შეუდგებიან ვენახების აღდგენას და მეურნეობის გასაძლიერებლად შეუძლიათ აიღონ სესხი კოოპერატიულ და სასოფლო-სამ. ბანკებიდან.

თათბირმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა კოოპერატიული და სახელმწიფო დაწესებულებები თავის საწყობებში, რესტორანებში, სასადილოებში და სხ. ვაჭრობდენ მხოლოდ კოოპერატიულ და სახ. ორგანიზაციების მიერ დამზადებულ ღვინოებით.

შემდეგ თათბირმა გამოიმუშავა ამერიკულ ვაზის სადედეების გაშენების 5 წლიანი გეგმა, რომლის მიხედვით წელს სადედეები გაშენებული იქნება 155,9 დესეტინაზე, ამას გარდა თათბირმა დაადგინა აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რათა ღარიბებს მევენახე გლეხებს მიეცეთ წელს სესხი ახალი ვენახების გასაშენებლად 1.000 დესეტინის სივრცეზე.

თათბირი მებამბეობის შესახებ

3 თებერვალს თათბირზე არჩეულ იქნა სექციები:

სასოფლო-სამეურნეო, რომელსაც დავალებული აქვს პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება თესლეულის საქმის ორგანიზაციულად მოწყობის, ბამბის ჯიშების ამა თუ იმ რაიონის ჰავასთან შეფარდების, მიწის ხელოვნურად განოყიერების, სინოყივრის განაწილების გეგმის, აგრო-დახმარების, მავნებლებთან ბრძოლის და მოსავლიანობის გამორკვევის შესახებ.

საორგანიზაციო-ეკონომიური, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს თესვის კამპანიის გეგმა, კოოპერაციის მუშაობის, ხორბლის და მანუფაქტურის შემოზიდვის და განაწილების საკითხები.

სამრეწველო-საწარმოო, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს ქარხნებში საქონლის შენახვის წესი, საქონლის დახარისხების მეთოდები და ტეხნიკურ პერსონალის კვალიფიკაციის გაუმჯობესებისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები (ორთვიანი კურსების და თურქესტანის ბამბის ქარხნების დასათვალიერებლად ექსკურსიის მოწყობა).

სექციების დასკვნებს პლენუმი განიხილავს დღევანდელ სხდომაზე.

ამხ. ს. გვიმრაძე

ულმობელმა სენმა—ჭლექმა ბოლო მოუღო პატიოსან მუშაკს, ძველ რევოლიუციონერს, უმწიკვლო პიროვნებას ამხ. სანდრო გვიმრაძეს.

დიდი ხანია, რაც ეს სენი ღრღნიდა ამხ. სანდროს სხეულს, მაგრამ ამ დაუღალავ მუშაკს ერთი წუთითაც არ დაუნებებია თავი პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობისათვის.

ამხ. სანდრო 1905 წელში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩაება რევოლიუციონურ მუშაობაში და ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ის მუშაობდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში მჭედლის თანაშემწედ—ჯუროს დამრტყმელად. ამავე დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდა არალეგალურ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში.

ძველად ამხ. სანდრო ეკუთვნოდა მენშევიკურ პარტიას, მაგრამ 1924 წელს მან აშკარად დაგმო ძველი გზა და მას შემდეგ დადგა რა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, იყო წევრი ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე კომისიის და ღებულობდა მასში მხურვალე მონაწილეობას.

მან შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეები და მიუხედავათ ავადმყოფობისა და სისუსტისა არა ერთსა და ორ გზააბნეულ მენშევიკს აუხილა თვალი, დააყენა სწორ გზაზე და ჩააბა საბჭოთა სოციალისტურ აღმშენებლობაში.

დიდი და ნაყოფიერი იყო სანდროს მუშაობა არა თუ ძველად, თვითმპყრობელობის დროს, არამედ დღესაც.

სანდრო არ დაიზარებდა, არ შეჩერდებოდა არავითარ დავალების წინაშე და მიუხედავათ ფიზიკურ სისუსტისა ყველა დავალებას ასრულებდა პირნათლად.

ამ ბოლო ხანებში ის ენერგიულად მუშაობდა თბილისის საბჭოს კომუნალურ სექციაში.

სექციამ წამოაყენა ამხ. სანდრო დაწინაურებულ მუშათა სიაში, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა მას მუშაობის განგრძობა.

განსაკუთრებით მძიმეა ამხ. სანდრო გვიმრაძის დაკარგვა ჩვენთვის, მისი ახლობელი ამხანაგებისათვის, ძნელია ეს მით უმეტეს დღეს, როცა საბჭ. საქართ. მშრომელი მასები გაცხოველებულ ენერგიით აწარმოებენ სოციალისტურ აღმშენებლობას, რაც განსაკუთრებულ ენერგიას მოითხოვს თვითეული შეგნებული ამხანაგისაგან.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ რამოდენიმე კვირის წინ გორში სამუშაოდ გამგზავრებისას, შენ უკვე სამუდამოთ გვეთხოვებოდი. რას ვიფიქრებდით შენი ახლო ნაცნობ-მეგობრები, რომ მეტს ველარ განახავდით, ველარ მოვისმენდით შენს დალაგებულ და საქმიან საუბარს.

მშვიდობით ამხანაგო სანდრო! შენ საკმაოდ ბევრი გააკეთე მშრომელი მასის განთავისუფლების საქმეში. ამიერიდან კი შენს დაწყებულ საქმის განხორციელებას განაგრძობენ შენი ამხანაგები და ის ახალგაზრდა თაობა, რომელიც შენისთანა რევოლიუციონერების საქმიანობაზე იზრდება.

ნ. დოლიძე.

ქრონიკა

ზაჰესის დატვირთვა

ზაჰესის დატვირთვა თანდათან იზრდება. ასე, მაგალითად სადგურის დატვირთვა დეკემბრის ბოლო რიცხვებში უდრიდა სადგურის სიმძლავრის 33 პროცენტს, იანვრის შუა რიცხვებში—39 პროცენტს, პირველი თებერვლისათვის კი დატვირთვა გაიზარდა 49 პროცენტამდე.

ამჟამად თბილისის ყველა წარმოებები გაძლიერებულ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებენ ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად.

30 მოგება

გუშინ სახელმწიფო ბანკის თბილისის საოლქო კანტორაში წარდგენილი იქნა ინდუსტრიალიზაციის სესხის 30 ობლიგაცია, რომლებსაც ხვდა მოგება 100-დან 250 მანეთამდე. ობლიგაციების პატრონი რკინის გზელებია.

ბანკმა გუშინვე გასცა მოგება,

მასიური მუშაობა

თბილისის აღმასკომმა საფინანსო ინსპექტორებთან მიამაგრა საბჭოს 26 წევრი, რომლებიც საფინანსო ინსპექტორებთან ერთად გამოიკვლევენ საგადასახადო ობიექტებს. გამოკვლევა გაგრძელდება 1 თვეს.

ამ გამოკვლევებში საბჭოს წევრების ჩაბმის მიზანია მასიურ მუშაობის გაძლიერება თბილისის საბჭოს წევრებს შორის.

გადამდები სნეულებები

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით თბილისის მაზრის სამკურნალო დაწესებულებებში გასულ წელს გატარდა ტიფით დაავადებული 118 კაცი. მათ შორის პარტახტიანი ტიფით შეპყრობილი იყო 9 კაცი, მუცლის ტიფით—85, შებრუნებითი ტიფით—1 და გამოურკვეველ სახის ტიფით—23.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენი სოფლად.** თბ. აღმასკომმა სოფ. გორანში წყალსადენის გასაყვანად გადასდო 2.500 მანეთი.

◆ **ახალი ხიდი.** კომუნალური მეურნეობა გაზაფხულზე შეუდგება მდ. მტკვარზე ახალი ხიდის აგებას, რომელიც შეაერთებს სადგურის ქუჩას და ვერის რაიონს.

◆ **აღრიცხვა.** საბჭოს და სექციების სხდომებზე წევრთა დასწრების აღსარიცხავათ აღმასკომი ადგენს ახალ სააღრიცხვო ბარათებს, რომლის საშუალებით გამორკვეული იქნება აქტიური და პასიური წევრების რაოდენობა.

მიწსახკომში

◆ **იაპონური ხურმა.** მიწსახკომმა დაადგინა წელს დასავლეთ საქართველოში გააშენოს იაპონური ხურმის ბაღები. იაპონურ ხურმისაგან მზადდება საუკეთესო ღირსების ჩირი, რომელიც მეტად მარგებელია სისხლნაკლულოვანთათვის.

◆ **თამბაქო.** მეთამბაქოობის განვითარების მიზნით მიწსახკომმა გადასწყვიტა წელს დაამზადოს თამბაქოს საუკეთესო ჯიშის თესლები და დაურიგოს მეთამბაქოე გლეხებს.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის** დარგის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად მიწსახკომი შეუდგა მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურების გაფართოებას.

◆ **საძოვრები.** სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას დაევალა შეადგინოს ახალი ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა საძოვრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ამ დარგში აგროკულტურულ მუშაობის გაფართოების მიზნით.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ხე-ტყის მასალის გატანა.** წელს სატყეო ტრესტი საზღვარგარეთ გაიტანს 70.000 მან. ხე-ტყის სხვადასხვა მასალას.

◆ **გზათა სამმართველომ** აფხაზეთში გზატკეცილების შესაკეთებლად და ახალი გზების გასაყვანად გადასდო 50.000 მანეთი.

◆ **აბრეშუმის ტრესტმა** ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ ქარხნის გასაფართოებლად საკავშირო ლითონ ტრესტს შეუკვეთა 72 დაზგის დამზადება.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 7 საათზე ს. ნ. მაკალათია წაიკითხავს მოხსენებას: „ზემო სვანეთი". საღამოს 9 საათზე პროფ. ა. შანიძე: „რუსიციზმი ქართულ ენაში".

◆ **თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში** კვირას, დღის 12 საათზე შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც პროფ. დიდებულიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რაციონალური განათება".

სხვადასხვა

— **სტიპენდიანტთა საყურადღებოთ.** სახელმ. უნივერსიტ. ყველა სტუდ.-სტიპენდიანტი უნდა გამოცხადდეს კვირას, 5 თებერვალს, დღის 2 საათზე სამხედრო სკოლაში ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **ექსკურსია.** კვირას, 5 თებერვალს დღის 10 საათზე საზოგადოება „ბავშვთა მეგობრების" მე-4 რაიონული საბჭო აწყობს ექსკურსიას საბავშვო სახლში „ვაკეში". შესაკრებ პუნქტად დანიშნულია თავისუფლების მოედანი.

შემთხვევები

რეციდივისტის დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი ქურდი-რეციდივისტი შამილ მამედ-ოღლი.

გამოირკვა, რომ შამილ-ოღლი თბილისში სცხოვრობდა ჯამილ მამედ-ოღლის გვარით.

შამილ-ოღლი დახელოვნებული იყო მატარებლებიდან ნივთების მოპარვაში.

დაპატიმრებისას მას აღმოაჩნდა დუბლიკატები. გამოირკვა, რომ ნაქურდალი საქონელი მას გაჰქონდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში.

ნაქურდალი საქონლის ნაწილი აღმოჩენილია.

ნივთებისა და საქონლის პატრონი უნდა გამოცხადდენ ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ს. გოგუასთან.

თავის მოწამვლა

გუშინ, დღისით იოდით თავი მოიწამლა მანია პეტროსიანცმა (მცხოვრები ნოვრიგის შესახ. № 6).

პეტროსიანცი გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

თავის მოწამვლის მიზეზი რომანიულია.

გაზეთის „მოყვარული"

გუშინ, დღისით პ. გრიგორიანცს რუსთაველის პროსპექტზე უცნობმა კაცმა მოპარა გაზეთები.

ბოროტმოქმედი მილიციამ დააპატიმრა, იგი აღმოჩნდა არგან მარტიროსის ძე ნორაგოვი.

ქურდის შეპყრობა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს სოფიო გალუსტოვას ბინა (საპიორის ქუჩა № 41); ამ საქმეზე დააპატიმრეს თედორე კირილესძე ზახაროვი.

სახალხო განათლების 5 წლიანი გეგმა

განათლების კომისარიატის კოლეგიის სპეციალურ სხდომაზე ამხ. **მარიამ ორახელაშვილმა** გააკეთა მოხსენება განათლების კომისარიატის მუშაობის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შედგენის შესახებ.

მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კოლეგიამ დაადგინა დაევალოს სოციალურ აღზრდის, პროფგანათლების, პოლიტგანათლების, სამეცნიერო და ხელოვნების, ბეჭდვითი სიტყვისა და ლიტერატურის და სახელგამის მთავარმმართველობებს სასწრაფოთ შეიმუშაონ თავიანთი მუშაობის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა და წარმოუდგინონ კოლეგიას.

ამ გეგმების განსახილველად და განათლების კომისარიატის მთლიანი 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესადგენად, კოლეგიამ დაარსა ცალკე კომისია ამხ. **დ. კანდელაკის, მარიამ ორახელაშვილის და ვ. იმედაძის** შემადგენლობით.

კოლეგიამ დაადგინა, განათლების კომისარიატის მთლიან 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის განსახილველად და დასადასტურებლად მოწვეული იქნას სრ. საქართველოს განათლების განყოფილებათა გამგეების,, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და კომკავშირის წარმომადგენლების თათბირი. თათბირის მოწვევა დაევალა იმავე კომისიას.

დასასრულ კოლეგიამ დაადგინა წინადადება მიეცეს სოციალურ აღზრდის, პროფგანათლების, პოლიტგანათლების, ბეჭდვითი სიტყვისა და ლიტერატურის, სამეცნიერო და ხელოვნების მთავარმმართველობებს და სახ. გამომცემლობას ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის ანგარიში და მომავალი წლის მუშაობის გეგმა.

უმწეო ბავშვთა დასახმარებლად

განათლების კომისარიატის ცნობით, დეფექტიურ ბავშვთა აღსაზრდელად ამჟამად მთელ საქართველოში არსებობს შემდეგი სპეციალური დაწესებულებები: ავჭალის ახალშენი, ბრმათა სკოლა, ყრუ-მუნჯთა სკოლა, ვენერიულ სენით შეპყრობილ ბავშვთა იზოლიატორი, უპატრონო ბავშვთა ღამის გასათევი სახლი, კოჯორის ახალშენი და მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლექტორი, სადაც დღემდე გაიარა 22.000 ბავშვმა. ამ კოლექტორში გატარებული ბავშვების ნაწილი მოთავსებული იქნა საბავშვო ბაღებსა და სხვა დაწესებულებებში, ნაწილი ჩაბარდა მშობლებს და მზრუნველებს, და ნაწილი დაბრუნებული იქნა თავთავიანთ სამშობლოში ნათესავებისა და მშობლებისათვის ჩასაბარებლად.

ყოველწლიურად საქართველოს ემატება დაახლოებით 800-მდე უმწეო ბავშვი, ამ რიცხვში შედის, როგორც ადგილობრივი, ისე მეზობელ რესპუბლიკებიდან შემოსული ბავშვები.

უმწეო და დეფექტიურ ბავშვთათვის უფლებრივ-სოციალურ დახმარების გასაწევად განათლების კომისარიატთან არსებობს სპეციალური განყოფილება, რომელსაც ექვემდებარება ბავშვთა ყველა დაწესებულებებში.

გასულ წელს მთელ საქართველოში აღრიცხვაზე აყვანილი იყო 7.840 უმწეო ბავშვი, მათ შორის 4.350 ბავშვი მაზრებშია, დანარჩენი მოთავსებულია თბილისში არსებულ საბავშვო დაწესებულებებსა და სახლებში.

უმწეო ბავშვთა დახმარების საქმის გასაფართოებლად და ბავშვთა უმწეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად განათლების კომისარიატმა შეადგინა ფართო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს უმწეო ბავშვთა დახმარების საქმეში მოსახლეობის, სამეურნეო და საზოგადოებრივ დაწესებულებების ფართო მონაწილეობას.

გეგმის მიხედვით, წელს განზრახულია საბავშვო დაწესებულების შენობების შეკეთება და ბავშვთა კვების გაუმჯობესება.

აგრეთვე განზრახულია სოფლად საბავშვო ბაღების და მოედნების ქსელის გაფართოება.

ამასთანავე მოეწყობა საბავშვო დაწესებულებების პედაგოგიურ პერსონალის გადასამზადებელი კურსები, ბავშვთა აღზრდის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

გორის საკონსერვო ფაბრიკა

ს. მ. უ. ს. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებაში მიღებულია ცნობები გორში ახალი საკონსერვო ქარხნის ასაგებ სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. ქარხნის ასაგები ადგილი უკვე გამოიჯნულია და აგებულია საწყობები საამშენებლო მასალის შესანახად. ქარხანა ნავარაუდევია აგებული იქნეს ერთი წლის განმავლობაში.

საამშენებლო სამუშაოთათვის ჯერ-ჯერობით გადადებულია 200.000 მანეთი და შეკვეთილია ყველა საჭირო მოწყობილობა. ქარხნის ამგები კომიტეტის დადგენილებით გადაწყვეტილია წარმოება გადაყვანილ იქნეს სრულ მექანიზაციაზე. ამ მიზნით შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა დამატებითი სპეციფიკაცია ქარხნის მექანიკურ მოწყობილობათა გამოსაწერად. სულ დამატებით გამოწერილი იქნება 70.000 მანეთის მანქანები.

ქარხნის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შესათანხმებლად გაგზავნილია საკავშირო ს. მ. უ. ს. სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში. პროექტს უკანვე მოელიან ამ დღეებში და საამშენებლო სამუშაოებიც დაწყებული იქნება პროექტის მიღებისთანავე.

თანახმად წინასწარ გამომუშავებული საწარმოო გეგმისა, ქარხანამ ყოველწლიურად უნდა დაამზადოს 120.000 ფუთი სხვადასხვა ხარისხისა და მასალის კონსერვი. ქარხანასთან მოწყობილი იქნება აგრეთვე თუნუქის ყუთების საკეთებელი სახელოსნო, რომელიც ყოველდღიურად დაამზადებს 20.000 ცალ თუნუქის საკონსერვო ყუთს.

ქარხნის აგება დაჯდება 660.000 მანეთი.

სასამართლო

„პურმარილის" კაცი

სურენ კირაკოზისძე მერობიანცი და ანდრო გიორგისძე ჯამიაშვილი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

გუშინწინ საღამოს ორთავე ამხანაგი შეხვდნენ ერთმანეთს და საქეიფოდ შევიდნენ რესტორანში.

მერობიანცმა სუფრაზე მიიპატიჟა.. აგრეთვე სხვა მეგობრები და გაჩაღდა ქეიფი.

ქეიფის დროს მეგობრობა ადვილი იყო მათთვის, მაგრამ დანახარჯის გასტუმრებას დროს „ძმა-ბიჭები" ერთმანეთს ასწრებდენ გარეთ.

დავაში რომ არიან, მერობიანცმა სტკიცა თავი და გავარდა გარედ.

— არ გაუშვათ ქურდი,—უყვირის და მისდევს მას სასადილოს პატრონი.

მერობიანცი უცბად შეჩერდა, მოუბრუნდა სასადილოს მეპატრონეს და მაგარი სილა გააწნა მას.

გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ამ დროს იქ გაჩნდა ჯამიაშვილი. ორთავემ მაგრამ მიბრეგვეს სასადილოს მეპატრონე.

მოვიდა მილიცია.

— მოქალაქევ, დაწყნარდით,—ეუბნება მილიციელი მერობიანცს.

— მომშორდი აქედან, შენი... და მერობიანცმა ორი სილა აჭამა მილიციელს.

მერობიანცი და ჯამიაშვილი დააპატიმრეს

ეს საქმე გუშინ გაირჩა სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით.

მერობიანცს მიესაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ჯამიაშვილს კი ერთი თვით.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდადებულების არასრულწლოვანება და სასჯელი ერთი მესამედით შეუმცირა.

ალი ახმედოვის „საგმირო საქმეები"

ალი ახმედოვს წინად პატიოსან კაცად იცნობდნენ. რამოდენიმე წლის წინად იგი მოეწყო საქართველოს მებამბეობის კომიტეტში.

1925 წელში ახმედოვი დაინიშნა მებამბეობის კომიტეტის რწმუნებულად დასავლეთ საქართველოში.

პირველ ხანებში ახმედოვი კარგათ მუშაობდა, მაგრამ იმ უამრავმა ფულებმა, რომლებიც მის ხელში გადიოდა, „დავთარი დაუბნია" მას.

წელიწადზე მეტი იმუშავა ახმედოვმა რწმუნებულის თანამდებობაზე. იგი ყოველდღე ნაირ-ნაირს მიირთმევდა, ყოველდღე ქეიფობდა.

გასულ წელს ახმედოვს რევიზია გაუკეთეს. ახმედოვი მიდის გამგესთან და ეუბნება, რომ მან ვერ ნახა რამოდენიმე ათასი მანეთის გასამართლებელი საბუთები.

საქმე გადაეცა გამომძიებელს.

დადასტურდა, რომ ახმედოვმა სულ გაფლანგა 17.782 მან.

ახმედოვი მოხსნეს სამსახურიდან და მიაბრძანეს საპატიმროში.

გუშინ ახმედოვის საქმე უნდა გარჩეულიყო საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მაგრამ გადაიდო.

ქ.

ხულიგანი ბებუთით

ორი თებერვალს, ბაგრატ ბროევისძე ბროევი მთვრალი შევიდა სასტუმრო „ლონდონ"-ში.

სასტუმროში ბროევი მივარდა ერთ მოსამსახურე ქალთან და მკლავი მკლავში გაუყარა.

ქალმა შეუბღვირა და ხელიდან გაუსხლტა, ბაგრატმა მოინდომა ქალის გულში ჩაკვრა, მაგრამ ქალმა სილა გააწნა მას.

ბროევმა იძრო ბებუთი, მაგრამ მალე განიარაღებულ იქნა.

ბროევმა მიბრეგვა ორი მილიციელი.

ბაგრატს სტაცეს ხელი და წაიყვანეს კომისარიატში.

სასამართლომ ბროევს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო მისი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუმცირა ათი თვით.

ქ.

ხელოვნება

ძირს ხელოვნება, გაუმარჯოს ხალტურას

ჩვენ არასდროს არ გვეპარებოდა ეჭვი იმ გარემოებაში, რომ ოპერის დირექციის მახინჯი მხატვრული პოლიტიკა მიიყვანს თეატრს სრულ მორალურ გაკოტრებამდის, ჩვენ იმთავითვე ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ ოპერის თეატრის უკანასკნელი „ექსპერიმენტები“ ცნობილ „პირველი გამოსვლებით“ გაიყვანის ჩვენ ვოკალურ ახალგაზრდობას, გაამეფებს მათში მსახიობის სპეციფიურ ყოყოჩობის ინსტინქტებს და მით საგრძნობლად ხელს შეუშლის მომღერალის მეთოდიურად მომზადების საქმეს. იმ დროს, როდესაც კულტურის ყველა ცენტრებში ახალგაზრდა მომღერლები თავის კარიერას იწყებენ სრულიად პატარა პარტიებით, რომ შეეჩვიონ სცენას და დირიჟორის ხელს, ჩვენს საოპერო თეატრში ხდება პირიქით: მომღერალს ჯერ კიდევ არ აქვს დამთავრებული კონსერვატორია, რომ ის უკვე პრეტენზიებს აცხადებს პირველ პარტიებზე და ხშირად ამ პრეტენზიებს სავსებით აკმაყოფილებს ჩვენი საოპერო თეატრის ხელმძღვანელები. რეპერტუარის შერჩევა (ნუ თუ ჰგონია ოპერის დირექციას, რომ „ლეილას“ აღდგენა და „სიცოცხლე—სიხარულია“—მათი მუშაობის აქტივში ჩაირიცხება?), მომღერლების განაწილება მიმდინარე რეპერტუარში, „განახლებული“ დადგმები და მრ. სხვა პირწავარდნილი ხალტურის ხაზებში მიმდინარეობს: ყოველი სპექტაკლი კურიოზული სიურპრიზებით არის სავსე („რიგოლეტტო“, „გუგენოტები“, „აიდა“) და მაყურებელი ყოველ წამს ელოდება მორიგ კურიოზებს და მის მოლოდინში სპექტაკლის ბოლომდის იცდის. თეატრის დირექციამ ვერ შესძლო ვერც მომღერლების გამოყენება და ვერც ხალტურის მოსპობა. დირექცია ნიანგის ცრემლებს ჰღვრის იმის გამო, რომ მაყურებლის დარბაზი ცარიელია; როგორ უნდა გაივსოს თეატრი იმ პირობებში, როდესაც პირველხარისხოვანი მომღერლები ხშირად არტისტების ლოჟაში სხედან და უსმენენ ისეთ უნიჭოებს, რომელნიც მეორე ხარისხოვან როლებშიც გამოუსადეგარნი არიან. ყოველივე ეს შედეგია იმ პოლიტიკის, რომელსაც აწარმოებს ოპერის თეატრი დირექციისა და სამხატვრო ნაწილის გამგის სახით. მაგრამ პირველ თებერვალს დირექციამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ამ დღის წარმოდგენა „ჯამბაზები“ დირექციის „ბრძნული“ პოლიტიკის აპოგეა გახდა: აქ სამხატვრო ნაწილის გამგემ და დირექციამ გაუგონარი სიმტკიცის რეკორდი მიიღეს. მთავარ პარტიის ასრულებდა დამცველთა კოლეგიის წევრი ი. ბარათაშვილი (აფიშა მეტის მეტად ინტიმური იყო: „ისიკო ბარათაშვილის პირველი გამოსვლისათვის“. დირექციის უშნო სენტიმენტალიზმი). დარბაზი სავსე იყო ინტელიგენტური მეშჩანობით, რომელიც მეტის-მეტად „განიცდიდა“ იურისტ ბარათაშვილის თამაშში და სიმღერას ჯამბაზის როლში. აუდიტორიის არა „ოჯახური“ ნაწილი კი სიცილით უპასუხებდა გასტროლიორის ყოველ ჟესტსა და მიმიკას. ნუ თუ ვერ ხედავს ოპერის დირექცია, რომ ის ნაციონალისტურ-მეშჩანურ ინტელიგენციის ტყვეობაშია მოქცეული და მით უარყოფით როლს თამაშობს კულტურულ რევოლიუციაში? სად არის ხელოვნების განყოფილება? რას აკეთებს სამხატვრო-სარეპერტუარო საბჭო? რათ არ ისმის ავტორიტეტული ხმა? რათ არ სპობენ ისინი ამ უბილო ხალტურას?

საოპერო თეატრის დირექციამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა დაიხსომოს ის გარემოება, რომ ყოველ სპექტაკლს განსაზღვრული საზოგადოებრივი დანიშნულება აქვს: მან უნდა გაანავითაროს ვოკალური კულტურა, მან უნდა შეჰქმნას ვოკალური გემოვნება, მან უნდა აღზარდოს მხატვრულად ახალი მაყურებელი. მან უნდა მეთოდიურად ხელი შეუწყოს მომღერალი ახალგაზრდობის გამოყენებას საოპერო ხელოვნებაში. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლო ოპერის თეატრის მონაწილეობა კულტურულ რევოლიუციაში.

ლ. მ.

ხელოვნების ქრონიკა

„ჯანყი გურიაში“

რეჟისორმა ალ. წუწუნავამ ასისტენტ ს. დოლიძის თანამშრომლობით დაამთავრა სურათ „ჯანყი გურიაში“-ს (ეგნ. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით) გადაღება. ამჟამად სწარმოებს სურათის მონტაჟი. სურათის მასიურ სცენების გადაღებაში მონაწილეობა მიიღო 1,000-დე გლეხმა. სურათს იღებდა ოპერატორი დიმშლოვი. მთავარ როლებს ასრულებენ: ელ. ჩერქეზიშვილი, თ. ბოლქვაძე, ი. ნაზარიშვილი, ხინთიბიძე, მელიავა, კ. ანდრონიკაშვილი და მესხიევი.

„ჯანყი გურიაში“ გამოვა ორ სერიათ (16 ნაწილათ) თებერვლის ბოლო რიცხვებში.

დიდი სიმფონიური კონცერტი

ორშაბათს, 13 თებერვალს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი ახალგაზრდა დირიჟორ ალექსანდრე გველესიანის ხელმძღვანელობით. აღნიშნული კონცერტი იმართება ა. გველესიანის სადებიუტოდ ამ დარგში.

სიმფონიური კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ოპერის და აკადემიური დრამის შეერთებული ორკესტრები 80 კაცის შემადგენლობით და სოლისტები ს. ინაშვილი, ვ. ნიკიტინა, ვ. ნეიმანი.

კონცერტის პროგრამაში შეტანილია მთელი რიგი ისეთი სიმფონიური ნაწარმოებები. რომელიც ჯერ არ ყოფილა შესრულებული თბილისში.

— აკაკი წერეთლის მოსაგონარი საღამო. დღეს, 4 თებერვალს ტრამვაის მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი ნომერი 182) გაიმართება აკაკი წერეთლის მოსაგონარი საღამო. აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ამხ. შ. დუდუჩავა. მოხსენების შემდეგ ა. წერეთელზე მოგონებებით გამოვლენ: ექ. გაბაშვილისა, დაც. კლდიაშვილი და ვას. ბარნოვი. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები და მომღერლები.

— ლიტერატურული დისპუტი. ამხ. მიხ. კახიანის სახელობის მუშფაკის ლიტერატურული წრე, შაბათს, 4 თებერვალს საღ. 8 საათზე მუშფაკის შენობაში (კამოს ქუჩა ნომერი 52) მართავს ლიტერატურულ დისპუტს, თემაზე „ქართული მწერლობა 1927 წელში“. მოხსენებით გამოვა ამხ. პლ. ქიქოძე. კამათში მონაწილეობას მიიღებენ: ს. ამაღლობელი. ვ. ალავიძე, ბ. ბუაჩიძე ლ. ესაკია, შ. დუდუჩავა, ვ. კოტეტიშვილი, შ. რადიანი, დ. რობდილი, ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი; და ს. ჩიქოვანი. შესვლა თავისუფალია.

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ტრილბი“.

◆ „ლამარა“. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა“.

◆ წითელ-არმიელთა კლუბში დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „მეძავი“.

◆ მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო სომხურ ენაზე.

◆ „ბრბო“. დღეს მუშათა თეატრში ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ბრბო“.

◆ ს. ორჯონიკიძის კლუბში დღეს ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. ეკალაძის პიესა: „№ 21 ჯვრით“.

კინო

„ველტფილმ“

(საერთაშორისო პროლეტარული კინო-გაერთიანება)

ამ რამდენიმე ხნის წინათ ბერლინში შესდგა უცხოეთის პროლეტარულ კინო-ორგანიზაციების კონფერენცია, რომლის მიზანს შეადგენდა მუშაობის საერთო ხაზის შემუშავება და მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხების გადაჭრა.

პროლეტარულ კინო-ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებებმა ნათელჰყვეს, რომ კინო უცხოეთში უკვე გადაიქცა პოლიტიკური ბრძოლის უდიდეს ფაქტორად და ბურჟუაზია მას ფართოდ იყენებს თავის კლასობრივ მიზნებისათვის.

კინო-კონფერენციაზე საძირკველი ჩაეყარა პროლეტარულ კინო-ორგანიზაციების გაერთიანებას, რომელიც მიზნად ისახავს კინოს გამოყენებას პროლეტარული ბრძოლისა და მასიური აგიტაციის მიზნებისათვის.

ახალ გაერთიანებაში შევიდნენ მთელი რიგი კინო-ორგანიზაციები: „პრომეთეუსი“ (გერმანია და შვეიცარია), „მეჟრაბპომ-რუს“ (საბჭოთა კავშირი), „არტაკუს“ (საფრანგეთი), „არგუს“ (ამერიკა). შვეციის კომპარტიის კინო-ბიურო და სხვ. ამრიგად შეიქმნა საერთაშორისო კინო-ორგანიზაცია „ველტფილმ“, რომლის ცენტრი იმყოფება ბერლინში.

უცხოეთის მთელი რიგი პროლეტარული კინო-ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ საკუთარ კინო-წარმოების მოწყობას და განზრახული აქვთ დადგან რევოლიუციონური ხასიათის კინო-სურათები („რკინელი მეამბოხე“, „წითელ ფრონტელების დღე“ და სხვ.).

„ველტფილმ“-ს მტკიცე კავშირი აქვს მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტთან და მის განყოფილებებთან უცხოეთში, „ველტფილმის“ დელეგაცია დაესწრება საკავშირო პარტიულ კინო-თათბირს და მოაგვარებს ზოგიერთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმებულ მუშაობასთან საბჭოთა კინო-ორგანიზაციებთან.

რკინის გზეზე

ცვლილებები სახალხო მატარებლების მოძრაობაში

მოსკოვიდან დაბრუნდა ამიერ-კავკ. რკ. გზ. მოძრაობის განყოფილების სახალხო მიმოსვლის ნაწილის უფროსი ი. ბოკერია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის რკინის გზების წარმომადგენელთა ყრილობაზე, რომელზედაც ირჩეოდა სახალხო მატარებლების მიმოსვლის საკითხები.

ი. ბოკერიამ ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ ამა წლის 15 მაისიდან სახალხო მატარებლების მოძრაობა გასული წლის ზაფხულთან შედარებით გაფართოებული იქნება.

კერძოთ ამიერ-კავკ. რკ. გზაზე ინიშნება თითო წყვილი სახალხო მატარებელი განჯა-ბაქოსა და თბილის-ლენინაკანს შუა და თუ საჭიროებამ მოითხოვა ერთი წყვილი მატარებელი დაინიშნება ერივან-ნახიჩევანს შუა.

შეტანილია ცვლილებები თვით ეხლა მომუშავე მატარებლების მიმოსვლაში. მაგალითად ჩქარი მატარებელი № 1 თბილისიდან ნაცვლად ღამის 11 საათის და 40 წუთისა გავა დილის 10 საათზე (ადგილობრივი დროით). ჩქარი მატ. № 2 ნაცვლად საღამოს 8 საათისა მოვა თბილისში საღამოს 6 საათზე და 30 წუთზე.

ზოგიერთი ცვლილებები იქნება შეტანილი დაჩების მატარებლების მოძრაობაშიაც.

მატარებლების მოძრაობის ახალი ცხრილი შეთანხმებული ქნება „ზაკავტოპრომტორგი“-ს ავტომობილების მოძრაობასთან.

ყრილობაზე განხილული იქნა აგრეთვე გზებს შორის მოძრავ შემადგენლობის განაწილების საკითხი. გზათა კომისარიატის დადგენილებით ამიერ-კავკ. რკ. გზებზე გადმოგზავნილი იქნება შვიდი სახალხო მატარებლის ორთქლმავალი და 30 საკლასო ვაგონი.

ყურადღება მიექცა ამიერ-კავკ. ხილის და საერთოდ ისეთ საქონლის გაზიდვას, რომელიც ჩქარა ფუჭდება.

მათი გადაზიდვის უზრუნველსაყოფად, ყრილობამ გაადიდა სახალხო მატარებლებით მათი გადაზიდვის ნორმა.

ჭადრაკი

ტურნირი პლეხანოვის სახ. კლუბში

პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ საჭადრაკო წრეში ორ თებერვალს დაიწყო ტურნირი კლუბის წევრთა პირველობაზე. ტურნირში მონაწილეთა უმრავლესობა რკინის გზის მუშებია. პირველი ტურის შედეგები ასეთია:

პეტრიაშვილმა მოუგო ასლამაზოვს, მახათაძემ—ჯიგურაძეს, კილასონიამ—პოლოსოვს, ლადიაშვილმა კომახიძეს, ლ. ხიდაშელმა გრატიაშვილს, მალიკოვმა ხიდაშელს, აბესაძემ ულიბეკოვს და ზიაძემ კასიშვილს, ბელაგანოვის პარტია ბებურიშვილთან და სერგეენკოს პარტია კაცაევთან უშედეგოთ დამთავრდა.

ტურნირის მეორე ტური შესდგება დღეს 4 თებერვალს საღამოს შვიდ საათზე ამავე კლუბში.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, შაბათს, 4 თებერვალს თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ავაქიმ სარქისოვი; ლევან ბათიაშვილი; ბეტიქ ავეტისი; სარქის მელქონიანცი, ილარიონ ჟღენტი; სერგო ბოზოიანცი; სევასტი ცქვიტინიძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ვართან ლარიბოვი; დანიელ მეგრელიშვილი; გრიგოლ ტოლია, ალექსანდრა გვასალია-ღლონტი. ვერა კვირიკაშვილი; ნინა ავალიშვილი; გაბელაშვილი და დავით კაკაბაძე.

მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან: აკოფ საკოვი და სარქის მირზოიანცი.

საგარანტიო სექციიდან: შალვა მდივანი, ნატალია კედროვსკაია; იულონ ჭკადუა; ივანე ნიკოლაიშვილი; ალექსანდრე ლაფერაშვილი; როჟეტ შარაშიძე; ელენე ჩეჩელოვი, ივანე მაზნიაშვილი; ნესტორ შუბლაძე; კოზმა გოგოტიშვილი, ივანე სანაშვილი; არჩილ ბაქრაძე; სოფიო გიორგაძე; ოლღა კაჭარავა; აგრაფინა გვასალია; ალექსანდრე გაბესკირია; სერგო კეტროსოვი; აბე შულმანი; მიშე შაპირო; ამაიან ბუაჯიანცი; გრიგოლ ლობჟანიძე და თეკლე ბოლქვაძე.

შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ მიღებულია დამატებითი მოთხოვნილება მედპერსონალზე. მცხეთის საბავშვო ახალშენში საჭიროა ერთი ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი 37 მ. 50 კაპ. (ბინა, განათება-გათბობით).

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად, თუ სად არის თავისუფალი ადგილები, მსურველმა უნდა მიმართოს შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. გოგეშვილს.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 4 თებერვალი

დღეს, თბილისის 4 კილოუატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი“—ქართულ ენაზე.

აგრო-დახმარების მნიშვნელობა ნედლეულის კულტურების განვითარების საქმეში—ქართულ ენაზე.

საგლეხო სესხის მნიშვნელობა გლეხთა მეურნეობისათვის.

წითელი არმიის როლი ამიერ-კავკასიის მშრომელთა განთავისუფლების საქმეში—ქართულ ენაზე.

გაზეთი „ენიკენდ“—თურქულ ენაზე.

წითელი არმიის როლი ამიერ-კავკასიის მშრომელთა განთავისუფლების საქმეში—რუსულ ენაზე.

სამრეწველო და სასურსათო საქონლის ბაზრის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში—რუსულ ენაზე.

ტრანსლიაცია მოსკოვიდან.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

ერთი კვირის პროგრამის გადაცემა.

ა. ქ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

იურიდიული დახმარება

ამხ. № №

კითხვა:

ვის მოვალეობას შეადგენს გადაიხადოს შემდეგი ხარჯები: 1) ბინათის შედგენისა და სახლის წიგნაკში ჩაწერისათვის, 2) საერთო ეზოს ნაგვის გაზიდვა ნაგვის ყუთიდან და 3) მეეზოვეს თვიური ჯამაგირის გადახდა

პასუხი:

თქვენ შეკითხვაში ჩამოთვლილი ხარჯები უნდა იხადოს სახლის პატრონმა.

ამხ. ქ. მშვიდობაძე

კითხვა:

ვარ მუშათა მეურნეობის კავშირის წევრი წმინდა ნინოს სასაფლაოს ბოლოში მიქირავს 20 კვადრატული მეტრიანი ოთახი, ამა წლის ხუთმეტ ივლისიდან ვღებულობ უმუშევართა დამხმარე სალაროდან თოთხმეტ მანეთს. რამდენი უნდა უხადო ოთახის ქირა სახლის პატრონს.

პასუხი:

ვინაიდან თქვენ ქალაქის განაპირაზე ცხოვრობთ, უნდა იხადოთ ორ-ორი კაპ. თვითოეულ კვად. მეტრზე, მთელ ოთახზე კი 40 კაპ.

ამხ. მიხეილ ხავანელს

სოფ. მირზო, თელეთში

კითხვა:

არის 5 სამარის ქვა ყოფილ მემამულე ბატონთა „მირზოევთა“ გვარისა. ეს ქვები არის მარმარილოსი და დღე-დღეობით ცუდ მდგომარეობაშია: მას ნელ-ნელა ამტვრევენ სოფლის ბავშები და ახლო მომავალში ალბად სრულიად გააპარტახებენ.

შეიძლება თუ არა ეს ქვები ადგილობრივ ხელისუფლების საბჭოს წევრთა და გლეხთ თანდასწრებით იქნეს გაყიდული და თანხა მოხმარდეს ამავე სოფლის სკოლას და ღარიბ ბავშვებს.

პასუხი:

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის 1925 წლის 22 აპრილის, № 52, დადგენილების თანახმად სასაფლაოზე დადგმული ძეგლის აღება და გაყიდვა შეუძლიათ (ცხადია, იმ პირთ, რომლებთაც ეს ძეგლი დაადგეს სასაფლაოს და აგრეთვე მათ უფლების მონაცვლეს) მხოლოდ ადგილობრივ აღმასკომის თანხმობით. ამიტომ მესამე პირებს არ შეუძლიათ ამისთანა ძეგლების გაყიდვა.

პარტიული კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული პარტკოლექტივის უჯრედის) ბიურო იტყობინება, რომ დღეს საღამოს 7 საათზე სამხაზველის ოთახში შესდგება ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის და კომკავშირის უჯრედის წევრთა გაერთიანებული კრება.

პარტიისა და კომკავშირის წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

სახ. უნივერსიტეტის კომპარტიისა და კომკავშირის ბიურო კოლექტივები იტყობინებიან, რომ 6 თებერვალს იწყობა სტუდენტების სამხედრო გასვლა. კომპარტიისა და კომკავშირის ყველა წევრ-კანდიდატებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ სამხედრო სკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი) 5 თებერვალს სრულ 2 საათზე იარაღის მისაღებათ და 6 თებერვალს დილით მანევრებზე გასასვლელად.

დღეს, 4 თებერვალს, საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკის ცენტრ კაბინეტში შესდგება შემდეგ პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეცადინეობა:

საღამოს 5 საათზე—ამ. ლ.ქ.ქ. მე-2-რე საფეხურის. საღამოს 6 საათზე პარტქსელის პირველ და მეორე საფეხურის. საღამოს 7 საათზე უმაღლესი საბჭოთა პარტსკოლის და საღამოს 8 საათზე ოქტომბრის გაწვეულთა სკოლების ხელმძღვანელთა მეცადინეობა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 106

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 295 მუხ. შენიშვნის, 314 მუხლის და 324 მუხ. „ბ“ პუნქტის შეცვლისა და 276, 312, 318 და 324 მუხლებისათვის შენიშვნების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დ დადგენილების 2 მუხ. წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

სამ. სამ. კოდ. 295 მ. შენიშვნა, 314 მუხლი და 324 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

295 მუხ. შენიშვნა. იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც სრულ ამხანაგობას ეკუთვნის, განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“—სსრკ კან. კრებ. 1927 წ. მე-40 №-რი, მუხ 395).

მუხ. 314. ნდობის ამხანაგობის რეგისტრაციის შესახებ წარდგენილ განცხადებაში, 296 მუხ. 1 შენიშვნით გათვალისწინებული ცნობების გარდა. უნდა აღინიშნოს შემტანთა სია და ყოველი მათგანის შენატანის რაოდენობა.

II.

324 მუხ. „ბ“ პუნქტი. „საზოგადოების სახელწოდება ან ფირმა“.

სამ. სამ. კოდ. 276, 312, 318 და 322 მუხ. დაემატოს შენიშვნები შემდეგი შინაარსისა:

276 მუხ. შენიშვნა. იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც მარტივ ამხანაგობას ეკუთვნის (რამდენიმე თანამონაწილეს), განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“ სსრკ. კრებ. 1927 წ. მე-40 №-რი, მუხ. 395).

312 მუხ. შენიშვნა: იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც ნდობის ამხანაგობას ეკუთვნის, განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“—სსრკ. კან. კრ. 1927 წ. მე-40 №-რი. მუხ. 395).

318. მუხ. შენიშვნა. „იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც შეზღუდულ პასუხისმგებლობის ამხანაგობას ეკუთვნის. განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით“ („დებულება ფირმის შესახებ“ სსრკ. კან. კრებ. 1927 წ. მე-40 №-რი. მუხ. 395).

322 მუხ. შენიშვნა. იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც სააქციო საზოგადოებას (საპაიო ამხანაგობას) ეკუთვნის, განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“ სსრკ. კან. კრებ. 1927 წ. მე-40 №-რი, მუხ. 395).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ს. თოდრია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: შ. მათიკაშვილი.

1927 წ. დეკემბრის 15.

თბილისი—სასახლე.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს კომუნალური სექციის ბიურო აუწყებს საბჭოს წევრებს, რომ ა/წ. 2 თებერვალს ღამით ულმობელმა სენმა უდროოთ იმსხვერპლა საბჭოს წევრი, ძველი რკინის გზელი მუშა-რევოლიუციონერი

ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე

გვიმრაძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 575

ღრმად დამწუხრებული დედა სალომე გვიმრაძისა, მეუღლე თამარი, შვილები მარო, გოგია, ლეილა და ნუნუ გვიმრაძეები და სიძე ონიფანტე ნებიერიძე შვილით პატარა ნოდარიკოთი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს 2 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

სანდრო გვიმრაძე

დაკრძალვა დანიშნულია კვირას 5 თებერვალს. შუადღის 1-ლ საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ფეირვერკის ქ. № 18. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე. (შ)

მიშა ძამაშვილი, კოლია მაჭარაძე, პეტრე ხურცილავა, ლავრენტი კუპრაშვილი, თეოფილე შენგელია, კოწია სულაქველიძე, შალვა დუგლაძე და დავით მიქელაძე აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს 2 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

სანდრო გვიმრაძე

გამოსვენება კვირას 5 თებერვალს ნაშუადღევის პირველ საათზე საკუთარი ბინიდან, ფეირვერკის ქ. № 18. (შ)

მსახიობი ეკატერინე გრიგორის ასული კედია აცნობებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას 5 თებერვალს დღის 1 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი საყვარელ დედის

მატრონა ნიკოლოზის ასული

კედიასი

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო 1315

ინვალიდთა კოოპერატიული ნადი „რეკორდი“ მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 2 თებერვალს, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ხსენებულ ნადის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ძვირფასი ამხანაგი სამოქალაქო ომის ინვალიდი

შაქრო ჩიტიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 5 თებერვალს, დღის 12 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან სამოვოლნის ქ. № 14. 1312

სამუდამოთ გულდათუთქულნი და მუდამ ცრემლშეუშრობელნი: ცოლი ეკატერინე, პაწია ობლები: ვახტანგი და თენგიზი, დედა მარიამი, ბიძები—ეფრემი და შიო, სიდედრები—ნინო და თეკლე, სიმამრი მიხეილ, რძლები თამარა და თალიკო, ბიძაშვილები ნინა, მატო, მარუსია, ელიჩკა, თამარა და ვერიკო, ცოლის ძმა გიორგი მწუხარებით იუწყებიან, რომ 2 თებერვალს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ინვალიდთა ნადი. „რეკორდის“ თავმჯდომარის მოადგილე, სამოქალაქო ომის ინვალიდი

შაქრო ჩიტიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 5 თებერვალს, ნაშუადღევის სრულ 12 საათზე გამოსვენება საკუთარ ბინიდან სამოვოლნის ქუჩ. № 14. 1312

თბილისის მე-30 შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო და მოწაფეები მწუხარებით აცნობებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 31 იანვარს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე სკოლის მე-6 ჯგუფის მოწაფე

მაკარი ბართლომეს-ძე

კეკელიძე

რომლის გამოსვენება მოხდება მთ. საავადმყოფოდან ბინაზე (დურგლის ქ. № 97), შაბათს, 4 თებერვალის, დილის 10 საათზე. გასვენება ბინიდან. კუკიის სასაფლაოზე, დღის 4 საათზე. 1310

ღრმად დამწუხრებულნი და ეკატერინე გრიგოლის ასული მესხისა, ძმისწული მარიამ სტეფანეს ასული ამირეჯიბისა ქმრით და ძმისწულის შვილი ნატალია აუწყებენ საზოგადოებას, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 30 იანვარს გარდაიცვალა

იოსებ გრიგოლის-ძე

მელიქიშვილი

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში (კამოს ქ. № 103), საიდანაც კვირას, 5 თებერვალს, დღის 1-ლ საათზე გაასვენებენ დასაკრძალავათ კუკიის სასაფლაოზე. 1289

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა: დარია სიმონის ასული და ერმალო დავითისძე, ძმები: გაბრიელ და ვალერიან შოთაძეები, დები მარიამ გეგენავასი და პელაგო იოსელიანისა, რძლები: თამარა და პელაგია (პეპა) შვილებით და სიძე ლევან გიორგისძე იოსელიანი ამით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ

ანიკო (ანიჩკა) ერმალოს ასული

შოთაძე-ფირცხალაშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავად გადახდილ იქნება პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე, ა/წ. 5 თებეოვალს, კვირას დღის 1-ლ საათზე. ნ. 574

სამუდამოთ გულმოკლული მშობლები: დედა მატრონა, მამა ლევანი, დაი ვერა, ძმა პროკოფი გოლაშვილები, სიძე კალენიკე და ელენე პატარა თამრიკოთი რობაქიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 5 თებერვალს, კვირას, 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ბორის ლევანის-ძე გოლაშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებიდან წლისთავის აღსანიშნავად. 1302



ბაკში—როგორ მოქმედობენ ხსვადასხვა გვარეობის ჯარები. გვ. 36, ფასი 20 კაპ.

მიტროპოლსკი—რისთვის ესაჭიროება მუშებს და გლეხებს ავიაცია და ქიმია. გვ. 36, ფასი 20 კაპ.

ლისოვიცკი — ახლანდელი ომები. გვ. 64, ფასი 40 კაპ.

ნ. 429
25—24

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო	მსოფლიო ფილმი **სვლა ცხენით** გრანდიოზული დადგმა 10.000 მონაწ. მალე საუკეთესო სურათი „მოჯადოებული კუნძული“
არფასტო სოლეი	პრემიერა **50.000 ფრანკი** მთავარ როლებში ჟიუზეტა დიუფლო სესიუ ხაიაკავა მალე მსოფლიო შედევრი „მეორე ქორწინება“
დარბაზი	უკანასკნელი 5 და 6 სერია **უთავო მხედარი**
ოდეონ	უკანასკნელად თბილისში **„კულისებში“** მთავარ როლში მარჩელა ალბანი და ვ. კრაუსი.
პროლეტარი (ავლაბარში) 0 4	**მთის კანონი** საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები

[illegible] მზადდება დასადგმელად „ქალი ბაზრობიდან“ საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმოები

ცირკი „კოლოს“
ტელეფ. № 8—64
569 3—1

შაბათს 4,6 და კვირას 5 თებერვალს, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ სახელგანთქმულ

ანატოლ ანატოლის-ძე დუროვის

პირველი გასტროლები

მისი მხეცების, ცხოველების და ფრინველების ანტროპოზოოლოგიური დასით. კვირას, 5 თებერვალს, წარმოდგენა დღისით სახელგანთქმულ ა. ა. დუროვის და მისი მხეცების და ცხოველების მონაწილეობით.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რეჟისი. კ. გროდზიცკი. ადმინისტრატორი მ. ტადე.

ანონსი:

ორშაბათიდან 6 თებერვლიდან

მონოპოლიურად კინო თეატრში

აპოლო პრემიერა

„მოჯადოებული კუნძული“

მხატვრ. დრ. 8 დიდ. ნაწილად

მთავარ როლებში:

რენე ხერნელი

ჟაკელინა ფორზან

განსაკუთრებული სილამაზის და ტეხნიკ. უნაკლო კადრები

საინტერესო სიუჟეტი. სურათი „მოჯადოებული კუნძული“ პარიზის ეკრანებიდან არ მოხსნილა 6 თვის განმავლობაში.

მიხეილ ვედეჯანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კურლანოვის ქ., № 20 25—4

იონა გაბრიჩიძე

პლეხანოვის (ნიხაილოვის) პროსპექტი 66. ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები. დილით 7—8 ნახ. ს. საღ. 5—8 ს. 25—21

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიისივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 1½ საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო. 7—8 საათამდე 13—1

იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“

პროფესორ გიორგი ახვლედიანის და დ. ონიაშვილის რედაქციით ამ დღეებში გამოვა და ხელის მომწერთ დაურიგდება ა. წ. 15 თებერვლიდან. ხელის მომწერმა წიგნი უნდა მიიღოს გამომცემლობის აგენტისაგან ე. ი. ვისთანაც ხელი მოაწერა. აგენტები წიგნს მიიღებენ მათ მიერ დღემდი გამომცემლობაში შემოტანილ თანხის 3—50 კ. ანგარიშით. ბაზარზე წიგნი ეღირება 6 მანეთი. ვისაც შემოტანილი აქვს 1 მან. და 1—50 კ. წიგნი მიეცემა 4—50 კაპ. და ვისაც 50 კაპ. მათ 5 მანეთად, შემოტანილ თანხის გამოკლებით. დანარჩენ ხელისმომწერთათვის რჩება ძველი პირობები. ყველა აგენტებს ვსთხოვთ დაუყონებლივ წარმოადგინონ გამომცემლობაში სია ხელისმომწერთა, გადახდილ თანხის აღნიშვნით. ვინც სიას არ წარმოადგენს წიგნი არ გაეგზავნება.

მისამართი: თბილისი ლენინის ქ. № 6 წიგნის მაღაზია „განათლება“ მარგ. თავართქილაძე. ნ. 555

ქუთაისის მაზრის მიწათ მოქმედების განყოფილება

აცხადებს, რომ ა. წ. 6 თებერვალს, განყოფილების სამმართველოში გაიცემა

შეჯიბრი ვაჭრობით

ქუთაისის სატყეოს გორშალის აგარაკში 1.500 კ. საჟ. შეშის დამზადება და ჩამოტანა ქალაქ ქუთაისში. დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიანთ მიიღოთ განყოფილების კანცელარიაში. ნ. 572

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად ტელეფ. № 1—90 25—15

ექიმი **მებრაგიანცი**

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6 8 საათზე. ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს. აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადების მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით. მიღება საღამოს 5—8 საათამდის. 25—22

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. დღ. ალ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.) 25-18

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამ წლის ივნისში კურსების პროგრამით რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.

25—18 გ. მ. მუხაძე

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5 — 90 25— 7

ექიმი

მ. ო. ხანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

კბილის ექიმი

დავით სავვატის ძე

რიკინაშვილი

კბილების და პირის სნეულება, პლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედანის კუთხე.

ექიმი **ს. ი. ანდრეევა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც— ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფ. 11—78

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—16

დავკარგე: ს. ა. კ. კ. წიგნაკი № 47204 მელქისედეკ მიხეილისძე აკობაძეს სახელზე, ჩ. გ. 1287

დავკარგე განკავშირის საწევრო წიგნაკი № 16889 დავით ჩხაიძეს სახელზე, ჩ. გ. 1311

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 18921 გრიგოლ გიორგისძე ანდრონიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1309

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 12, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. გიორგი საბასძე ყულატეიშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის „საბაშვილ-“ზე შეცვლის შესახებ.

საერთო და საადმ. ქ/ განყ. უფროსი ჯავახიშვილი
მმაჩის ბიუროს გამგე შარაშენიძე
1300

დაკარგულია პირადობის მოწმობა გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და კავშირის წიგნაკი (ალმშენებელთა), შალვა ხაჟონიას სახელზე, ჩ. გ. 1307

დაკარგულია ომსის წიგნაკი № 13820 ავტო-მანქანა „ბერლესათვის“ გაცემული ჩ. გ. 1305

დავკარგე: პირადობის მოწმობა ბიქტორ მალაქისძე მარუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1306

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 229 მარიამ გიორგის ასული მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 1304

დავკარგე: თბილ. სახელმწ. უნივ. აგრონ. ფაკ. სალექციო წიგნაკი № 608 გიორგი ივანესძე ბერულავას სახელზე ჩ. გ. 1301

დავკარგე: სამხედრო პირადობის წიგნაკი ვლადიმერ იოსებისძე მუჯირიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1303

დავკარგე მისაწერი წიგნაკი წვევამდელობის № 71 ელიაზარ მარდეხასძე აბრამაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, სიღარიბის მოწმობა, რკინის გზის სურათი გაცემული ბათომის რკინის გზის ოსტატის მიერ რაჟდენ პერტესძე მიქაძეს სახელზე, ჩ. გ 1315

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 65